გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტისათვის

გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს მართვის ჩარჩო

ნოემბერი 2023

სარჩევი

აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი 3

1. მოკლე შინაარსი 1

2. შესავალი 5

3. პროექტის აღწერა 7

4. სამართლებრივი ჩარჩო გარემოსდაცვითი პირობის, სოციალური გარემოს და მიწის მართვისათვის 12

4.1. გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები 12

4.2. შრომის კანონები და რეგულაციები 18

4.3. კანონები და დებულებები მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ 19

4.4. საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური ხელშეკრულებები 20

4.5. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები 22

5. ინსტიტუციური ჩარჩო გარემოსდაცვითი, სოციალური გარემოს და შრომის მართვისა და GRAIL პროექტების ადმინისტრირებისათვის 47

5.1. ინსტიტუციური ჩარჩო გარემოსდაცვითი, სოციალური გარემოს და შრომის მართვისათვის 47

5.2. GRAIL პროექტის ადმინისტრაციის ინსტიტუციური ღონისძიებები 57

5.3. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების და განხორციელების ინსტიტუციონალური მექანიზმები 59

6. საბაზისო ინფორმაცია GRAIL-ის პროექტის ინტერვენციისთვის შემოთავაზებულ უბნებზე 62

6.1. რეაბილიტაციისთვის შერჩეული ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების ძირითადი პარამეტრი 62

6.2. ბიოფიზიკური ფონი 66

6.3. ეკონომიკური და სოციალური საფუძველი 73

7. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება 81

7.1. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიები 81

7.2. მშენებლობის ფაზაში მოსალოდნელი ზემოქმედება 83

7.3. ექსპლუატაციის ფაზაში მოსალოდნელი ზემოქმედება 87

8. რისკების მართვა და ზემოქმედების შემცირება 91

8.1. პროექტირების ფაზა 91

8.3. ექსპლუატაციის ფაზა 98

9. ინსტიტუციონალური მექანიზმები და პოტენციალის განვითარება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) განსახორციელებლად 101

10. ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანგარიშგება 103

11. საჩივრების განხილვის მექანიზმი 104

11.1. საჩივრების დასრულება 109

11.2. საჩივრების აღწუსხვა დ დოკუმენტაცია 109

12. ინფორმაციის გასაჯაროება და კონსულტაციები 111

13. დანართები 114

დანართი # 1 114

ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის და კლასიფიკაციის საკონტროლო ჩამონათვალი 114

დანართი # 2 115

განსახლების და კულტურული რესურსების სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალი ქვეპროექტებისთვის 115

დანართი # 3. 117

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სქემა 117

მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საკონტროლო ჩამონათვალის (ESMP) ნიმუში 120

დანართი 5. ყოველთვიური საველე გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ააღნიშვნის ფურცელი/ჩეკლისტი 134

დანართი 6. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ,კომპონენტისთვის 139

დანართი 7. საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები 145

კრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი

APA	დაცული ტერიტორიების სააგენტო
CERC	გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი
DGA	ციფრული მართვის სააგენტო
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESHS	გარემოსდაცვითი, სოციალური გარემო, ჯანდაცვა და უსაფრთხოება
ESIA	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESF	მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს მართვის ჩარჩო
ESMF	გარემოს დაცვითი და სოციალური გარემოს ჩარჩო
ESMP	გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა
ESS	გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს სტანდარტი
EU	ევროპის კავშირი
GA	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს მელიორაცია
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEL	ქართული ლარი
GILMD	საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარება
GRAIL	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტისათვის
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MILHSA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MoJ	იუსტიციის სამინისტრო
NACHP	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NAMR	მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
PAP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
PIU	პროექტის განმახორციელებელი ერთეული
PRRC	საკუთრების უფლებების აღიარების კომისია
USD	შერთებული შტატების დოლარი

1. მოკლე შინაარსი

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) მომზადდა საქართველოს მდგრადი სოფლი მეურნეობის, ირიგაციის და მიწის (GRAIL) პროექტის (P175629) სესხის შეთანხმების პირობების შესაბამისად. ESMF უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს პროექტის განმახორციელებელი უწყებებისთვის პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად. ამ დოკუმენტის საფუძველზე ხორციელდება პროექტის ინვესტიციების სკრინინგი, კონკრეტული არეალებისთვის სპეციფიური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირება, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, მინიმუმამდე შემცირება ან შერბილება, ქვეპროექტების გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტების მონიტორინგის გეგმების შემუშავება ქვეყნის კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

GRAIL პროექტის ფიზიკურ ნაკვალევთან დაკავშირებული ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები საირიგაციო სისტემების მოდერნიზაციის პროცესშია მოსალოდნელი.

მშენებლობის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იყოს ეკოსისტემის უმნიშვნელო დაზიანება ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა მცენარეული საფარის მოცილება, ხმაური, ვიბრაცია, სამშენებლო მექანიზმების და ავტომობილების გამონაბოლქვი, სამშენებლო ნარჩენების გარკვეული მოცულობა, მიწის სამუშაოების და არხების წმენდის შედეგად წარმოქმნილი ნაყარი გრუნტი და ორგანული ნარჩენები, მშენებლობით დაბინძურებული წყლების ჩამონადენი, ლანდშაფტის დაზიანება, მდინარეების ხევების მორფოლოგიის ცვლილება ქვიშის და ხრეშის მოპოვების გამო, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას, ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება და მათი ჯანმრთელობის დაზიანება მშენებლობის და ნარჩენების გატანის არასწორი პრაქტიკის გამო, შრომის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტები, პერსონალისადმი უსამართლო დამოკიდებულება მუშახელის და სამუშაო მოედნის არასწორი მართვის მიზეზით, მიწაზე და საკუთრებაზე უარყოფითი ზემოქმედების გამო დაზარალებული მესაკუთრეებისთვის კომპენსაციების დაგვიანებით ან არასათანადო მოცულობით გაცემა.

სისტემების ექსპლუატაციის ფაზაში ძირითადად მოსალოდნელია დადებითი ზემოქმედება, კერძოდ საირიგაციო და სადრენაჟო მომსახურების გაუმჯობესება ფერმერებისთვის და მათ მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება, წყალმომხმარებელთა ინსტიტუციონალური ორგანიზაციების გაძლიერება, საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციასა და მართვაში

მათი უფრო აქტიური მონაწილეობის სტიმულირება, ასევე საირიგაციო და სადრენაჟო მომსახურების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას ზრდა. ამასთან ერთად მოსალოდნელია საირიგაციო და სადრენაჟო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად პესტიციდების გამოყენების ზრდა და გარემოს დაბინძურება, წყლის ეკოსისტემის დაზიანება არაორგანიზებული წყალაღება/წყალჩაშვების შედეგად, რწყვის შეუფერებელი პრაქტიკის შედეგად სარწყავი წყლის ხარისხის გაუარესება, ნიადაგის ეროზია, დამლაშება, დაჭაობება, ასევე წყალზე მოთხოვნის ზრდა სისტემების აღდგენის გამო. პროექტის ზოგიერთი საირიგაციო სისტემის ფუნქციონირება ზედა ბიეფში მდებარე წყალსაცავებზეა დამოკიდებული და მათი დაზიანება ან მწყობრიდან გამოსვლა უარყოფითად იმოქმედებს სისტემებზე ქვედა ბიეფში.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ფიზიკურ სამუშაოებს და პასუხისმგებელი იქნება პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შედეგებზე. წინამდებარე ESMF-ში მოცემულია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები პროექტის ყველა ტიპის ინვესტიციისთვის, მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ინვესტიციებისთვისაც. პროექტის ფარგლებში არ განხორციელდება მაღალი რისკის მქონე და აკრძალული აქტივობების ჩამონათვალში გათვალისწინებული აქტივობები.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მასშტაბებიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში დაფინანსებისთვის ნებადართული საქმიანობებისთვის შეიძლება ჩატარდეს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (გსზშ) და მომზადდეს გსზშ ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ჩათვლით. შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა.

უარყოფითი ზემოქმედების მართვის იერარქია გამოყენებული იქნება პროექტის ციკლის ყველა ეტაპზე მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვისთვის. სისტემების რეკონსტრუქციის პროექტებში გათვალისწინებული იქნება ნაკვალევის, ელექტროენერგიაზე და წყალაღებაზე მოთხოვნის, კერძო საკუთრებაზე დროებითი/მუდმივი ზემოქმედების შემცირების ზომები. მშენებლობის ფაზაში მინიმუმამდე იქნება შემცირებული მცენარეული საფარის მოცილება და დაზიანება, მიწის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი იქნება ნიადაგის ზედა ფენის შენახვა და აღდგენა, საჭიროებისამებრ ამოქმედდება სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების დაცვის პროცედურები. პროექტი ხელს შეუწყობს ბუნებრივი მასალების გარეშე მიმწოდებლებისგან შესყიდვას და ახალი კარიერები მხოლოდ მოქმედი ლიცენზიების საფუძველზე მოეწყობა, სადაც კარიერის ტერიტორიის შემდგომი აღდგენა არის გათვალისწინებული. ნარჩენების მართვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; კონტრაქტორები მოამზადებენ ნარჩენების მართვის მსოფლიო ბანკისთვის დამაკმაყოფილებელ გეგმებს,

რომლებსაც მატი ზედამხედველები დააკმაყოფილებენ; კონტრაქტორებს მოეთხოვებათ ქცევის კოდექსის, მუშებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის და მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმების შემუშავება და განხორციელება. თითოეული ობიექტისთვის ჩატარდება შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის რისკების შეფასება და კონტრაქტორებმა უნდა მოამზადონ და განახორციელონ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის გეგმები. მსოფლიო ბანკს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამშენებლო მოედანზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტი, რომლის გამოც მნიშვნელოვნად დაზიანდა ადამიანის ჯანმრთელობა ან გარემო. ამას უნდა მოჰყვეს ძირეული მიზეზების ანალიზი და კორექტირების/გამოსწორების ზომები; საკუთრებაზე შესვლის და/ან სარგებლობის შეზღუდვის, მიწის წაღების და/ან განსახლების შემთხვევაში სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს კომპენსაციების გაცემა განსახლების სამოქმედო გეგმების შესაბამისად, რომელთა განხორციელების შესახებ ანგარიშები უნდა წარედგინოს მსოფლიო ბანკს. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო და პროექტის განხორციელებაში მონაწილე სხვა უწყებები დაიცავენ მუშახელის მართვის პროცედურებს, გამოიყენებენ საჩივრების მართვის მექანიზმს და მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმას GRAIL პროექტის ფარგლებში.

სისტემების ექსპლუატაციის ფაზაში გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შპს „საქართველოს მელიორაციის“ საშუალებით უზრუნველყოფს რეაბილიტირებული სისტემების სათანადო მართვას წყლის აღების და ჩაშვების რეგულირების, წყალმომხმარებლების მიერ მომსახურების გადასახადების გადახდას, რომლებიც დაწესდება შესაბამის მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე. ის ასევე ითანამშრომლებს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ამინდის პროგნოზის, კლიმატის ცვლილების, სხვადასხვა აუზში წყლის ბალანსის, წყლის ხარისხის და სხვა პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ეს მონაცემები საჭიროა საირიგაციო და სადრენაჟო მომსახურების ოპტიმალური დაგეგმვა-განხორციელებისთვის, სისტემების ზედა ბიეფში მდებარე წყალსაცავების კაშხლების ტექნიკური მდგომარეობის და უსაფრთხოების მონიტორინგისათვის ამ კაშხლების ინსტრუმენტებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამისი სამსახურების და საქვეუწყებო დაწესებულებების საშუალებით აამაღლებს მოსახლეობის შეგნებას, ხელს შეუწყობს და პოპულარიზაციას გაუწევს მდგარდი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის (IPM) და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის მიზნით.

პროექტის ინვესტიციებისთვის მომზადებულ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ყველა გეგმაში გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა, განსაზღვრული იქნება მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, მეთოდოლოგია, გრაფიკი და ინდიკატორები. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება კონტრაქტორების

არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, განისაზღვრება და განხორციელდება ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის ზომები. ზემოქმედების მართვის იერარქიის სათანადოდ გამოყენების შედეგად ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და საარსებო გარემოს ოდნავი ცვლილებით შემოიფარგლება.

წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) საჯაროდ გამოქვეყნდება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს დოკუმენტი განხილული იქნება მონაწილე მხარეების, პროექტის ბენეფიციარების, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მონაწილეობით და შემდეგ ჩამოყალიბდება და საჯაროდ გამოქვეყნდება მისი საბოლოო ვარიანტი.

2. შესავალი

სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი, რომელის მთლიანი შიდა პროდუქტის GDP-ს წვლილი, დასაქმების და სავალუტო შემოსავლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. დარგის წვლილმა ეროვნულ ეკონომიკაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ 7,8 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს სოფლის მეურნეობამ ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორი წარმოადგინა, რომელიც ყველაზე ნაკლებად დაზარალდა COVID-19-ის პანდემიით, რამაც მდგრადობის საოცარი დონე აჩვენა[12]. მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 41 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, ხოლო სოფლად მცხოვრებთა უმრავლესობა საარსებო წყაროს მისაღებად ნაწილობრივ სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 19,1 პროცენტს.[13] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იყო სოფლის მეურნეობის საკვები პროდუქტების ნეტო-იმპორტიორი, 2010 წლიდან 2020 წლამდე სოფლის მეურნეობის საკვები პროდუქტების, განსაკუთრებით მაღალი ღირებულების საქონლის, როგორიცაა ღვინო, თხილი და ხილი და ბოსტნეული, ექსპორტის ღირებულება გაორმაგდა, ხოლო იმპორტი სტაბილურად შენარჩუნდა. ახალი საექსპორტო ბაზრების შესწავლისას, დაიწყო კერძო ინვესტიციების ზრდა გადამამუშავების წარმადობის გასაძლიერებლად, რამაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა დაკონსერვებული, გამომშრალი და გაყინული პროდუქტების ექსპორტს ევროკავშირში, აშშ-სა და სხვა ბაზრებზე. აღნიშნული განვითარებით მოსალოდნელია, რომ წარმოდგენილ იქნას შესაძლებლობები იმ მწარმოებლებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი ხარისხის ხილისა და ბოსტნეულის მიწოდება, რომლებიც საერთაშორისო ბაზრისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

მიწა და წყალი წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე რესურსსა და წარმოების ფაქტორს, რომლებზეც დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოება და პროდუქტიულობა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ძირითადად წვიმის წყლით იკვებება, სარწყავი და სადრენაჟე სისტემებში ინვესტიციების ჩადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ექსტრემალური პირობებისაგან თავის დასაცავად და კრიტიკულად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებისთვის. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გვალვასაკმაოდ ხშირია ირიგაციის სისტემის გამოყენება სავალდებულოა კლიმატის უკიდურესი პირობებისაგან თავის დასაცავად, ხოლო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, სადაც კლიმატი უფრო ნოტიო ჰავით ხასიათდება სადრენაჟე სისტემის პრობლემას ვაწყდებით. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ ტურბულენტური გარდამავალი პერიოდი გაიარა, რამაც გამოიწვია მისი ირიგაციისა და სანიაღვრე/სადრენაჟე ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა. ყოველივე ამან გამოიწვია მომსახურების სფეროს მკვეთრი ვარდნა. 2012 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა, რის შემდეგაც ირიგაციის სისტემების ფართობების ზრდა

დაიწყო. აღნიშნული ძირითადად ეფუძნება დონორი ორგანიზაციების - ძირითადად სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას. 2016-2020 წლებში დაახლოებით 125 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ირიგაციის ინფრასტრუქტურის პროექტებში. მსოფლიო ბანკმა დააფინანსა მიწის ბაზრისა და ირიგაციის განვითარების (GILMD) პროექტი, რომელიც 2014 წელს დაიწყო და დღეის მდგომარეობით საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული. ჯერ კიდევ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას, საქართველოს მთავრობამ მიმართა მსოფლიო ბანკს დახმარების თხოვნით საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის (GRAIL) პროექტის მომზადებასა და დაფინანსებაში, რომელიც დაეფუძნება GILMD პროექტის შედეგებს და მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურული ასპექტების ფართო სპექტრს გლობალური პოლიტიკური არასტაბილურობის, ბაზრების ცვალებადობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების გამოწვევის დროს.

საქართველოს ირიგაციის სტრატეგია 2017–2025 წლებში აყალიბებს სარწყავი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ხედვას და 2025 წლისთვის სარწყავი მიწების ფართობის 200 000 ჰექტარამდე ზრდას. 2022 წელს განახლებული საქართველოს სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია მიზნად ისახავს 2030 წლისთვის სასათბურე გაზების ემისიების უპირობოდ 30 პროცენტით შემცირებას 1990-იან წლებში არსებულ დონესთან შედარებით. ძირითადი სექტორები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ემისიების შემცირებაზე არიან ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და წყლის რესურსების მართვის (კვების გაუმჯობესებული წარმოების ჩათვლით) სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ეროვნულ გეგმაში ასახული 2030 წლის ხედვა მოითხოვს კლიმატის ჭკვიანი სოფლის მეურნეობის პრაქტიკას საქართველოში, რაც უზრუნველყოფს კვების პროდუქტების უსაფრთხოებას, სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას და აგროეკოსისტემური სერვისების მდგრადობას მაღალეფექტური წარმოების მეთოდების დანერგვით და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვას.

პროექტის ინტერვენციები/ჩარევები უშუალოდ შეესაბამება და მიზნად ისახავს ყველა აღნიშნული სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის განხორციელებას.

3. პროექტის აღწერა

GRAIL-ის პროექტის განვითარების მიზნებია: (1) გააუმჯობესოს საირიგაციო და სადრენაჟე მომსახურება და სასოფლო-სამეურნეო წარმოება საპროექტო ტერიტორიებზე; (2) გააძლიეროს ეროვნული სარწყავი და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები; და (3) უზრუნველყოს დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირება დასაშვებ კრიზისზე ან საგანგებო სიტუაციებზე.

პროექტის ჯამური ღირებულება გათვლილია 150 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტზე, საიდანაც 141 მლნ აშშ დოლარი სესხით სახით აღებულია მსოფლიო ბანკისგან, ხოლო 9 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი არის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება.

პროექტი შედგება ოთხი კომპონენტისგან.

კომპონენტი 1: სოფლისმეურნეობის მდგრადი ირიგაცია - (120 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი)

აღნიშნული კომპონენტი ხელს უწყობს მაღალი პრიორიტეტული ინვესტიციების ჩადებას სარწყავ და სადრენაჟე ინფრასტრუქტურაში, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერასა და ეროვნული სარწყავი და სოფლის განვითარების სააგენტოების ინსტიტუციურ გაძლიერებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სოფლის მეურნეობის სტრატეგიას, ირიგაციის სტრატეგიას და კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების დღის წესრიგს. იგი აფინანსებს სამშენებლო სამუშაოებს, საქონელს, აღჭურვილობას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ასევე ტექნიკურ ტრენინგს სააგენტოს თანამშრომლებისთვის და ფერმერებისთვის, რათა გაზარდოს სარწყავი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა.

ქვეკომპონენტი 1.1: ირიგაციის და სანიაღვრე ინფრასტრუქტურის აღდგენა და მოდერნიზაცია

აღნიშნული ქვეკომპონენტი მოიცავს შერჩეული სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას ჩარჩო მიდგომის გამოყენებით. პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა ხუთი სიცოცხლისუნარიანი ირიგაციის სისტემა პოტენციური დაფინანსებისთვის, მათ შორის: 1) ტაშისკარი და 2) ტირიფონის სისტემები შიდა ქართლის რეგიონში, 3) ზედა არხის სისტემა ქვემო ქართლის რეგიონში, 4) ზემო ალაზნის სისტემა კახეთის რეგიონში და 5) ნარეკვავის სისტემა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აღმოსავლეთ საქართველოში. მოკლე ჩამონათვალში, ასევე შედის პოტენციური ინვესტიციები ნარეკვავის წყალსაცავის გამწმენდი აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამარაგებს ირიგაციის წყლით ნარეკვავის ირიგაციის სისტემის 650 ჰა ქვედა ბიეფის სამართავ ფართობს. მოკლე ჩამონათვალში ასევე შედის დასავლეთ საქართველოში მდებარე სადრენაჟე სისტემის განხილვა (შავგელის მასივი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში). ქვეკომპონენტში გათვალისწინებული საქმიანობის სფერო მოიცავს ძირითადი, მეორადი და მესამედი არხების და სანიაღვრეების

რეაბილიტაციას/მოდერნიზაციას ყველა დამხმარე ნაგებობასთან ერთად, როგორიცაა სათავე ნაგებობები, ნაკადის მარეგულირებელი და საზომი სტრუქტურები, გამოსასვლელი არხები, შემოვლითი, წყალდიდობისგან დამცავი და სხვა საშუალებების, წყლის მრიცხველების დამონტაჟება. სისტემების საბოლოო შერჩევა მოხდება წინასწარი პროექტების ხელმისაწვდომობის შემდეგ.

ქვეკომპონენტი ასევე დააფინანსებს ეროვნული ირიგაციის გენერალური გეგმის მომზადებას, რომელიც ხელმძღვანელობს: (ა) არსებული ან პოტენციური ირიგაციის სისტემების საიმედო წყალმომარაგების უზრუნველყოფით, წყლის დეფიციტის სცენარების ჩათვლით, (ბ) ინვესტიციების ტექნიკური მიზანშეწონილობა, (გ) ეკონომიკური და ფინანსური დასაბუთება, (გ) ეკოლოგიური მდგრადობა, მათ შორის ფართო აუზის მასშტაბით, (დ) სოციალური ინკლუზიურობა და ე) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია საქართველოს წყლისდეფიციტის მქონე რაიონებში, მათ შორის გვალვისადმი მიდრეკილი და წყალდიდობის რისკის ზონები.

ქვეკომპონენტი 1.2: სოფლის მეურნეობის ირიგაციის და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება

აღნიშნული ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია (ა) ნათესების/კულტურების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაზრდაზე, რომელიც ფერმერთა შემოსავლის პოტენციალის, ღირებულების დამატებას და მდგრადობას ასახავს (ბ) კლიმატის შემარბილებელი სარგებლის გამომუშავება, და (გ) საპროექტო ტერიტორიებზე ფერმერებისთვის ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ფერმერთა დონეზე მხარდაჭერა განკუთვნილია იმისთვის, რომ ფერმებს მიეცეთ საშუალება უფრო გაზარდონ პროდუქტიულობა იმ ადგილებში, სადაც პროექტი განაახლებს ირიგაციის სისტემებს და/ან გადაერთონ უფრო მომგებიანი კულტურების მოყვანაზე. ნაწილობრივი საგრანტო დაფინანსების მეშვეობით ფერმერებს დახმარებას გაუწევენ მაღალი ღირებულების მოსავლის წარმოებისთვის ტექნოლოგიების შემენაში (სარგავი მასალები, მოსავლის აღების შემდგომი აღჭურვილობა და ა.შ.) და ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან ბიზნესსაქმიანობისა და ბაზრის შესახებ კონსულტაციებით, საველე ღონისძიებებით, ტექნიკური და ბიზნეს ტრენინგებით.

ქვეკომპონენტი 1.3: ირიგაციის მომსახურების მიწოდების გაზრდილი ეფექტურობა

ქვეკომპონენტი მიზნად ისახავს საოპერაციო მდგრადობის მიღწევას საქართველოში ირიგაციის ექსპლუატაციის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და მართვის ინსტიტუციური გარემოს რეფორმით. კომპონენტი ასევე ორიენტირებული იქნება ირიგაციის სექტორში ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებაზე, ცენტრალურ დონეზე და რეგიონულ სერვის ცენტრებში საქართველოს მელიორაციის (GA) ფარგლებში ეფექტურ შესრულებაზე დაფუძნებული და სერვისზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ძირითადი აქტივობები

მოიცავს: (1) GA-ს ყოვლისმომცველი რეფორმა ფუნქციების ხელახალ განსაზღვრასა და დეცენტრალიზაციაზე უმცირეს პრაქტიკულ დონეზე; (2) სარწყავი ტარიფის გადახედვა და ხელახალი განსაზღვრა კვლევების დასაბუთებული ხელმისაწვდომობისა და გადახდის სურვილის საფუძველზე, სტრატეგიულად დაგეგმილი და ეტაპობრივი შესრულებით; (3) ფერმერების მხარდაჭერა სითბოს დეფიციტის ხარისხის, ნალექების ცვალებადობის და ნიადაგის ტენიანობის უკმარისობის შესამცირებლად აღმოსავლეთ საქართველოს გვალვისადმი მიდრეკილ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ადგილებში; (4) ინვესტიციების ჩადება ადგილობრივ დონეზე წყლის მართვის ორგანიზაციების ფუნქციონირების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში; და (5) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (MEPA) ახალი ჰიდროლოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინფორმატიკული პროგრამისა და მრავალ-ფუნქციური ცენტრის შექმნა, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს დისტანციური ზონდირების საშუალებები ირიგაციის, სოფლის მეურნეობის და მიწის მართვის ეფექტურობის მონიტორინგისთვის.

კომპონენტი 2: მიწის მართვის შესაძლებლობის გაუმჯობესება (24 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი)

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ისეთი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მიწის ეროვნული ადმინისტრირებისა და მართვის სისტემების გაძლიერებას და გეოსივრცულ მონაცემებზე წვდომისა და გამოყენების ხელშეწყობას..

ქვეკომპონენტი 2.1 სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული მართვა და მონიტორინგი

აღნიშნული ქვეკომპონენტი ხელს შეუწყობს მიწის მართვას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებისა და მიწათსარგებლობის ეფექტურობის მყარი საფუძვლის შექმნას პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმების ინვესტიციების გზით და ძირითადი დაინტერესებული მხარეების (მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტო MEPA-ს დაქვემდებარებაში და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში) პოტენციალისა და შესაძლებლობების ზრდა-გაძლიერებას. კერძოდ, ქვეკომპონენტი დააფინანსებს (i) მიწის მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკისა და მისი განხორციელების სტრატეგიის, (ii) მიწის კონსოლიდაციის ეროვნული პოლიტიკისა და მისი განხორციელების სტრატეგიის და (iii) მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო მიწის საინფორმაციო სისტემის შემუშავებას.

ქვეკომპონენტი 2.2 მიწის ადმინისტრირების სერვისების გაუმჯობესება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის შექმნა

აღნიშნული ქვეკომპონენტი დააფინანსებს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (NAPR) ქონების რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის (IPRS) გაძლიერებას და

სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას. PRS, რომელიც ინიცირებულია GILMD პროექტის ფარგლებში, კიდევ უფრო გაძლიერდება, რათა დააკავშიროს დამატებითი დაინტერესებული მხარეები და განავითაროს ახალი ელექტრონული სერვისები. NSDI, რომელიც NAPR-მა რამდენიმე წლის წინ წამოიწყო, პილოტირების სტატუსიდან გადაყვანილ იქნება საწარმოო დონეზე და თანდათან დააკავშირებს სივრცითი მონაცემების ყველა მწარმოებელსა და მომხმარებელს. კომპონენტი ასევე უზრუნველყოფს მარეგულირებელ და ოპერატიულ მხარდაჭერას მიწის და უძრავი ქონების ბაზრის მონიტორინგის ოპტიმიზაციისთვის.

კომპონენტი 3: პროექტის მართვა - (3 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი)

წინამდებარე კომპონენტი დააფინანსებს პროექტის მართვას, მათ შორის განხორციელების კოორდინაციასა და ტექნიკურ ზედამხედველობას, ფინანსურ მენეჯმენტს, შესყიდვებს, მონიტორინგს და შეფასებას, და პროგრესის ანგარიშგებას, რომელიც ეხება კომპონენტ 1-ს, რომელსაც MEPA-ის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIU) ახორციელებს და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარეს ქვეშ მყოფ PIU -ს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო რომელიც კომპონენტი 2-ს ახორციელებს. აღნიშნული ქვეკომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული პასუხისმგებლობები მოიცავს პროექტის მართვას და კოორდინაციას, შესყიდვებს და ფინანსურ მენეჯმენტს, მონიტორინგს და შეფასებას, სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების მართვას და ზედამხედველობას, გენდერზე ორიენტირებულ აქტივობებს, კომუნიკაციებს და ურთიერთგაგებას. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში აგრეთვე დაფინანსდება დეტალური საინჟინრო პროექტების ზედამხედველობა და სამშენებლო სამუშაოები.

კომპონენტი 4: გადაუდებელი შემთხვევების პირობითი რეაგირება (0 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი)

აღნიშნული კომპონენტი აყალიბებს გადაუდებელ შემთხვევებზე/კატასტროფებზე პირობითი რეაგირების დაფინანსების მექანიზმს, რომელიც შეიძლება ამოქმედდეს დასაშვები კრიზისის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, როგორიცაა სტიქიური უბედურება, რომელიც გულისხმობს ეროვნული ან რეგიონული საგანგებო მდგომარეობის ოფიციალურ გამოცხადებას ან საქართველოს მთავრობის ოფიციალურ მოთხოვნას სტიქიური უბედურების, პანდემიის ან სხვა სახის კატასტროფების დროს, როგორიცაა შეიარაღებული კონფლიქტი. მსგავს ვითარებაში, შესაძლოა პროექტის სხვა კომპონენტებისათვის გამოყოფილი თანხები გადანაწილდეს აღნიშნულ კომპონენტზე, რათა ხელი შეეწყოს 1 და 2 კომპონენტებთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების „პოზიტიური სიის“ სწრაფ დაფინანსებას, რომელიც კვლავ აქტუალური იქნება პროექტის განვითარების მიზნების მისაღწევად.

პროექტის ადგილმდებარეობა

პროექტის ინფრასტრუქტურული ინვესტიციები დაგეგმილია ტაშისკარისა და

ტირიფონის სისტემებისთვის შიდა ქართლის რეგიონში, ზედა არხის სისტემებზე ქვემო ქართლში, ზემო ალაზნის სისტემებზე კახეთის რეგიონში და ნარეკვავის სისტემებზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - აქედან ყველა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე დასავლეთ საქართველოში მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შავგელის მასივის სადრენაჟე სისტემა. რუკა 1 -ზე ასახულია შერჩეული სარწყავი სისტემების ადგილმდებარეობა აღმოსავლეთ საქართველოში.



რუკა 1: GRAIL-ის პროექტის ფარგლებში დაფინანსებისათვის შერჩეული ირიგაციის სისტემები

განსახილველი ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების მართვის საერთო ფართობია 26887 ჰა. სისტემები შეირჩა ჰიდროლოგიური, ტექნიკური, ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო პარამეტრების მიხედვით.

4. სამართლებრივი ჩარჩო გარემოსდაცვითი პირობის, სოციალური გარემოს და მიწის მართვისათვის

საქართველოს გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის საკანონმდებლო ბაზა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას. ის განსაზღვრავს ყოველი ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და გამოიყენოს ბუნებრივი და კულტურული რესურსები, ხოლო პასუხისმგებლობას აკისრებს აღნიშნული რესურსების მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებაზე. კონსტიტუცია ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას, სადაც ნათქვამია, რომ ინდივიდს/ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიიღოს სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მის საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებით.

კონსტიტუციით ორგანიზებული სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს ეროვნულ კანონებს, ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებებს და მთავრობის განკარგულებებსა და მინისტრების ბრძანებებს. გარდა ამისა, საქართველო არის ხელმომწერი მხარე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციისა, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის რეგულაციების შესახებ.

4.1. გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები

GRAIL პროექტის განსახორციელებისას დაცულია შემდეგი გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონი (რეგულაცია #360.000.000.05.001.000.184; 10.12.1996, ბოლო ცვლილება 2021) კანონი აყალიბებს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს. მისი მიზანია უზრუნველყოს ისეთი ბუნებრივი გარემო, რომელიც უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის; დაიცვას გარემო მავნე ზემოქმედებისგან; შეინარჩუნოს გარემოს ხარისხობრივი პარამეტრები; მოახდინოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ჰარმონიზაცია; ბუნებრივი რესურსების გამოყენების მდგრადი მართვა; და უზრუნველყოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ინტეგრირებული სისტემის ეფექტური ფუნქციონირება.

GRAIL პროექტი განხორციელდება ზოგადი მდგრადობის, რისკების შემცირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შერბილების იერარქიის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის ფარგლებში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ საქართველოს კანონი (რეგულაცია #360160000.05.001.018492; 01/06/2017, ბოლო ცვლილება 2022)

წარმოადგენს ფუნდამენტურ გარემოსდაცვით კანონს, რომელიც აწესრიგებს აღნიშნული კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ჩატარებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების (ნებართვების) გაცემის პროცედურებს. კოდექსი არეგულირებს გარემოსდაცვითი სკრინინგის, გამოთვლის, ზემოქმედების შეფასების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და ნებართვების პროცედურებს; განსაზღვრავს გზშ პროცედურაში ჩართულ მხარეებს და განსაზღვრავს მათ როლებს. კოდექსი შეიცავს ორ დანართს კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალით. I დანართში შეტანილი საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს და გარემოსდაცვით ნებართვას განხილვის გარეშე.

II დანართში მოყვანილი აქტივობები გაივლის სკრინინგს, რათა მოხდეს გადაწყვეტილება გზშ-ს საჭიროების შესახებ. აქტივობები, რომლებიც არ შედის არცერთ დანართში, არ საჭიროებს გარემოსდაცვით კომპლექსურ გამოკვლევას. პროექტის განმახორციელებელი აწარმოებს სკრინინგ ანგარიშს დანართი II აქტივობებისთვის, ასევე გამოთვლის და გზშ ანგარიშებს იმ აქტივობებისთვის, რომლებიც საჭიროებენ გზშ-ს. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო აღნიშნულ ანგარიშებს აცნობს დაინტერესებულ მხარეებს და სთხოვს მათ გამოხმაურებას და იღებს გადაწყვეტილებებს ანგარიშის მოწონების შესახებ. გზშ ანგარიშის მოწონება მიიჩნევა, როგორც დადებითი გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვით ნებართვას განსახილველი პროექტის განსახორციელებლად. გადაწყვეტილება ითვალისწინებს პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროექტის განმცხადებელი და მათი აღსრულება ევალება სახელმწიფო ხელისუფლებას. კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ მოიცავს გზშ-ს გარდა სხვა გარემოსდაცვით ინსტრუმენტებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი აუდიტი, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება. ის არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური გარემოს ჩარჩო დოკუმენტების, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვების ან დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების შემუშავებას და გამოყენებას.

კონკრეტული უბნის გზშ-ების ჩატარების და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა, ასევე GRAIL პროექტის ფარგლებში ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის გზშ-ს მოქმედი პროცედურები რეგულირდება გზშ კოდექსის მეშვეობით.

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (რეგულაცია #300.310.000.05.001.001.914; 24.06.2005, ბოლო ცვლილება 2022) აწესრიგებს აქტივობებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხე, მოიცავდეს სახელმწიფოს ან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინტერესებს, ან გულისხმობდეს სახელმწიფო რესურსების მოხმარებას. კანონი განსაზღვრავს ამგვარი საქმიანობის სრულ ჩამონათვალს და ექვემდებარება მათ ლიცენზიებისა და

ნებართვების მოპოვებას და აყალიბებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, ცვლილებისა და გაუქმების წესებს.

GRAIL -ის პროექტი დიდი ალბათობით ტყით სარგებლობისთვის მოითხოვს ზოგად ლიცენზიას. ასევე, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორები უნდა ფლობდნენ რესურსების გამოყენების ლიცენზიებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი ირჩევენ ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებას და არა მათ გარე მომწოდებლებისგან შეძენას. ამგვარი მომწოდებლები უნდა ფლობდნენ რესურსების გამოყენების ლიცენზიებს. სახიფათო ნარჩენების (მათ შორის გამოყენებული საპოხი მასალების, აკუმულატორების და ა.შ.) შეგროვებისა და გადამუშავების სპეციალიზირებული კომპანიები ასევე უნდა ფლობდნენ ლიცენზიებს, რომლებიც მათ ამგვარი საქმიანობის უფლებას ანიჭებენ.

კანონი წყალზე (რეგულაცია #400.000.000.05.001.000.253; 26.10.1997, ბოლო ცვლილება 2020) აწესრიგებს საქართველოში წყლის რესურსებს, მათ შორის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გამოყენებასა და დაცვას. მისი მიზანია უზრუნველყოს წყლის დაცვისა და გამოყენების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამოყენება; წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების სასარგებლოდ; ქვეყნის მოსახლეობისთვის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა; წყლის ფაუნის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება; წყლის დაცვის, სარგებლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვა; წყლის პროდუქტების სამრეწველო წარმოების რეგულირება; და ფიზიკური და იურიდიული ორგანოების უფლება-მოვალეობების დარეგულირება წყლის დაცვასა და გამოყენებაში.

წყლის მიღება ბუნებრივი წყლის ობიექტიდან GRAIL პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული კვების სისტემებისთვის აღნიშნული სისტემების ოპერატორს მოსთხოვს წყლის მოპოვების ტექნიკური გეგმის მომზადებას, რომელიც უნდა შეთანხმდეს და შეტანილ იქნას მონაცემთა ბაზაში MEPA-ს მიერ.

საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (რეგულაცია #370.010.000.05.001.000.080; 12.05.1994, ბოლო ცვლილება 2021) აწესრიგებს ნიადაგის მთლიანობის შენარჩუნებას და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებას; მიწის მესაკუთრეთა, მიწათსარგებლობისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების დამკვიდრებას ნიადაგის დაცვასა და ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფაში; სასუქების გამოყენების არასასურველი უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება საქართველოს მთიანი რელიეფის სუბალპურ და ალპურ ზონებში; და სამელიორაციო ღონისძიებების კოორდინაცია სოფლის მეურნეობის კულტურებით სტაბილური და მაღალი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად.

GRAIL-ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული მიწის სამუშაოების დროს, ნიადაგის ზედა ფენა უნდა მოიხსნას და უნდა მოხდეს მისი მიწის ქვედა ფენისაგან განცალკევებით შენახვა და გამოყენებული უნდა იქნას ტერიტორიის აღდგენისთვის, შევსების შემდეგ. იგივე წესი გავრცელდება ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვების პროცესში წარმოებულ მიწის სამუშაოებზე. ასევე, კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს პროექტის ფარგლებში გამოყენებული საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა საშიში ნივთიერებების შედეგად წარმოქმნილი რისკების მართვა ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (რეგულაცია #420.000.000.05.001.000.595; 22.06.1999, ბოლო ცვლილება 2022) აწესრიგებს უზრუნველყოფილ, შეინარჩუნებულ და გაუმჯობესებულ იქნას ჰაერის ხარისხი, რომელიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; არეგულირებს ემისიებს; მხარს უჭერს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებას; და ხელს უწყობს ჰაერის ხარისხის შესახებ ევროკავშირის მოქმედი სტანდარტების ეტაპობრივ მიღებას საქართველოში.

GRAIL-ის ფარგლებში დაცვა უნდა განხორციელდეს დაბინძურების წერტილოვანი წყაროებიდან დამაბინძურებლების ატმოსფერული ემისიის დადგენილი კონცენტრაციის ზღვრების დაცვით. პროექტის ფარგლებში ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოთხოვნილ იქნას გარემოსდაცვითი დადებითი გადაწყვეტილების მიღება გზშ პროცედურის მეშვეობით, მაგრამ შეიძლება მოთხოვნილ იქნას ტექნიკური გეგმების და ინვენტარიზაციის ანგარიშების შემუშავება ბეტონის საწარმოო ქარხნებიდან ან დაბინძურების სხვა წერტილოვანი წყაროებიდან ემისიების შესახებ, თუ მათ ოპერირებას კონტრაქტორები ახორციელებენ, და ამგვარი ანგარიშების წარდგენა MEPA-ს მიერ უფლებამოსილება მინიჭებული ერთეულისათვის ეროვნულ მონაცემთა ბაზაში იქნება შეტანილი.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსის შესახებ“ (რეგულაცია #390000000.05.001.019838; 22.05.2020, ბოლო ცვლილება 2022) ეს კოდექსი აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ კოდექსის მიზნებია: საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება; ტყის რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის

მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება; ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ტყის მდგრადი მართვა.

ტყის კოდექსი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ GRAIL პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს. ამისათვის საჭიროა ტყით სარგებლობის სპეციალური ოფიციალური ნებართვა. კოდექსი მოითხოვს დამატებით ნებართვას სახელმწიფო ტყეში ხეების ჭრისთვის, თუ ეს აუცილებელია პროექტის საჭიროებისთვის. და ბოლოს, კოდექსი ითვალისწინებს დებულებას სახელმწიფო ტყიდან ტერიტორიის გაუქმების შესახებ, თუ ეს გარდაუვალია პროექტის ალტერნატივების არარსებობის გამო.

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (რეგულაცია #360.050.000.05.001.000.127; 07.03.1996, ბოლო ცვლილება 2022) დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვას და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლების შექმნას.

GRAIL პროექტის ფარგლებში თითოეული ინდივიდუალური ინვესტიცია შემოწმდება განკუთვნილ დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვისთვის, გამოვლენილი იქნება ნებისმიერი შესაძლო ზემოქმედება და თავიდან იქნება აცილებული ან შერბილებული შეძლებისდაგვარად. დაცული ტერიტორიების ტერიტორიაზე საპროექტო აქტივობები არ განხორციელდება

კანონი „წითელი ნუსხისა“ და საქართველოს წითელი წიგნის შესახებ (რეგულაცია #360.060.000.05.001.001.297; 06.06.2003, ბოლო ცვლილება 2021) აწესრიგებს საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შედგენისა და შენახვის წესებს, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში აღმოჩენილი გარეული ცხოველებისა და მცენარეების გადაშენების პირას მყოფ სახეობების იდენტიფიცირებას ახდენს. აღნიშნული კანონი კრძალავს ჩამოთვლილ სახეობებზე და მათ საცხოვრებელ ადგილებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამოწვევას და აწესებს შეზღუდვებს დაცული სახეობის ბუნებრივი გარემოდან მოპოვება/დატაცებაზე.

თუ GRAIL-ის პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები განაპირობებს წითელ ნუსხაში შეტანილი ხეების მოჭრას, მაშინ კონტრაქტორი ვალდებული იქნება კომპენსაცია გადაუხადოს ველური ბუნების სააგენტოს სხვადასხვა სახეობისა და ნიმუშების სხვადასხვა ზომისთვის დადგენილი ოდენობით.

კანონი ნარჩენების მართვის კოდექსის შესახებ (რეგულაცია

#360160000.05.001.017608; 26.12.2014, ბოლო ცვლილება 2022) აღნიშნული კოდექსი აწესრიგებს საკანონმდებლო ბაზას სხვადასხვა სახის ნარჩენების ნაკადის მართვისათვის. იგი ადგენს ნარჩენების მართვის იერარქიას პრევენციიდან საბოლოო განკარგვამდე. კოდექსი, რომელიც აწესებს წრიული ეკონომიის პრინციპებს, ხელს უწყობს ნარჩენების ხელახალ გამოყენებასა და გადამუშავებას.

GRAIL -ის პროექტის განხორციელება გამოიწვევს სხვადასხვა რაოდენობის სამშენებლო ნარჩენების, ჭარბი მასალის, სახიფათო ნარჩენების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას. ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები უნდა განთავსდეს სანიტარიულ ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური კომუნალური სისტემის მეშვეობით, სამშენებლო ნარჩენები არ მიიღება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებში და უნდა განთავსდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ჭარბი მასალა შეზღუდული რაოდენობით შეიძლება მიღებულ იქნეს ნაგავსაყრელებზე, ხოლო დანარჩენი უნდა განადგურდეს სამშენებლო ნარჩენების მსგავსად. ქვეყანაში არ არსებობს საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელები და ასეთი ნარჩენები უნდა გადაეცეს სპეციალიზირებულ კომპანიებს დეაქტივაციის, აღდგენის ან/და გრძელვადიანი შენახვის მიზნით. გზშ პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნას სამშენებლო ნარჩენებისა და მისასვლელი გზებისთვის გამოყენებული მასალის საბოლოო განკარგვისას, იმ შემთხვევაში თუ ეს კეთდება სარწყავი/სადრენაჟე ინფრასტრუქტურის ფარგლებს გარეთ.

კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (რეგულაცია #450.030.000.05.001.002.815; 08.05.2007, ბოლო ცვლილება 2021) ითვალისწინებს ეროვნული კულტურული აქტივების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. იგი არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს; აყალიბებს კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და აღრიცხვის პრინციპებს; ამართლებს ჩვენს წესებს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების შესახებ; და აყალიბებს კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის ჩარჩოებს. კოდექსი მოიცავს შემთხვევითი აღმოჩენების მართვას და წესებს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ფართომასშტაბიანი გათხრების სამუშაოების ნებართვის გაცემის პროცედურებში, გამოყოფილ ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების წინასწარი შესწავლის საფუძველზე.

GRAIL-ის პროექტი გავლენას არ მოახდენს კულტურული მემკვიდრეობის არცერთ ცნობილ ძეგლზე, თუმცა არსებობს შემთხვევითი აღმოჩენების რისკი. ამრიგად, წინამდებარე ESMF-ში გათვალისწინებული შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურები, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის შესაბამისად, უნდა იყოს ჩართული კონტრაქტორის ESMP-ებში და გახდეს ხელშეკრულებით სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების მიმწოდებლებისთვის.

4.2. შრომის კანონები და რეგულაციები

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდან თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე, განურჩევლად რასისა, ფერის, ენის, სქესის, რელიგიისა, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმომავლობის, ქონებისა და წოდებისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი (1995 წ.) ითვალისწინებს, რომ შრომა თავისუფალია, მათ შორის ჯანსაღი სამუშაო პირობების უფლების ჩათვლით.
პროექტზე ვრცელდება შემდეგი სოციალური კანონები და რეგულაციები:

კანონი შრომის კოდექსის შესახებ (რეგულაცია # 270000000.04.001.016012; 17.12.2010, ბოლო შესწორება 2022) ეს კანონი აწესრიგებს შრომისა და ადამიანური რესურსების მართვას საქართველოს ტერიტორიაზე. კოდექსი არეგულირებს შრომით ურთიერთობებს საქართველოში მომუშავე პირებსა და დასაქმებულებს შორის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, განურჩევლად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმისა. იგი მხარს უჭერს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების რეალიზებას სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნის გზით. კოდექსი აყალიბებს დებულებებს დასაქმების გარანტიების, სამუშაო დროის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების შესახებ და ა.შ. შრომის კოდექსი დასაქმებულთა მინიმალურ ასაკად განსაზღვრავს 14 წელს. კოდექსის შესაბამისად 18 წლამდე თანამშრომლებს ეკრძალებათ გარკვეული სამუშაოების შესრულება, და 14-დან 18 წლამდე დასაქმებულთა სამუშაო საათები შეზღუდულია.

შრომის კოდექსის დებულებები გავრცელდება GRAIL-ის პროექტის ყველა თანამშრომელზე, მათ შორის PIU-ების პერსონალზე, სამშენებლო სამუშაოების მწარმოებლებზე და საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებლებზე.

კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (რეგულაცია #270000000.04.001.017910; 19.02.2019, ბოლო ცვლილება 2020) ეს კანონი განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს და ზოგად პრინციპებს სახიფათო, მძიმე, მავნე და/ან საშიში სამუშაოებისთვის. კანონი დამსაქმებლებს აკისრებს ზოგად ვალდებულებას, უზრუნველყონ თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და აცნობონ თანამშრომლებს იმ პოტენციური რისკების შესახებ, რაც მათმა სამუშაომ შეიძლება გამოიწვიოს მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრენინგებითა და საინფორმაციო კამპანიებით, ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებით. კანონი მოიცავს მოთხოვნებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამების ორგანიზებისა და მართვის, გადაუდებელი დახმარებისა და

მომსახურების მიწოდებისა და უბედურ შემთხვევებზე რეაგირების შესახებ. სხვა მოთხოვნები მოიცავს სახიფათო სამუშაო ადგილებზე წვდომის კონტროლს, თანამშრომელთათვის პირადი დამცავი აღჭურვილობის უფასოდ უზრუნველყოფას და სამედიცინო გამოკვლევებს.

ეს კანონი ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს GRAIL-ის პროექტის 1 კომპონენტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე. კონტრაქტორ კომპანიებს მოეთხოვებათ შეაფასონ შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ან სამუშაო ადგილები, შემოიღონ ოპტიმალური ტექნიკური მიდგომები და ქცევითი წესები რისკის შესამცირებლად, უზრუნველყონ თანამშრომლები პირადი დამცავი აღჭურვილობითა და განახორციელონ მათი დისციპლინირებული გამოყენება, ასევე გაატარონ კანონით მოთხოვნილი სხვა პრევენციული ზომები.

4.3. კანონები და დებულებები მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ

საქართველოს გააჩნია მთელი რიგი კანონები, რომლებიც არეგულირებენ მიწის საკუთრების უფლებას და ექსპროპრიაციის პროცესებს. ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ფიზიკური აქტივების კომპენსაცია უნდა მოხდეს ჩანაცვლების სრული ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესაბამისად. კანონები ასევე ითვალისწინებს შემოსავლის დანაკარგების კომპენსაციას (მაგ., მოსავლის დაკარგვის შედეგად მიღებული ზარალი). კანონები ავალდებულებს დაზარალებულ ხალხთან კონსულტაციას და წინასწარ შეტყობინებას, რათა ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი და მიიღონ მონაწილეობა ექსპროპრიაციის პროცესში.

საქართველოს შემდეგი კანონები ეხება მიწათსარგებლობას და მიწის შესყიდვას/ექსპროპრიაციას და შესაბამის პროცესებსა და პროცედურებს:

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის/ექსპროპრიაციის წესის შესახებ **(reg. #020.060.040.05.001.000.670; 23.07.1999, ბოლო ცვლილება 2020)**

ეს კანონი ანიჭებს მთავრობას უფლებამოსილებას ჩამოართვას რეგისტრირებულ მფლობელებს ნებისმიერი ქონება ექსპროპრიაციის გზით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების პროექტებისთვის. გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ რაიონული სასამართლოს მეშვეობით, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება, რომელიც ამართლებს საზოგადოებრივი აუცილებლობის გარდაუვალ ხასიათს. ექსპროპრიატორმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული ძალისხმევა, რათა შეიძინოს ქონება მოლაპარაკების გზით და მოლაპარაკებების დაწყებამდე მოეთხოვება ქონების სამართლიანი საბაზრო ღირებულებით (თავისი ხარჯებით) შეფასება.

მიწის ექსპროპრიაცია ნაკლებად სავარაუდოა GRAIL პროექტის ფარგლებში, რადგან ის მიზნად ისახავს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და, სავარაუდოდ მინიმალური იქნება მსგავსი ფაქტორი თუმცა, მთლიანად ვერ იქნება გამორიცხული. ექსპროპრიაცია შეიძლება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების მიღწევის ყველა მცდელობა წარუმატებელი ხდება და არ არსებობს გონივრული პროექტის ალტერნატივა, რომელიც საშუალებას მისცემს მოხდეს კერძო საკუთრების გვერდის ავლა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ # 370.020.000.05.001.000.244; 02.10.1997, ბოლო ცვლილება 2019) ამ კანონის მიზანია, დააწესოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის, გამოყენების ან განკარგვის დროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო საკომპენსაციო თანხების ოდენობა საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების მიხედვით, მისი გადახდისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის წესი და პირობები, აგრეთვე განსაზღვროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის ან მოსარგებლისათვის მიწის ნაკვეთის დროებითი სარგებლობით, მისი უფლებების შეზღუდვით ან მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხები. თუ სასოფლო-სამეურნეო მიწები ამოღებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან, კანონი მოითხოვს, რომ მიწის ჩანაცვლების საფასური ექვივალენტური ზომის და ხარისხის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ხარჯების დასაფარად ანაზღააურებულ იქნას და ამ მიწის მფლობელს/მომხმარებელს სრულად აუნაზღაურდეს ზიანი.

ეს კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ GRAIL-ის პროექტის განხორციელება სამშენებლო სამუშაოების დროს ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო მიწებს ან ნათესებს. განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე და სხვა აქტივებზე ზემოქმედების კომპენსაციის უფლებას.

4.4. საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური ხელშეკრულებები

ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (რატიფიცირებულია 2000 წელს) ეს კონვენცია დახმარებას უწევს წევრ ქვეყნებს დაამყარონ საზოგადოების (ფიზიკური პირებისა და მათი ასოციაციების) უფლებები, მიიღონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, რომელსაც ფლობს სახელმწიფო ხელისუფლება. . აღნიშნული კონვენცია შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ასევე მიღებულ პოლიტიკასა თუ ზომებზე, ან ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, რაზეც შეიძლება გავლენა იქონიოს გარემოს მდგომარეობამ. გარდა ამისა, სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, აქტიურად გაავრცელოს მათ ხელთ არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაცია. კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, ქვეყანამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს მოქალაქეთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით საკითხებში. აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებს გარანტიების პაკეტის უზრუნველყოფას, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებას, სთხოვონ ეროვნულ სასამართლოს შეამოწმონ, პატივს სცემდა თუ არა სახელმწიფო ხელისუფლება უფლებებს და შეასრულა თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები.

ორჰუსის კონვენციის პრინციპები გათვალისწინებულია კანონში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ. როგორც კონვენცია, ასევე კოდექსი ითვალისწინებს გზშ-ს ანგარიშების გამჟღავნებას, რომლებიც შეიძლება მომზადდეს GRAIL პროექტის ფარგლებში ინდივიდუალური ინვესტიციებისთვის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს და საზოგადოების უკუკავშირის შემუშავებას დოკუმენტებში, შეძლებისდაგვარად. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გზშ დოკუმენტების პროექტზე საკონსულტაციო შეხვედრებით, არამედ გაგრძელდება პროექტის განხორციელების განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების განმეორებითი მონაწილეობა პროექტის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის მისი გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ. აღნიშნული პროცესი ფორმალიზებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში (SEP), რომელიც მომზადებულია GRAIL პროექტისთვის.

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ (ბერნის) კონვენცია ემსახურება გადაშენების პირას მყოფი სახეობების და მათი ჰაბიტატების, მათ შორის გადამფრენი სახეობების შენარჩუნებას.

კონვენციის თანახმად, საქართველო ვალდებულია შექმნას და შეინარჩუნოს „განსაკუთრებული კონსერვაციის ინტერესების ზონები “, ასევე ცნობილი როგორც ზურმუხტის ტერიტორია (ევროკავშირის „ნატურა 2000-ის “ზონების მსგავსი), რომლებიც ერთობლივად შეადგენს ზურმუხტის ქსელს. ზურმუხტის ქსელი შეიქმნა ფლორისა და ფაუნის სახეობების და მათი ჰაბიტატების შესანარჩუნებლად და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების მხარდასაჭერად. დირექტივა ჰაბიტატების და დირექტივა ფრინველების შესახებ აწესებენ მოთხოვნებს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად და მოითხოვენ ზომების განხორციელებას პოტენციური ზემოქმედების დასაშვებ დონემდე შესამცირებლად და ღირებული ბიომრავალფეროვნების დანაკარგების კომპენსაციის მიზნით.

GRAIL-ის პროექტი არ განახორციელებს საქმიანობას მკაცრად დაცულ ბუნებრივ ადგილებში. თუ არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მოითხოვს სამუშაოების ჩატარებას დაცული ტერიტორიების სხვა ზონებში, ოფიციალური ნებართვა იქნება მოთხოვნილი დაცული ტერიტორიების სააგენტოდან. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ინტერვენცია განხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე, MEPA მიიღებს გადაწყვეტილებას, უნდა განხორციელდეს თუ არა ზურმუხტის ობიექტზე ზემოქმედების შეფასება, რათა დარწმუნდეს, რომ დაგეგმილი აქტივობები არ ეწინააღმდეგება მოცემული ზონის კონსერვაციის მიზნებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური, მმართველობითი და ტექნიკური კონვენციები (ILO) მოიცავს დასაქმების პოლიტიკის, ანაზღაურების, ანაზღაურებადი შვებულების, ადამიანური რესურსების განვითარების, მინიმალური ასაკის, ასოციაციის თავისუფლების და სხვა შესაბამისი რეგულაციების, აგრეთვე იძულებითი შრომის, ბავშვთა შრომისა და დისკრიმინაციის აკრძალვას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების პრინციპები შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსსა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში. სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვა, იძულებითი და ბავშვთა შრომის აკრძალვა, რეგულირებული სამუშაო საათები, საკმარისი დრო დღის განმავლობაში დასვენებისთვის, ყოველწლიური, ავადმყოფობის, სამშობიარო და სხვა სახის დასაშვები შვებულება სამუშაოდან, თანამშრომელთა ასოციაციის თავისუფლება და სხვა ფუნდამენტური ელემენტები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები სრულად იქნება გამოყენებული GRAIL პროექტის ფარგლებში დასააქმებული პირებისათვის.

4.5. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები

ვინაიდან GRAIL პროექტი განხორციელდება მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური საკანონმდებლო

მოთხოვნების პარალელურად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF) მოთხოვნებს. ESF მოიცავს 10 ESSs.

GRAIL პროექტთან დაკავშირებული შემდეგი ESS -ები:

ESS1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა: რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიკაცია, კონტროლი და მონიტორინგი, მათ შორის, მოქმედი მოთხოვნებისა და მონიტორინგის შედეგების იდენტიფიკაცია.

ESS2: შრომითი და სამუშაო პირობები: შრომითი ურთიერთობები, დასაქმების წესები, შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სამუშაო ძალის დაცვა, თანამშრომელთა საჩივრების მექანიზმი, სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულებები და ქვეკონტრაქტორები თანამშრომლებისთვის.

ESS3: რესურსების ეფექტური გამოყენება და დაბინძურების პრევენცია და მართვა: რესურსების კონსერვაცია და ნარჩენებისა და დაბინძურების კონტროლი/პრევენცია.

ESS4: თემების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: თემებზე რისკებისა და ზემოქმედების თავიდან აცილება და კონტროლი პროექტის აქტივობების და თანამშრომლების, საგანგებო სიტუაციების, უსაფრთხოების და სხვა ფაქტორებისგან გამომდინარე.

ESS5: მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვა და არანებაყოფლობითი განსახლება: იდენტიფიკაცია, დაგეგმვა, თავიდან აცილება/რეაგირება პროექტის აქტივობების გამო ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილების აუცილებლობაზე, ინფორმაციის გამჟღავნებისა და კონსულტაციის ჩათვლით.

ESS6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა: ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვა და კონსერვაცია, ადგილობრივი თემების საარსებო წყაროს მხარდაჭერა.

ESS8: კულტურული მემკვიდრეობა: მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ESS10: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება: ადგილობრივი და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ჩართულობა პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, პროექტის ინფორმაციის გამჟღავნება, საჩივრების განხილვის მექანიზმი გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

მსოფლიო ბანკი შემოთავაზებულ პროექტებს ოთხ რისკ კატეგორიის კლასად

ყოფს: დაბალი, ზომიერი, მნიშვნელოვანი და მაღალი. GRAIL-ის პროექტის მხარდაჭერით განსახორციელებელ აქტივობებს მიეკუთვნება არსებითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორია. აღნიშნულ კლასებად დაყოფა განპირობებულია პროექტის ზემოქმედების ზონაში მგრძნობიარე გარემოთი და სოციალური რეცეპტორებით, მიწის შესყიდვისა და იძულებითი განსახლების ალბათობით და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოების წინასწარი გამოვლენის გარეშე ESF-ის მოთხოვნებთან შესაბამისად. რისკის კატეგორია შეიძლება გადაიხედოს პროექტის მიმდინარეობისას იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ბანკი დაადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას რისკის დონის განმსაზღვრელ გარემოებებში.

ცხრილში 2 მოცემულია შესაბამისი ESS-ების მოთხოვნებსა და პროექტთან დაკავშირებულ საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას შორის არსებული ძირითადი განსხვავების შეჯამება. იქ სადაც აღნიშნული ორი ტიპის მოთხოვნებს შორის არსებობს განსხვავება პროექტის განხორციელებისას უფრო მკაცრი მოთხოვნები იქნება გამოყენებული.

ცხრილი 2. ეროვნული და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს შორის ძირითადი განსხვავების შეჯამება გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებში

ESS &თემა	ESF მოთხოვნები	ეროვნული მოთხოვნები და მათი ხარვეზები	აღნიშნული უკმარისობის დაძლევის მიდგომა
ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა			
E&S შეფასება	სკრინინგი საჭიროა ყველა აქტივობისთვის E&S მენეჯმენტისთვის საჭირო პროცედურებისა და ინსტრუმენტების დასადგენად	E&S მართვის პროცედურები და ინსტრუმენტები წინასწარ არის განსაზღვრული გზშ კოდექსის I დანართში ჩამოთვლილი საქმიანობისთვის; სკრინინგი საჭიროა გზშ კოდექსის II დანართში ჩამოთვლილი აქტივობებისთვის; არ არის საჭირო კომპლექსური ანალიზი ყველა დანარჩენი ტიპის აქტივობისათვის	ეროვნულ მოთხოვნასთან ერთად, იმ აქტივობების სკრინინგის ჩატარება, რომლებიც არ არის წარმოდგენილი გზშ კოდექსის I დანართის ჩამონათვალსა და II დანართის ჩამონათვალში
	სრულმასშტაბიანი ESIA-ს განხორციელების საჭიროება განისაზღვრება თითოეული ინდივიდუალური აქტივობისთვის, მისი ბუნების, მდებარეობის, მგრძნობიარე E&S რეცეპტორების არსებობის, მოსალოდნელი ზემოქმედების სირთულის და აღნიშნული ზემოქმედების შესახებ წინასწარ	გზშ-ის საჭიროება დადგენილია კონკრეტული ტიპის აქტივობებისთვის (მათი მასშტაბის ჩათვლით) მიუხედავად მათი მდებარეობის, მგრძნობიარე რეცეპტორებთან სიახლოვისა და სხვა სპეციფიკური გარემოებებისა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩამოთვლილია გზშ კოდექსის I დანართში; გზშ კოდექსის II	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების სრულმასშტაბიანი შეფასების საჭიროება თითოეული ცალკეული აქტივობისთვის და ის უნდა განხორციელდეს ყველა შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელი ზემოქმედება არ არის კარგად ცნობილი წინასწარ, არ არის კომპლექსური,

	ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობის გათვალისწინებით, ადექვატური შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების გამოწვევების გათვალისწინებით და ა.შ.	დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე მიიღება ცალკეული გადაწყვეტილება გზშ-ს საჭიროების შესახებ; გზშ-ს საჭიროება არ არის შეფასებული აქტივობებისთვის, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი გზშ კოდექსის რომელიმე დანართში.	გავრცელებულია საქმიანობის უშუალო არეალის მიღმა და შეიძლება საჭიროებდეს მოცემულ გარემოებებზე მორგებულ არატრადიციულ შემარბილებელ ზომებს.
	ESF აწესებს თანაბარ მოთხოვნებს E&S, რისკებისა და ზემოქმედების შეფასებისა და მართვისთვის.	არსებობს მოლოდინი, რომ გზშ მოიცავს საქმიანობის სოციალურ ასპექტებს, მაგრამ აქცენტი კეთდება გარემოსდაცვით მხარეზე, ხოლო სოციალური კომპლექსური ანალიზის მოთხოვნები ზედაპირულია.	უზრუნველყოს ESIA-ს პროცესში საქმიანობის E&S ასპექტების სიმეტრიულ დაფარვას, სოციალური ზემოქმედების ყოვლისმომცველი შეფასების ჩათვლით.
	რამდენადაც შესაძლებელია, საჭიროა მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების კომპენსირება რამდენადაც ეს შესაძლებელია.	არ საჭიროებს მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების კომპენსირებას.	კომპენსაციების მიზანშეწონილობის შესწავლა და მათი განხორციელება მიზანშეწონილობის შეფასების შედეგის საფუძველზე.
	მოწყვლადი და შეჭირვებაში მყოფი პირების მიმართ დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო პროექტის დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მნიშვნელოვანი მონაწილეობა პროექტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში,	არ არის საჭირო მოწყვლადი და შეჭირვებაში მყოფი პირების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის შემუშავება, რათა მოხდეს მოწყვლადი და შეჭირვებაში მყოფი პირების მნიშვნელოვანი ჩართულობის ხელშეწყობა ზოგადი	მოწყვლადი და შეჭირვებაში მყოფი პირების ESIA -ის რუკაზე დატანის პროცესში ჩართვა და მათი საჭიროებების კურსზე გაყოლა პროექტის დიზაინისა და განხორციელების მოდალობაში.

	დასაბუთებული ზემოქმედების შერბილების ზომების შემუშავება და პროექტის სარგებლის სამართლიანი გაზიარების უზრუნველყოფა.	ეროვნული ნორმებისა და რეგულაციების მიღმა.	
პროექტის მონიტორინგი & ანგარიშგება	პროექტის ინიციატორი ვალდებულია განახორციელოს სამუშაოების რეგულარული E&S მონიტორინგი პროექტის ინიციატორის მიერ შემუშავებული მონიტორინგის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს გარანტია მასზედ, რომ სამუშაოების კონტრაქტორები ატარებენ დადგენილ შემარბილებელ ზომებს და განახორციელოს მაკორექტირებელი ქმედება E&S სუსტი შესრულების შემთხვევაში. პროექტის ინიციატორის ESMP (ჩართულია ESIA-ს ანგარიშში თვითმყოფადობის შესახებ) განსაზღვრავს E&S შესრულების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სიხშირეს და ფორმატს.	პროექტის ინიციატორს არ მოეთხოვება მონიტორინგის გეგმის შედგენა. მონიტორინგის მოთხოვნებს ადგენს ეროვნული ორგანო და შედის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ნებართვის) პირობებში. არ ტარდება E&S მონიტორინგი იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება სრულმასშტაბიან გზშ-ს და გარემოსდაცვით ნებართვას. პროექტის ინიციატორი არ ქმნის E&S მონიტორინგის მონაცემებს, არამედ იყენებს სამუშაოების კონტრაქტორების მიერ თვითმონიტორინგის მონაცემებს. E&S მონიტორინგის უნივერსალური ფორმა, რომელიც გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ნებართვით) რეგულირდება ყველა	მოთხოვნა მასზედ, რომ ESMP, მათ შორის E&S მონიტორინგის გეგმა, შემუშავდეს ოპერაციებისთვის მოსალოდნელი E&S ზემოქმედებით. მოთხოვნა მასზედ, რომ პროექტის გინიციატორმა განახორციელოს რეგულარული E&S მონიტორინგი ESMP-ში მითითებული პირობების შესაბამისად და მოამზადოს მონიტორინგის ანგარიშები. მოთხოვნა მასზედ, რომ პროექტის ინიციატორმა აიღოს პასუხისმგებლობა E&S შესრულებაზე პროექტის ფარგლებში და გამოიყენოს მონიტორინგის შედეგები მაკორექტირებელი ქმედებების დროული გამოყენებისთვის.

	E&S ანგარიშგებას ახორციელებს პროექტის ინიციატორი და მისი შედეგები გამოიყენება პროექტის ინიციატორის მიერ ადაპტირებული მართვისთვის.	ოპერაციისთვის, არის ნარჩენი ზემოქმედების შეფასება და მისი შედეგების წარდგენა ხდება სახელმწიფო ორგანოში. პროექტის ინიციატორი უშუალოდ არის პასუხისმგებელი მონიტორინგის ანგარიშების წარდგენაზე ეროვნული ორგანოსთვის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ნებართვის) პირობებში დადგენილის შესაბამისად, მაგრამ არ არის განსაზღვრული მკაფიო პასუხისმგებლობა კონტრაქტორების კარგი E&S შესრულების უზრუნველსაყოფად და არ იყენებს სანქციებს კონტრაქტორებზე, რომლებიც არ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს. MEPA-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლისა და აღსრულების ფუნქციებს.	
	მესამე მხარის მონიტორინგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მონიტორინგის შესაძლებლობების გასაძლიერებლად და/ან	მესამე მხარის მონიტორინგი არ ხორციელდება.	იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი მათი მხრიდან.

	სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების მიერ E&S ზემოქმედების მიუკერძოებელი გარე მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.		
ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	ყველა პროექტისთვის, რომელიც ასევე მოიცავს E&S რისკებს ზემოქმედებისა და სარგებლის შესახებ, ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საჭიროა მთელი პროექტის განმავლობაში. პროექტის ინიციატორმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა.	გზშ კოდექსი აწესებს სკრინინგის ანგარიშებისა და გზშ ანგარიშების სამუშაო ვერსიების გამჟღავნებას. ეროვნული ხელისუფლება აღნიშნულ დოკუმენტებზე საჯარო კონსულტაციებს ატარებს. გზშ კოდექსი აწესებს პროექტის ინიციატორის ანგარიშის გამჟღავნებას დასრულებული პროექტის ნარჩენი E&S ზემოქმედების შესახებ. მთელი პროექტის განმავლობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ მოთხოვნა არ არსებობს.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემუშავება და განხორციელება.
ESS2: შრომითი და სამუშაო პირობები			
სამუშაო პირობები და შრომითი ურთიერთობების მართვა	პროექტის განხორციელებაში ჩართული ინსტიტუციები, სამუშაოების კონტრაქტორების ჩათვლით, ვალდებულნი არიან გაატარონ შრომის მართვის	დაწესებულებებს არ მოეთხოვებათ აწაარმოონ საკუთარი LMP. მოთხოვნა შემოიფარგლება საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობით	შეიმუშავონ და დანერგონ LMP პროექტისთვის და აიძულონ კონტრაქტორები დანერგონ საკუთარი LMP, რომელიც შეესაბამება პროექტის LMP-ს.

	პროცედურები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმების პირობებს, ხელფასების, სამუშაო საათების და ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით; დასვენებისა და სამედიცინო შვებულების უფლება, დაზღვევა, სამუშაო ადგილზე დაბინავების სტანდარტები და სხვა. კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ და მიიღონ ქცევის კოდექსი, რომლის მეშვეობითაც ისინი შეასრულებენ ვალდებულებას დისკრიმინაციისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების, ბავშვთა და იძულებითი შრომის შეზღუდვის, SEA/SH-ის მიუღებლობის, ადგილობრივი თემებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე და სხვა სათანადო ქცევას.	ქცევის კოდექსი არ არის განსაზღვრული და მოთხოვნილი ეროვნული კანონმდებლობით.	დაავალდებულონ კონტრაქტორები დანერგონ და დაიცვან ქცევის კოდექსი.

საჩივრების განხილვის მექანიზმი	კონტრაქტორებს და კონსულტანტებს, რომლებიც დაქირავებულნი არიან პროექტის განსახორციელებლად, უნდა ჰქონდეთ GRM თავიანთი პერსონალისა და დაქირავებული პირებისათვის.	სამუშაოების კონტრაქტორებისთვის GRM-ის პრაქტიკის მოთხოვნა არ არსებობს.	მოსთხოვონ კონტრაქტორებს შექმნან და აწარმოონ GRM თანამშრომლეობისათვის.
შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	პროექტის ინიციატორს მოეთხოვება ჩამოაყალიბოს და აღასრულოს კონტრაქტორების მიერ OHS სტანდარტებთან შესაბამისობა WBG-ის სექტორის სპეციფიკური EHS სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. პროექტის ინიციატორი ვალდებულია განახორციელოს სამუშაოების კონტრაქტორების OHS-ის შესრულების რეგულარული მონიტორინგი, გამოიყენოს პრევენციული ზომები ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში და განახორციელოს OHS პრაქტიკის გაუმჯობესების მოთხოვნები კონტრაქტორების მიერ.	საქართველოს შრომის კოდექსი და კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ შეესაბამება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ESS 2 და EHS გაიდლაინებს, მაგრამ აღსრულების მექანიზმი სუსტია. პროექტის ინიციატორს მოეთხოვება იყოლიოს OHS-ის შიდა პერსონალის განსაზღვრული რაოდენობა ან ნახევარ განაკვეთზე მომუშაავე კონსულტანტი, თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით. არ არის საჭირო მოცემულ პროექტზე OHS სპეციალისტის დანიშვნა. არც პროექტის ინიციატორს და არც ეროვნულ ორგანოს არ მოეთხოვებათ განახორციელონ OHS-ის ეფექტურობის და	- სამუშაო კონტრაქტებში OHS მოთხოვნების ჩართვა; - იყოლიოს შემუშავებული OHS სპეციალისტი(ები), რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ პროექტის განხორციელებას; - განახორციელონ რეგულარული OHS მონიტორინგი და აღრიცხონ შედეგები; - დაავალონ სამუშაოების კონტრაქტორებს კარგი OHS პრაქტიკის ჩამოყალიბება და აქტიურად განახორციელონ აღნიშნული პრაქტიკის დაცვა.

		შედეგების დასაბუთების რეგულარული მონიტორინგი. ეროვნული ხელისუფლება ატარებს პერიოდულ შემოწმებას ან რეაგირებს ინციდენტებზე.	
თანამშრომლები დაქირავებულნი ადგილობრივი თემებიდან	სამუშაო პირობებისა და OHS-ის მოთხოვნები გავრცელებული ადგილობრივი თემებიდან დაქირავებულ თანამშრომლებზე.	არანაირი მოთხოვნა არ ვრცელდება აადგილობრივი თემებიდან დაქირავებულ თანამშრომლებზე	სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასთან და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული მოთხოვნების გამოყენებადობის გაზრდა ადგილობრივი თემებიდან დაქირავებულ თანამშრომლებზე
ძირითადი თანამშრომლები	პროექტის ინიციატორი ვალდებულია სათანადოდ მოეპყროს ძირითად თანამშრომლებს მათ მიერ ბავშვთა შრომის ან/და იძულებითი შრომის გამოყენების რისკების სკრინინგის გზით, მუშების დისკრიმინაცია რასის, ეროვნების, სქესის და სხვაა მსგავსი პირობების გათვალისწინებით, და პერსონალისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შეუსრულებლობის აღმოფხვრის გზით. იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის მეშვეობით	პროექტის ინიციატორი არ არის პასუხისმგებელი მიმწოდებლების მიერ შრომის მათვისა და შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკის გატარებაზე. სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებს ევალებათ აღასრულონ მომწოდებლების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები.	გამოვლენილია ძირითადი მომწოდებლების კონტროლი შრომის სუსტი მართვისა და OHS პრაქტიკის წინააღმდეგ და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება უკიდურესად სუსტი ეფექტურობის გამოვლენა.

	გამოვლინდა ამგვარი საკითხები, პროექტის ინიციატორმა მომწოდებლებს უნდა მოსთხოვოს მაკორექტირებელი ზომების მიღება ან, თუ აღნიშნული პრობლემები კვლავ აქტიური რჩებაა, პროექტის ინიციატორმა უნდა ჩაანაცვლოს სამუშაოს მსგავსი ძირითადი მომწოდებლები.		
ESS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა			
ენერგიის მოხმარება	ენერგო ინტენსიური პროექტებისთვის, პროექტის ინიციატორი ვალდებულია დაიცვას მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა უზრუნველყოს ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელი ზომით.	მოქმედებს ეროვნული კანონები ენერგოეფექტურობისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ.	ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად WBG-ის EHS გაიდლაინების დაცვა.
წყლის მოხმარება	წყლის ინტენსიური პროექტებისთვის საჭიროა წყლის ბალანსის გაანგარიშება, წყლის სპეციფიკური მოხმარების	წყლის ბალანსის გაანგარიშება საჭიროა გზშ-ს პროცესში, მაგრამ არა კონკრეტული წყლის მოხმარების შეფასება. ეროვნული	პროექტის ზემოქმედების გამოკვლევა ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე და წყლის სხვა მომხმარებლებზე წყალშემკრები

	შეფასება (გამოყენებული წყლის მოცულობა წარმოების ერთეულზე), პროექტის ზემოქმედების ანალიზი წყალზე დამოკიდებულ თემებზე და სხვა მომხმარებლებზე და წყლის დაზოგვის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენება. კლიმატის ცვლილების ზემოქმედება უნდა იყოს გათვალისწინებული და დაამუშავებული წყლის ინტენსიური პროექტების დიზაინში.	კანონმდებლობა პრიორიტეტს ანიჭებს მუნიციპალურ წყალმომარაგებას საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, ვიდრე წყლის სხვა ტიპის მოხმარებისთვის. ცალსახად არ არის გათვალისწინებული წყლის გაზიარების (მაგ., ირიგაციის, ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის და სხვა) ან წყლის დაზოგვის კონკრეტული მოთხოვნები და პრინციპები. არანაირი გამოკვლევა არ გამოიყენება წყლის ინტენსიურ პროექტებში კლიმატის პერსპექტივის შესაქმნელად.	აუზის ფარგლებში და შემარბილებელი ზომების გამოყენება. პროექტისთვის საინჟინრო გადაწყვეტილებების/მიდგომების შემუშავებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატ-დიზაინის პრინციპები.
დაუმუშევებელი მასალების გამოყენება	პროექტებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებენ დაუმუშავებელი მასალების მნიშვნელოვან მოცულობას, პროექტის ინიციატორი ვალდებულია მიიღოს ზომები, რომლებიც მითითებულია WBG-ის EHS სახელმძღვანელოში, რათა მხარი დაუჭიროს დაუმუშავებელი მასალების ეფექტურად გამოყენებას ტექნიკურად და	არ არსებობს მოთხოვნები დაუმუშავებელი მასალების გამოყენების ოპტიმიზაციისთვის.	WBG-ის EHS გაიდლაინების დაცვა, რათა მოხდეს დაუმუშავებელი მასალების გამოყენების ოპტიმიზაცია პროექტებში, რომლებზეც არსებობს მოლოდინი, რომ დიდი მოცულობებით მოხდება მათი გამოყენება.

	ფინანსურად შესაძლებელ ფარგლებში.		
	ბუნებრივი სამშენებლო მასალის (ქვიშა და ხრეში) მოპოვება მდინარის კალაპოტიდან ითვლება გარემოს მავნე ზემოქმედების ცუდ პრაქტიკად და აკრძალულია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. მასალის მოპოვების ადგილების დროული აღდგენა სავალდებულოა.	მდინარის კალაპოტიდან მასალის მოპოვება ცალსახად არ არის აკრძალული. რეკომენდირებულია, რომ მოპოვება მოხდეს ნალექის ბუნებრივი აგლომერაციით. ტერიტორია, რომელზეც გაცემულია მოპოვების ლიცენზია შეიძლება მოიცავდეს მდინარის კალაპოტს (თავდაპირველი მდგომარეობის ან ხვეულის შედეგად). . დაუმუშაავებელი მასალების მოპოვების ადგილის აღდგენის გეგმა აუცილებელია და დამტკიცებას ექვემდებარება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ხოლო მოპოვების ლიცენზიას გასცემს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო. აღდგენის გეგმების აღსრულების დონე ძალიან დაბალია. აღდგენის პროცედურა, როგორც წესი, არ იწყება სანამ მთელი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული და	აიკრძალოს მასალის მოპოვება მდინარის არხიდან. MEPA-ს მიერ დამტკიცებული ტერიტორიის აღდგენის გეგმის მოპოვება კონტრაქტორის მიერ ხელთ არსებული სალიცენზიო დოკუმენტების შესაბამისაად და მისი შესრულების მონიტორინგი. MEPA-ს ინფორმირება MEPA-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ტერიტორიის აღდგენის გეგმის მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ.

		ლიცენზიას ვადა არ ამოიწურება წლების მუშაობის შემდეგ.	
დაბინძურების პრევენცია და მართვა	პროექტის ინიციატორი ვალდებულია თავიდან აიცილოს დამაბინძურებლების გამოყოფა ან, როდესაც დააბინძურების თავიდან აცილება შეუძლებელია, მინიმუმამდე დაიყვანოს და გააკონტროლოს მათი გამოყოფის კონცენტრაცია და მასობრივი ნაკადი ეროვნული კანონმდებლობით ან WBG-ის EHS გაიდლაინებით განსაზღვრული დონეებისა და ზომების გამოყენებით, დაექვემდებაროს აღნიშნული ორი პირობებიდან ყველაზე მკაცრ დებულებებს. აღნიშნული პირობა ეხება ჰაერში, წყალსა და მიწაზე დამაბინძურებლების გამოყოფას.	ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურების მართვა ხდება ჰაერის ხარისხის მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსის, წყლის შესახებ კანონის და ემისიებსა და გამონადენში დამაბინძურებლების ნებადართული კონცენტრაციის ზღვრული დასაშვები ნორმების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია ზემოაღნიშნული კანონების აღსრულების ხელშემწყობი კანონქვემდებარე აქტებითა და რეგულაციებით.	პროექტის ინიციატორმა უნდა შეადაროს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და WBG-ის EHS გაიდლაინების შესაბამისი პუნქტები, რათა გამოავლინოს ის სფეროები, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნულ სტანდარტებზე მაღალი მოთხოვნების სტანდარტები და შეეცადოს მიაღწიოს მათ ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში
	ESS4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება		
საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	პროექტის ინიციატორს მოეთხოვება მოახდინოს პროექტის ზემოქმედების ზონაში მყოფი თემების ინფორმირება	არ არსებობს კონკრეტული მოთხოვნები მუშახელის ნაკადის და სხვა რისკების სამართავად, რომლებსაც ადგილობრივი თემები	მოთხოვნა პროექტის ინიციატორის მიმართ შეაფასოს ადგილობრივ თემებზე უარყოფითი ზემოქმედების

	მიმდინარე და მომავალი სამუშაოების შესახებ და გაუმჟღავნოს მათ ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაცია იმისათვის, რომ მოხდეს ადგილობრივი თემებისათვის GRM-ზე წვდომის გამარტივება. პროექტის ინიციატორი ვალდებულია შეაფასოს თემებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები პროექტის ზემოქმედების ზონაში და გამოიყენოს ზემოქმედების შემარბილებელი ზომები იერარქიულად ადგილობრივი თემების რისკების შესამცირებლად. - შემოსული მუშახელისაგან კულტურული, ეკონომიკური და ჯანმრთელობის ზიანის ქვეშ ყოფნა, - საგზაო შემთხვევებში მოხვედრა კონტრაქტორების აღჭურვილობისა და ტექნიკის მონაწილეობით,	აწყდებიან. სამუშაო უბნებზე ყველა აქტივობა ექვემდებარება ზოგად ეროვნულ კანონმდებლობას და ნებისმიერ სპეციფიკურ რეგულაციას, რომელიც შეიძლება ძალაში შევიდეს ინფექციური დაავადების გავრცელების შემთხვევაში.	რისკები და გამოიყენოს ზემოქმედების შემარბილებელი ზომები იერარქიულად რისკების მართვაში.

	- სამუშაო უბნებზე წარმოქმნილი დაბინძურების შედეგად ჯანმრთელობაზე ზემოქმედება - პროექტის გარემოზე ზემოქმედების შედეგად დაკარგული ეკოსისტემური სერვისების ხელმისაწვდომობის შემცირება და სხვა.		
უსაფრთხოების პერსონალი	პროექტის ინიციატორი ვალდებულია განახორციელოს კომპლექსური შესწავლა უსაფრთხოების პერსონალის შერჩევისას, მათი საქმიანობის განხილვის და მათი მუშაობის მონიტორინგის გზით, რათა გამოირიცხოს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ადგილობრივი თემებისთვის სიმშვიდის დარღვევა და სხვა არასათანადო ქცევა.	არანაირი მოთხოვნა/პასუხისმგებლობა, გარდა უსაფრთხოების სერტიფიცირებული პერსონალის დაქირავებისა, არ არის დაკისრებული მსგავსი პერსონალის მომხმარებლისთვის მათი დაქირავების დროს.	მოთხოვნა პროექტის ინიციატორის მიმართ კომპლექსური შესწავლის ჩატარებაზე უსაფრთხოების პერსონალის შერჩევისა და მუშაობის მონიტორინგის დროს.
ESS5: მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება			
გამოყენებადობა	ESIA ანგარიში საჭიროა იძულებითი განსახლების	გზშ ანგარიში არ არის საჭირო იძულებითი განსახლების	არანებაყოფლობითი განსახლების, გამოყენების

	საჭიროების, მასშტაბის, ზემოქმედებისა და მათი შემარბილებები ზომების შესახებ ჩატარებული შეფასების მიმოხილვისათვის. არანებაყოფლობითი განსახლების პროცედურები ვრცელდება მიწისა და სხვა ქონების როგორც კანონიერ, ისე არაკანონიერ მომხმარებლებზე. იძულებითი განსახლების პროცედურები ვრცელდება საარსებო წყაროს დაკარგვაზე უფრო ფართო გაგებით, ვიდრე მატერიალური ქონების დაკარგვა.	საჭიროების, მისი ფარგლებისა და ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. არანებაყოფლობითი განსახლების პროცედურები ვრცელდება მხოლოდ კანონიერ და „დაკანონებად“ქონების მფლობელებზე (ანუ მათზე, ვისაც კანონიერი პრეტენზია აქვს მიწაზე და ქონებაზე, რომელიც შეიძლება იყოს რეგისტრირებული ეროვნული კანონმდებლობით), მაგრამ არა არაკანონიერ მომხმარებლებზე. არ არსებობს პროცედურები პროექტის განხორციელების შედეგად საარსებო წყაროს დაკარგვის შესაფასებლად.	სფეროს, ზემოქმედების და მათი შემარბილებელი საჭიროების შეფასების შეჯამების დანერგვა. არა მხოლოდ დაზარალებული ადამიანების მატერიალური ზარალის, არამედ საარსებო წყაროზე გავლენის შეფასებაც.
ზოგადი ინფორმაცია	პროექტის დაპროექტება ისე უნდა მოხდეს, რომ თავიდან უნდა აცილებული/მინიმალურად შემცირებული გადაადგილების საჭიროება. დაზარალებულ ადამიანები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი ჩანაცვლების ხარჯებით და უნდა გაეწიოთ დახმარება (მათ შორის	არ არსებობს კონკრეტული მოთხოვნა გადაადგილების თავიდან ასაცილებლად. არსებობს რეგულაციები, რათა უზრუნველყოფილ იქნას განსახლების ხარჯი და უზრუნველყოფილ იქნას მიწის ნაკვეთის კომპენსაციის შეთავაზება, სადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ არა	RAP-ის შემუშავება და განხორციელება, რომელიც აკმაყოფილებს ESS5-ის მოთხოვნებს ზემოქმედების ზონაში სამუშაოების დაწყებამდე. მსოფლიო ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი RAP-ის

	საარსებო წყაროს აღდგენა), შესთავაზონ მიწის ნაკვეთის კომპენსაცია, სადაც ეს შესაძლებელია და სრული კომპენსაცია მიიღონ დაზარალებამდე მოხვედრამდე. უნდა შემუშავდეს ყოვლისმომცველი RAP, რომელიც ჩამოაყალიბებს კომპენსაციის მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მონაცემებს აღწერიდან, განსაზღვრავს შეწყვეტის თარიღებს, განიხილავს სპეციალურ მოპყრობას მოწყვლადი და შეჭირვებაში მყოფი მოქალაქეებისთვის და მოიცავს მონიტორინგის გეგმას. RAP უნდა იყოს შემუშავებული მონაწილეობითი ფორმით და საგნობრივად განხილული დაზარალებულ პირებთან. GRM ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაზარალებულთათვის. RAP-ის განხორციელების დასრულების ანგარიში უნდა მომზადდეს პროცესის შედეგების დასაბუთებით. აუდიტი უნდა	მოთხოვნა საარსებო წყაროს აღდგენის ან სხვა შემწეობების შესახებ. არანაირი მოთხოვნა საჯარო კონსულტაციებზე და არანაირი დამატებითი მოთხოვნა მოწყვლადი პირებისთვის. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით GRM-ის შექმნასა და ფუნქციონირებაზე სრულად დაფარვასთან ერთად დაარსებისა და ფუნქციონირების მოთხოვნა არ არის. არ არსებობს მოთხოვნა დეტალური RAP-აზე, შეწყვეტის თარიღების დადგენაზე, შეტყობინებების უზრუნველყოფაზე და RAP-ის განხორციელების მონიტორინგზე. გადაადგილების აუდიტის მოთხოვნა არ არსებობს.	დასრულების ანგარიშის მომზადება.

	განხორციელდეს მნიშვნელოვანი გადაადგილების შემთხვევაში.		
ESS6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა			
ჰაბიტატების კლასიფიკაცია და პირობები, რომლებშიც ნებადართულია ზემოქმედება ჰაბიტატებზე	ESS 6 ახდენს ჰაბიტატების კლასიფიკაციას ტრანსფორმირებულ, ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებად და აწესებს პირობებს, რომლებშიც შეიძლება მიმდინარეობდეს აქტივობა, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებზე. ბუნებრივ ჰაბიტატზე ზემოქმედების აქტივობა შეიძლება გაგრძელდეს, თუ არ არსებობს ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელი ალტერნატივები და თუ შემარბილებელი ზომები გამოიყენება იერარქიულად მოსალოდნელ ზემოქმედებაზე საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას წმინდა დანაკარგის თავიდან აცილება ან, სასურველია, მიღებულ იქნას ბიომრავალფეროვნების წმინდა	ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო ითვალისწინებს ბიომრავალფეროვნების დაცვას, კონსერვაციას და აღდგენას. თუმცა, სახეობები უფრო მეტია, ვიდრე ჰაბიტატები, რომლებიც დაცვაზეა ორიენტირებული. ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ტრანსფორმირებულ, ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებს. EUNIS ხმელეთის ჰაბიტატების კლასიფიკაცია გამოიყენება ზურმუხტის ქსელის უბნების შექმნისა და მართვისათვის და დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების შემუშავების მიზნით. არ არის დადგენილი ზოგადი პირობები, რომლითაც შეიძლება მიმდინარეობდეს საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებზე. ასეთი პირობები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალურ	მოთხოვნა პროექტის ინიციატორის მიმართ ჰაბიტატების რუკის შექმნაზე და კლასიფიკაციაზე პროექტის ზემოქმედების ზონაში ESS 6-ის მოთხოვნის შესაბამისად. დაცულ იქნას პირობები, რომელთა შესაბამისადაც მსოფლიო ბანკის დაფინანსება შეიძლება დაიხარჯოს ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებზე ზემოქმედების ქვეშ მყოფ პროექტებზე. ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება იმ პროექტებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუნებრივ ჰაბიტატებზე.

	მოგება. შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ბიომრავალფეროვნების კომპენსაციას შესაძლებლობების ფარგლებში. კრიტიკულ ჰაბიტატებზე ზემოქმედების აქტივობა შეიძლება გაგრძელდეს, თუ არ არსებობს ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელი ალტერნატივები, პროექტი მიჰყვება სათანადო პროცესს, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით, მიღწეულია ბიომრავალფეროვნების მიზნობრივი ღირებულებების წმინდა მოგება, კრიტიკულად საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების პოპულაციების შემცირება და კრიტიკული ჰაბიტატების არამნიშვნელოვანი გარდაქმნა ხდება, და ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი მონიტორინგი	საქმიანობაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ნებართვით). მიუხედავად იმისა, რომ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების განსახილველად მოქმედებს შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია, კომპენსაცია განმარტებულია გამარტივებული სახით, როგორიცაა ფულადი ანგარიშსწორების უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში წითელ ნუსხაში შეტანილ ცალკეულ სახეობების ხეების მოპოვებისთვის. მოთხოვნა ბიომრავალფეროვნების კომპენსაციაზე არ არსებობს.	

	ორგანიზელბულია პროექტის ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის მიკვლევადობისათვის.		
ESS8: კულტურული მემკვიდრეობა			
ზოგადი ინფორმაცია	საჭიროა პროექტის სპეციფიკური ცვლილების მოძიების პროცედურის შემუშავება და დაცვა. ცვლილებების აღმოჩენების ან კულტურული მემკვიდრეობის სხვა ასპექტების შესახებ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, თუ აღნიშნული მიზანშეწონილია მემკვიდრეობის უსაფრთხოებისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად. საჭიროა მნიშვნელოვანი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რომლებიც მოიცავს კულტურულ მემკვიდრეობას.	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ითვალისწინებს საჭირო პროცედურებს შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში. არ არსებობს მოთხოვნები პროექტის სპეციფიკური შანსის მოძიების პროცედურების შემუშავებისთვის. მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და სარგებლის გაყოფის განხილვის შესახებ არ არის გამოხატული ეროვნულ კანონმდებლობაში.	შემუშავდეს პროექტის სპეციფიკური შანსის მოძიების პროცედურა, შესაბამისი, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, სამუშაოების კონტრაქტორების ცნობიერების ამაღლებისა და სამუშაოების კონტრაქტორებისთვის ტრენინგების ჩატარებით. შემთხვევით აღმოჩენებზე და სხვა კულტურულ მემკვიდრეობაზე საჯაროდ ხელმისაწვდომი მედიის წყაროების მეშვეობით ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა, თუ ეს მიზანშეწონილია აღნიშნული აქტივების უსაფრთხოდ შესანარჩუნებლად, სანამ არ იქნება სათანადო

	აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის სარგებლობის სამართლიანი გაყოფის უზრუნველყოფა.		უსაფრთხოების ზომები დადგენილი და მიღებული. გზშ-ს და SEP-ის მომზადების ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის დაინტერესებული მხარეების რუქების შედგენის უზრუნველყოფა, გაცნობიერება, თუ როგორ იყენებენ ან გამოიყენეს კულტურული მემკვიდრეობა და პროექტი იმგვარად შემუშავება და განხორციელება, რომ უზრუნველყოფილი იყოს კულტურული მემკვიდრეობის კეთილსინდისიერი და სამართლიანი გამოყენება იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეების მიერ.
ESS10: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება			
პროექტის მომზადების პერიოდში ჩართულობა	საჭიროა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მოწყვლადი ან შეშჭირვებაში მყოფი პირების იდენტიფიცირება და ანალიზი.	არ არსებობს მოთხოვნები დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციისა და ანალიზისთვის.	- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი. - SEP-ის შემუშავება.

	საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემუშავება პროექტის მიმდინარეობისას. SEP უნდა ითვალისწინებდეს რუკაზე დატანილი სხვადასხვა ტიპის დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი კონსულტაციები; უნდა შეიცავდეს საორგანიზაციო მექანიზმებს, პერსონალს, გადანაწილებულ როლებსა და პასუხისმგებლობებს და განხორციელების ბიუჯეტს. ინფორმაციის გამჟღავნება მოსალოდნელ E&S რისკებზე, ძირითადი ზემოქმედებისა და მათი შერბილების მიდგომის შესახებ საჭიროა პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე.	E&S ინფორმაციის გამჟღავნება პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე ხდება მხოლოდ გზშ კოდექსის II დანართში ჩამოთვლილი აქტივობებისთვის (ძირითადად ზომიერი რისკის აქტივობები) სკრინინგის ანგარიშის გამჟღავნების გზით. ინფორმაციის სკრინინგი და ადრეული გამჟღავნება არ არის საჭირო უფრო მაღალი რისკის მქონე საქმიანობებისთვის (შეტანილია გზშ კოდექსის I დანართში) და დაბალი რისკის აქტივობებისთვის (არ არის ჩამონათვალი უზრუნველყოფილი გზშ კოდექსის არცერთ დანართში).	- უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი ინფორმაციის გამჟღავნება E&S რისკების, ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ პროექტის დაპროექტების ადრეულ ეტაპზე.
ჩართულობა პროექტის განხორციელების პერიოდში	საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში SEP-ის განხორციელების გზით.	არ არსებობს მოთხოვნა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის მთელი პროექტის განმავლობაში. საკონსულტაციო შეხვედრები შემოიფარგლება მხოლოდ	განხორციელდეს (და პერიოდულად განაახლეთ, საჭიროებისამებრ) SEP მთელი პროექტის განმავლობაში.

		გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიშისა და გზშ ანგარიშის სამუშაო ვერსიებით.	
საჩივრების განხილვის მექანიზმი	პროექტის ინიციატორს მოეთხოვებათ GRM-ის შექმნა და ფუნქციონირება მთელი პროექტის განმავლობაში. კანონიერი, არაკანონიერი და ანონიმური საჩივრები მიიღება და განიხილება. GRM სწრაფად უნდა რეაგირებდეს SEA/SH საჩივრების მიმართ და გაუმკლავდეს მათ შესაბამისი სიფრთხილით.	არ არსებობს მოთხოვნა დაწესებულების სპეციფიკური ან პროექტის სპეციფიკური GRM-ისთვის. საჩივრები განიხილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესაბამისად. ანონიმური საჩივრები არ მიიღება. საჩივრების განხილვის პროცედურები მოიცაავს სწრაფი რეაგირების მექანიზმს SEA/SH საჩივრების დამუშავებაზე.	პროექტის დონის GRM ჩამოყალიბება და ამოქმედება ESS 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის განხორციელებისას ასევე დაცული იქნება მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) და კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის (GIIP) ზოგადი და სექტორისისათვის სპეციფიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) სახელმძღვანელო პრინციპები.

5. ინსტიტუციური ჩარჩო გარემოსდაცვითი, სოციალური გარემოს და შრომის მართვისა და GRAIL პროექტების ადმინისტრირებისათვის

5.1. ინსტიტუციური ჩარჩო გარემოსდაცვითი, სოციალური გარემოს და შრომის მართვისათვის

წინამდებარე თავში აღწერილია საქართველოს აღმასრულებელი მთავრობისა და საჯარო სუბიექტების მანდატები, რომელთა მეშვეობითაც ხდება GRAIL პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი, სოციალური გარემოს და შრომის მართვის უფლებამოსილების აღსრულება ან უშუალოდ მონაწილეობენ პროექტის ადმინისტრირებაში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MEPA-ს უფლებამოსილება ვრცელდება გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ტერიტორიების მართვასა და ხელშეწყობაზე. სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:

- ბუნებრივი რესურსების მართვა და ზედამხედველობა (გარდა მინერალური რესურსებისა, ნავთობისა და გაზისა);
- მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების მხარდაჭერა;
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგი და მართვა;
- საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის აუზებისა და წყალსაცავების, შავი ზღვის ტერიტორიული წყლებისა და კონტინენტური შელფების გარემოსდაცვითი მდგომარეობის შეფასება და აღრიცხვა;
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის და სახმელეთო რესურსების მართვის, ნარჩენების და ქიმიკატების მართვის, კლიმატის ცვლილებისა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- ნიადაგის რესურსების ეფექტური მართვა და დაცვა;
- რეკომენდაციების წარმოება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური კატასტროფის ზონების განსაზღვრისა და შეჩერების შესახებ;
- ნებისმიერი საქმიანობის შეჩერება, შეზღუდვა ან შეწყვეტა, რომელსაც აქვს ან შესაძლოა იქონიოს მავნე ზემოქმედებას გარემოზე, ასევე ბუნებრივი რესურსების არაგონივრული გამოყენება;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ნებართვების სისტემის ადმინისტრირება;
- აგროწარმოების, აგრო-გადამუშავების, პირუტყვის, მეფრინველეობის და თევზის მეურნეობის, აგროინჟინერიის, მცენარეთა დაცვისა და

ვეტერინარული მომსახურების მიწოდების მხარდაჭერა და რეგულირება;

- წარმატებულ საერთაშორისო ექსპერტიზასთან ჰარმონიზებული საქართველოს ტრადიციებზე დაფუძნებული ქვეყნის აგრარული რეფორმების გატარება და ხელშეწყობა;
- ქვეყანაში სასოფლო და აგრარული კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკისა და ექსპერტიზის დანერგვის ხელშეწყობა, საკვები პროდუქტების წარმოებისა და მარკეტინგის ხელშეწყობა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- აგროწარმოების სფეროში ცოდნის გენერირებისა და გაზიარების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის გაფართოების სერვისების გაძლიერების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- პესტიციდების და სხვა აგროქიმიკატების გამოყენების რეგულირება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის გზით ინფექციისა და დაავადების შეყვანისა და გავრცელების წინააღმდეგ კარანტინის გატარება;
- საქართველოს სოფლად ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სოფლად სიღარიბის შემცირება.

MEPA შედგება რამდენიმე ფუნქციური დეპარტამენტისაგან და მის დაქვემდებარებაშია არაერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამინისტროს მანდატის/უფლებამოსილების სხვადასხვა ასპექტზე.

MEPA -ს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA) შეიქმნა 2008 წლის 1 სექტემბერს. MEPA-ში ბოლოდროინდელი რეორგანიზაციის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების დეპარტამენტი გადატანილ იქნა MEPA-ს ძირითადი ორგანოდან გარემოს დაცვის სააგენტოში, რის შედეგადაც გარემოს დაცვის სააგენტოს მიენიჭა მნიშვნელოვანი მანდატი გზშ ანგარიშების სახელმწიფო ექსპერტიზის განხილვისა და გარემოსდაცვითი ანგარიშების გადაწყვეტილებების გაცემის თაობაზე (ნებართვები). კერძოდ კი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დეპარტამენტი უფლებამოსილია:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით სკრინინგისა და გამოთვლის პროცედურების განხორციელებაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაზე, ამ მიზნით ექსპერტიზის ორგანიზებაზე;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშისა და

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების ორგანიზებაზე;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფაზე და შესაბამისი ინფორმაციისა და ამ მიზნით საჯარო განხილვების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე;
- დაგეგმილი აქტივობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებიდან ამოღების აუცილებელი პროცედურების ორგანიზებაზე, შესაბამისი წინადადების მომზადებაზე და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენაზე;
- ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებლების ტექნიკური ჩაშვების, ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტების განხილვაზე და შეთანხმებაზე;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს და შეათანხმოს ანგარიშის სამუშაო ვერსია ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გამოსხივებული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების მაქსიმალური გამოყოფის ნორმების თაობაზე;
- ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვების გაცემაზე.

MEPA-ს **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში:

- ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენების ფაქტების პრევენციას, გამოვლენას და აღკვეთას;
- გარემოს დაბინძურების პრევენციას, გამოვლენას და აღკვეთას;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს;
- კანონმდებლობის დააქვემდებარების მონიტორინგს, მათ შორის რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნას, კონტროლს რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების შესრულებაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით დადგენილ პირობებზე.

MEPA-ს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი **სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო** ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

რესურსების განსაზღვრული გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებასა და განხორციელებაში; გაუდაბნოებასთან და მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვაში; და ქარსაფარი ზოლების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვასაა და განხორციელებაში (თავშესაფრის სარტყლები); ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დადგენაში; და საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში და პროექტის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაში;

- კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული საინვესტიციო გეგმების შესახებ განცხადებების მიღებაზე და განხილვაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის წარსადგენი შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და საინვესტიციო გეგმების განხორციელების ზედამხედველობაზე;
- მოამზადოს მიწათსარგებლობის თემატური რუკები;
- სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტების შენახვაზე, უზრუნველყოფასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან გრანტების მიღებაზე და მიღებული გრანტებით შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებაზე.

MEPA-ს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი შპს საქართველოს მელიორაცია არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია, რომელიც ახორციელებს ირიგაციის და სადრენაჟე სისტემების მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მელიორაციის სტრატეგიული მიზნებია გაზარდოს წყალმომარაგებული ტერიტორიები, გააუმჯობესოს ძალისხმევა წყალმომარაგებული ტერიტორიების მაქსიმალური გამოყენებისთვის, წყლის მომხმარებელთა ჩართულობის გაზრდა წყალმომარაგების ეფექტურობისა და ეფექტიანობის კომპლექსური გაძლიერებისათვის და სექტორის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მისაღწევად.

MEPA-ს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს** (NFA) უფლებამოსილია უზრუნველყოს საქართველოს ტყეების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება. სააგენტოს ძირითადი ამოცანებია:

- სახელმწიფო ტყის მართვა „ტყის კოდექსის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ

ფარგლებში;

- სახელმწიფო ტყის საზღვრების დადგენა და გადახედვა;
- ტყის ინვენტარიზაციისა და აღრიცხვის განხორციელება, ტყის ზონირების განხორციელება და აღნიშნულ ზონებში გამოყენების უპირატესი ტიპების დადგენა, ტყის მართვის გეგმების შემუშავება/დამტკიცება და მათი შესრულების ზედამხედველობა;
- ტყეების მოვლა-პატრონობა, მავნებლებისა და დაავადებების, ხანძრისა და სხვა საფრთხისგან დაცვა და დაზიანებული/დაკარგული ტყის საფარის აღდგენა;
- სახელმწიფო ტყის უბნების მათი მდგრადი ეკონომიკური გამოყენებისა და სპეციალური გამოყენებისათვის უფლებამოსილ ორგანოებზე გადანაწილება და სახელმწიფო ტყის მოსავლის აღების განხორციელება კომერციული მიზნებისთვის და დამოკიდებულ სოფლად მცხოვრები ოჯახების შეშით მომარაგებისთვის.
- სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სპეციალური ტყით სარგებლობისა და ხეების მოჭრის სპეციალური ნებართვების გაცემა.

MEPA-ს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო** (APA) პასუხისმგებელია სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის და ზურმუხტის ზონების მართვაზე.

სააგენტოს მიზნებს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტერიტორიული ადმინისტრაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლი, ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება.

იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ზრუნავს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაზე, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას, ემსახურება საზოგადოებას. იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სამართალშემოქმედებით საქმიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. ამ კუთხით იუსტიციის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან, დარგობრივ სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე, სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** (NAPR) **პასუხისმგებელია** მიწის საკუთრების ოფიციალურ რეგისტრაციაზე. NAPR ასევე აღრიცხავს ქონების გადაცემას ნასყიდობის ხელშეკრულებებით. წარსულში მოქმედი მუნიციპალური (რაიონის) არქივები ახლა გადასულია NAPR-ის მუნიციპალური სარეგისტრაციო ოფისების მფლობელობაში და ინფორმაცია რეგისტრირდება და ინახება ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში. მუნიციპალიტეტის არქივი გამოიყენება საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და მიწის ფიზიკური ფლობის მართებულობის გადასამოწმებლად იმ პირების მიერ, რომლებსაც სურთ კანონიერ მესაკუთრეებად დარეგისტრირება. იმ შემთხვევაში, თუ NAPR-ის მონაცემთა ბაზაში მოქმედი რეგისტრაცია არ არსებობს, ამ შემთხვევაში არქივი შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული მიწის ნაკვეთის უფლებების დასადასტურებლად, ხოლო ისტორიული დოკუმენტაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იურიდიული რეგისტრაციისთვის.

ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ კანონის თანახმად (2007), საქართველოს მთავრობამ შექმნა საკუთრების უფლებათა აღიარების კომისია (PRRC) მესაკუთრეთა/მომხმარებლების საკუთრების უფლებების აღიარებისათვის შემდგომი რეგისტრაციის მიზნით. PRRC ამოწმებს და იძლევა უფლებამოსილებას საკუთრების განაცხადი დარეგისტრირდეს NAPR-ში. PRRC უფლებამოსილებას განაცხადზე ანიჭებს მხოლოდ იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული, მაგრამ აქვთ არასასოფლო-სამეურნეო ან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები მათი საცხოვრებელი ადგილის ახლოს.

სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო (DGA) იუსტიციის სამინისტროს მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში უფლებამოსილია:

- უწყებათაშორისი კოორდინაციის გზით შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია ციფრული მმართველობისა და სერვისების დიგიტალიზაციის შესახებ და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას;
- ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მართვაზე და ადმინისტრირებაზე, ახალი ელექტრონული სერვისების პორტალთან ინტეგრირებაზე;
- ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) საშუალებით მომხმარებლები უზრუნველყოს სამინისტროს სისტემაში არსებულ სერვისებზე იქონიონ ელექტრონული წვდომა, მათ შორის

იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მიერ გაწეულ სერვისებზე;

- ელექტრონული სერვისების შექმნისა და მიწოდების ერთიანი სტანდარტის შემუშავებაზე და ხელშეწყობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული სერვისების თავსებადობა და მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის), ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალისა და იუსტიციის საჯარო მომსახურების სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების მიერ გაწეული მომსახურების გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირება.;
- მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (ინფრასტრუქტურის) ადმინისტრირებაზე და განვითარებაზე;
- კვალიფიციური და სანდო მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის ავტორიზაციაზე და ზედამხედველობაზე „ელექტრონული დოკუმენტაციისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- ერთიანი სახელმწიფო „ღრუბლოვანი სერვისების“ დანერგვაზე და მონიტორინგზე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MESD) ფლობს ფართო უფლებამოსილებას ტყის გაშენებისა და ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. ამ მიზნით სამინისტრო:

- შეიმუშავებს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ ხედვასა და პოლიტიკას, ახორციელებს სექტორულ ანალიზს და მოდელირებას, ახდენს ეკონომიკური მმართველობის გარე შოკებთან და ეროვნულ პრიორიტეტებთან მორგებისთვის რეფორმების ინიცირებას და მათ წარმართვას;
- უზრუნველყოფს საჯარო ინფრასტრუქტურას და ხელს უწყობს კერძო ინვესტიციებს ტურიზმსა და სამთო კურორტებში;
- განსაზღვრავს პოლიტიკას, უზრუნველყოფს და მართავს საჯარო ინფრასტრუქტურას და ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების ჩადებას ენერგეტიკულ სექტორში, მათ შორის, გენერირებისა და ენერგოეფექტურობის განხილვადი წყაროების მხარდაჭერას;
- შეიმუშავებს პოლიტიკას და არეგულირებს საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, სამოქალაქო ავიაციასა და სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტს;
- მხარს უჭერს სავაჭრო ცენტრებს და საშუალო ბიზნესსაქმიანობას;
- აღრიცხავს და მართავს საქართველოს სახელმწიფო ქონებას;

- ხელს უწყობს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და დანერგვას.

MESD-ს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ინსპექტირების სააგენტო** პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, მშენებლობის ზედამხედველობაზე და მიწოდებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში გაშვებაზე.

MESD -ის დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო** (NAMR) ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ ტიპის ლიცენზიების გაცემა, რომლებიც განსაზღვრულია „მინერალური რესურსების (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვებაზე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემისა და გაცემული ლიცენზიების რეესტრის წარმოების შესახებ საქართველოს კანონით;
- საბადოების ექსპლუატაციის გეგმების დამტკიცება ლიცენზიების ფარგლებში;
- გაცემული ლიცენზიების პირობების დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- წიაღისეულის საბადოებისა და სასარგებლო თვისებების აღმოჩენის მონაცემების ინვენტარიზაციისა და მონაცემთა ბაზის შენახვა და მათი რუკების შედგენა;
- წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;
- საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში ყველა სახის დასრულებული და მიმდინარე სამრეწველო და სამეცნიერო გეოლოგიური კვლევების აღრიცხვა.

MESD -ის დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** დაარსდა 2012 წლის 17 სექტემბერს. იგი ახორციელებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია/გაყიდვასთან, სარგებლობის უფლების გადაცემასა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს. სააგენტო ასევე მართავს მკაცრი აღრიცხვის ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებს და განკარგავს დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდის www.eauction.ge მეშვეობით.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

- კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი პოლიტიკის, მათ შორის ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება/გატარება,
- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, უძრავი და მოძრავი კულტურული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, სხვა კულტურული ფასეულობების კონსერვაცია/რესტავრაცია, მატერიალური კონსერვაცია/პოპულარიზაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესაბამისად;
- არქეოლოგიურ სამუშაოებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ჩატარების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;
- მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ძეგლების, არქიტექტურულ-სკულპტურული და დეკორატიული კომპოზიციების მშენებლობის, განთავსების, ან დემონტაჟის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** (NACHP) პასუხისმგებელია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის მიზნით სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა უნდა განხორციელდეს ისტორიულ ადგილებში ან კულტურული მემკვიდრეობის ზონებში, მშენებლობის ნებართვის გასაცემად საჭიროა აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობა.

პოტენციური არქეოლოგიური ფასეულობის შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის ინიციატორი უნდა დაუკავშირდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მოიძიოს სახელმძღვანელო პრინციპი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ. ყველა ქმედება უნდა შეჩერდეს მანამ, სანამ სააგენტოს მითითება ოფიციალურად არ იქნება მიღებული. პროექტის ინიციატორი ვალდებულია დაუთმოს საკმარისი დრო და უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები გათხრების, არტეფაქტების ტერიტორიიდან ამოღებისა და კონსერვაციისთვის საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად. სამუშაოები შეიძლება განახლდეს მხოლოდ სააგენტოს ოფიციალური თანხმობით. იშვიათ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის დიზაინში ცვლილების შეტანა იმისათვის, რომ გვერდი აუარონ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ისტორიული ფასეულობის მქონე ადგილს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MILHSA) შეიმუშავებს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო პოლიტიკას შრომის, ჯანმრთელობისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის, აგრეთვე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტთა გადაადგილებისა და განსახლების შესახებ. სამინისტროს ფუნქციებში შედის შემდეგი სფეროების მართვა და ადმინისტრირება:

- იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები და რეინტეგრაცია: იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტთა საკითხების რეგულირება ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პირობების მიხედვით, საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ეკომიგრაციული ნაკადების მონაცემების შეგროვება (სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები, და სხვა), საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ჯანდაცვა: სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირების რეგულირება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება;
- სოციალური დაცვა: უფლებამოსილი მოქალაქეებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევა, ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ოჯახში ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია;
- შრომა და დასაქმება: შრომითი ურთიერთობების რეგულირება და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა, შრომითი მიგრაციის მართვა და საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების ხელშეწყობა (სეზონური შრომითი მიგრაცია), დასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის კოორდინაცია ალტერნატიულ, არასამხედრო შრომით სამსახურში, შრომის უსაფრთხოების განვითარების ხელშეწყობა და დაცვის მექანიზმები ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში და შრომის დისკრიმინაციის შემთხვევების აღმოფხვრა, რომლებიც ზედამხედველობენ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას მაღალი რისკის, მძიმე, მავნე და სახიფათო სამუშაო ადგილებზე „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- საქართველოში ლეგალურად მცხოვრები საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა და საქართველოში ცხოვრებაზე სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრაცია: საერთაშორისოდ დაცული

პირების, საქართველოში ლეგალურად მცხოვრებ უცხოელთა და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების ადგილობრივი ინტეგრაციის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ასევე აღნიშნული ფუნქციის შესრულება შესაბამის კომპეტენტურ სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით.

MILHSA-ს დაქვემდებარებაში მყოფი **სსიპ შრომის ინსპექციის დეპარტამენტი**, სამუშაო ადგილზე შრომის წესების ეფექტურ შესრულებას უზრუნველყოფს OHS-ის წესების დაცვის კონტროლით და შემოწმებით; იძულებითი შრომისა და ექსპლუატაციის პრევენცია; და სამუშაო ადგილებზე სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების გამოძიებას და აღრიცხვას ახდენს. 2021 წლის 1 იანვრიდან დეპარტამენტის უფლებამოსილება მოიცავს შრომითი უფლებების ზედამხედველობას შრომის კოდექსთან შესაბამისობის დასადგენად.

2019 წლის თებერვალში OHS კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შრომის ინსპექციას ამჟამად ევალება განახორციელოს დაუგეგმავი ვიზიტები სამუშაო ადგილებზე დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, სასამართლოს გადაწყვეტილების და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, გამოიძიოს, შეამოწმოს და გააკონტროლოს სამუშაო ადგილები, რათა უზრუნველყოს. შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების რეგულაციების ეფექტური და უწყვეტი დაცვა. დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აცნობონ შრომის ინსპექციას სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ 24 საათის განმავლობაში OHS კანონის შესაბამისად, თუმცა ნებისმიერს შეუძლია აცნობოს შრომის ინსპექციას შემთხვევის შესახებ.

5.2. GRAIL პროექტის ადმინისტრაციის ინსტიტუციური ღონისძიებები

MEPA და იუსტიციის სამინისტრო დასახელებულია GRAIL პროექტის განმახორციელებელ სააგენტოებად. **GA და MEPA-ს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი NAPR და DGA** კისრულობენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობებს პროექტის ცალკეული ქვეკომპონენტების განხორციელებაში. MEPA და NAPR იმუშავებენ ***პროექტის განხორციელების ერთეულებს*** (PIUs), რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება განახორციელონ პროექტის ყოველდღიური მართვა პროექტის ადმინისტრაციის ნდობაზე დაფუძნებული ფუნქციების ადმინისტრირებით (ფინანსური მართვა; შესყიდვები; გადახდა; კონტრაქტის მართვა; და გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვა).

PIU-ები შეიძლება შედიოდეს MEPA-სა და NAPR-ის შიდა პერსონალი, ასევე სრულ

განაკვეთზე ან ნახევარ განაკვეთზე მოხდეს ინდივიდუალური კონსულტანტების დაქირავება. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ იმოქმედონ როგორც PIU-ების კონსულტანტები, უზრუნველყონ სხვა ისეთი სახის ტექნიკური დახმარება, როგორიცაა სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, კვლევები, საპროექტო სამუშაოები, ტრენინგების ჩატარება და სხვა. მათი შერჩევა მოხდება კონკურენტუნარიანობის საფუძველზე, სპეციალური ტექნიკური დავალებების მიხედვით, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მსესხებლების შესყიდვის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

PIU კონკურენტულად შეარჩევს და ხელშეკრულებებს გაუფორმებს სამშენებლო სამუშაოების მიმწოდებლებს, ანუ ***კონტრაქტორებს,*** რათა განახორციელონ ირიგაციისა და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია. ამ მიზნით გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ მსესხებლისთვის შემუშავებული სატენდერო პაკეტების შაბლონები და ხელშეკრულების ფორმები და დაცული იქნება მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის შესყიდვის გაიდლაინები.

პროექტის განხორციელების ბევრ ასპექტში საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რომელთა ტერიტორიებზეც მდებარეობს ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების ინფრასტრუქტურა. საქართველოს კონსტიტუცია იძლევა თვითმმართველი ერთეულის უფლებების იდენტიფიცირების პრინციპებს და არა თვითმმართველი ერთეულის უფლებებს. კონსტიტუციით მოცემულ პრინციპებზე დაფუძნებული თვითმმართველი ერთეულების უფლებების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს კოდექსის მე-16 მუხლში. მუნიციპალიტეტები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის სივრცით და ტერიტორიულ დაგეგმარებაში და ურბანული დაგეგმარების დოკუმენტაციის, მათ შორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებაში. ისინი გასცემენ სამშენებლო ნებართვებს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურაზე და უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კონტროლი სამშენებლო სამუშაოებზე, რაც შეიძლება მოხდეს GRAIL პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ტიპის სამუშაოების შემთხვევაში. მუნიციპალიტეტებს ევალებათ მართონ მათ საკუთრებაში არსებული საჯარო ქონება და ბუნებრივი რესურსები (მაგ. მიწა და ტყე). ისინი ახორციელებენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და განადგურებას, ადგილობრივი გზების მართვას და GRAIL-ის პროექტისთვის შესაბამის რამდენიმე სხვა ფუნქციას. მაგალითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ სამშენებლო ბანაკების მოწყობის, სამშენებლო ნარჩენების და გაფუჭებული მასალის დროებით და საბოლოო განლაგების ადგილების დასახელებაში და გამოყოფაში და საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირებაში.

მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს პროექტის საკრედიტო დაფინანსებას და

უზრუნველყოფს განხორციელების მხარდაჭერას პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

5.3. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების და განხორციელების ინსტიტუციონალური მექანიზმები

GRAIL პროექტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი ამოქმედდება და განხორციელდება სესხის შესახებ შეთანხმების, სამინისტროს პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს (თანდართული საგანგებო სიტუაციების საოპერაციო სახელმძღვანელოს ჩათვლით) და წინამდებარე ESMF-ის (თანდართული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის ჩათვლით) მოთხოვნების შესაბამისად. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების ინსტიტუციონალურ მექანიზმები ქვემოთ ცხრილში არის აღწერილი.

ცხრილი # 5: განხორციელების ეტაპები ეტაპი

აქტივობა	აქტივობ ა	პასუხისმგებელი პირი
1	***საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება:*** საგანგებო სიტუაციის ოფიციალურად გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა აცნობებს მსოფლიო ბანკს ზემოაღნიშნული კომპონენტის ამოქმედების სურვილის შესახებ.	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2	***გადაუდებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება:*** ზარალის და საჭიროების წინასწარი შეფასების საფუძველზე მთავრობის მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სესხის ამღებმა მსოფლიო ბანკს უნდა გაუზიაროს და შეათანხმოს გადაუდებელი ღონისძიებების ჩამონათვალი GRAIL პროექტის ფარგლებში. სესხის ამღები მოამზადებს შეჯამებულ ინფორმაციას შემოთავაზებული ღონისძიებების შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს საქონლის და სამუშაოების სახეობების და მოცულობების, გადაუდებელი მომსახურების/საქმიანობის ტიპის და განხორციელების ადგილის შესახებ, წინასწარ ტექნიკურ სპეციფიკაციებს, საანგარიშო ხარჯებს, მოსალოდნელ ზემოქმედებას გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვის და უსაფრთხოების კუთხით, გრანტების, სუბსიდიების, ფულადი დახმარების პროგრამები, მათი განხორციელების და სამიზნე ბენეფიციარების აღწერას.	საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკი
3	***კომპონენტის ამოქმედების მოთხოვნა*** **:** ფინანსთა სამინისტრო მსოფლიო ბანკს გაუგზავნის წერილს კომპონენტის ამოქმედების თხოვნით, წერილში აღწერილი უნდა იყოს საგანგებო სიტუაცია, საჭიროებები, დაფინანსების წყაროები, გამოსაყოფი თანხა და გასახორციელებელია ღონისძიებებს ჩამონათვალი.	ფინანსთა სამინისტრო
4	***განხილვა და თანხმობა (No-objection):*** მსოფლიო ბანკი განიხილავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების შესახებ თხოვნას და თანხმობის შემთხვევაში გასცემს No-objection-ს.	მსოფლიო ბანკი

5	***სახსრების გადანაწილება(რეალოკაცია)*** **:** მსოლფიო ბანკი მოახდენს თანხების გადანაწილებას სხვა კომპონენტებიდან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის დასაფინანსებლად.	მსოფლიო ბანკი
6	***გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება:*** საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან შეათანხმებს და დაიწყებს ღონისძიებების განხორციელებას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ფარგლებში. ***გადაუდებელი ღონისძიებების გარემოსდაცვითი, სოციალური და უსაფრთხოების ასპექტების კომპლექსური ანალიზი (due diligence)*** ჩატარდება ამ დოკუმენტის მე-6 დანართის შესაბამისად. ***გადაუდებელი ღონისძიებების ფინანსების მართვა*** განხორციელდება სესხის შესახებ შეთანხმებაში განსაზღვრული და პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში დეტალურად გაწერილი პროექტის ფინანსების მართვის და ანგარიშგების პროცედურების შესაბამისად. ***გადაუდებელი ღონისძიებების მონიტორინგი და ანგარიშგება*** განხორციელდება პროექტისთვის შემუშავებული ზედამხედველობის და ანგარიშგების მექანიზმის საშუალებით. გარე აუდიტორული კომპანია ჩაატარებს მთლიანად პროექტის, მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის, ფინანსური უწყისების ყოველწლიურ აუდიტს და ამოწმებს მათ შესაბამისობას მსოფლიო ბანკის კორუფციასთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპებთან.	საქართველოს მთავრობა
7	***საბოლოო ანგარიში***: საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის განხორციელების საბოლოო ანგარიში მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს ყველა გადაუდებელი ღონისძიების დასრულების შემდეგ.	საქართველოს მთავრობა

6. საბაზისო ინფორმაცია GRAIL-ის პროექტის ინტერვენციისთვის შემოთავაზებულ უბნებზე

6.1. რეაბილიტაციისთვის შერჩეული ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების ძირითადი პარამეტრი

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამები ახასიათებს GRAIL-ის პროექტის მხარდაჭერისთვის შერჩეულ ირიგაციის ხუთ სისტემას და სადრენაჟე ერთ სისტემას ძირითადი პარამეტრებით.



Tiriponi

Area: 5,210 Ha

Main crops:

Orchards
Pasture and Other Perennial Crops





Zeda Arkhi

Area: 1,490 Ha

Main crops:

Pasture and Other Perennial Crops
Maize





Zemo Alazani

Main crops: Pasture and Other Perennial Crops, Vineyards

	Area (HA)
Matani (D-6)	350
Matani (D-7)	380
Matani (D-14)	400
Qistauri (D-29)	400
Matani (D-34)	670
Ojio (D-39)	900
Atskuri (D-42)	300
Ruispiri (D-58)	550
Gulgula (D-61)	400
Shalauri (D-75)	600
Vanta (D-90)	400
Akura (D-93)	760
Total	**6,110**





Narekavi res. & Scheme

Area: 655 Ha

Main crops:

Pasture and Other Perennial Crops
Grains (wheat or Barley)





Shavgele Massif

Area: 807 Ha

Main crops:

Pasture and Other Perennial Crops
Orchards



6.2. ბიოფიზიკური ფონი

ადმინისტრაციული სტრუქტურა, ლანდშაფტები და ჰაბიტატები

პროექტის მხარდაჭერისთვის ირიგაციის და სადრენაჟე შერჩეული სისტემები განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოში შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში და მცხეთა-მთიანეთში და დასავლეთ საქართველოში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

ქალაქი გორი ***შიდა ქართლის*** ადმინისტრაციული ცენტრია. რეგიონი მოიცავს გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, ცხინვალის და ჯავის ადმინისტრაციულ ერთეულებს. ეს ორი უკანასკნელი ამჟამად რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და არ წარმოადგენენ საქართველოს დე ფაქტო იურისდიქციის ქვეშ მყოფ რეგიონებს. GRAIL პროექტის ღონისძიებები არ გატარდება აღნიშნულ ორ სადავო ტერიტორიებზე

შიდა ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთათა ჯაჭვის მთავარ ქედს; სამხრეთი საზღვარი მიუყვება ლიხის მთის ქედს, სამხრეთი საზღვარი – თრიალეთის ქედს, აღმოსავლეთი საზღვარი – ხარულის ქედსა და მდ. ქსანს. შიდა ქართლის დაბლობის სამხრეთ ნაწილში მიედინება მდინარე მტკვარი (კურა). მდინარე მტკვრის ხეობა ამაღლებულია ჩრდილოეთით და შემდეგ გაშლილია ტირიფონ-მუხრანის ვაკეზე. შიდა ქართლი შეიცავს მრავალფეროვან ჰაბიტატებს, მათ შორის ზომიერ მშრალ სტეპებს, ფართოფოთლოვან ტყეებს, სადაც დომინირებს მუხის სახეობები ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლეზე და წიფლის დომინანტური სახეობაა ზღვის დონიდან 1200 მეტრზე, შერეული ტყეები მაღალი ტენიანობის მქონე ადგილებში, წიწვოვანი და წიფელის ხეები და სუბალპური და ალპური მდელოები ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრზე.

ქალაქი რუსთავი ***ქვემო ქართლის*** ადმინისტრაციული ცენტრია. რეგიონი მოიცავს წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის ადმინისტრაციულ ერთეულებს. აღნიშნულ უკანასკნელ სამ რაიონში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს. ქვემო ქართლი თავისი მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს სატრანზიტო გზას, რომელიც საქართველოს აკავშირებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან საავტომობილო და სარკინიგზო გზებით. რუსთავი თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე სამრეწველო ქალაქია.

ქვემო ქართლი უმეტესად თრიალეთისა და ლოქის მთის ქედებით შემოსაზღვრულ ალუვიურ ვაკეზე მდებარეობს. მდინარე მტკვარი ხეობას ორ ნაწილად მარნეულისა და გარდაბნის დაბლობად ყოფს. აქ სიმაღლე ზღვის დონიდან 260-დან 600 მეტრამდე მერყეობს. ტერიტორიას მდინარე მტკვრის გარდა კვეთს მდინარეები ხრამი და ალგეთი. კუმისის ტბა მდებარეობს ქვემო ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ჯანდარას ტბა გარდაბნის

დაბლობზე. ლანდშაფტი თუ ძლიერ გარდაიქმნება ანთროპოგენური ზემოქმედებით. წარსულში ტყიანი სტეპები რეგიონის ბუნებრივი ჰაბიტატი იყო, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული ჰაბიტატისგან ცოტა რამ არის შემორჩენილი. ამჟამად ტერიტორია ძირითადად გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მინდვრებით, სადაც სხვადასხვა კულტურებია დათესილი.

ქალაქი თელავი ***კახეთის*** ადმინისტრაციული ცენტრია. რეგიონი მოიცავს თელავის, გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის და ახმეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს. კახეთი საქართველოს მთავარი ღვინის მწარმოებელი რაიონია და ტურისტების მზარდ რაოდენობას იზიდავს. ასევე, კახეთი ფლობს საქართველოს რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან დაცულ ტერიტორიას. კახეთი საქართველოს აზერბაიჯანსა და სომხეთს საავტომობილო გზით აკავშირებს.

კახეთში ბუნება ძალიან მრავალფეროვანია, ნახევრად უდაბნოებით, ტყეებით, ვაკეებით, მდელოებითა და სუბალპური მცენარეულობით არის გაჯერებული. ზღვის დონიდან სიმაღლე 90-120 მ-დან მერყეობს, სადაც მდებარეობს ელდარის დაბლობი, თითქმის 4500 მ-მდე კავკასიონის მთებში. კავკასიონის სამხრეთ კალთები ციცაბოდ ეშვება ვაზისა და სხვა კულტურებისთვის გაშენებულ ნაყოფიერ ალაზნის ველზე. თუშეთის მთიანიტერიტორია მდიდარია საზაფხულო საძოვრებით და კარგად შემონახული ისტორიულ სოფლებით, სადაც მრავლადაა შუა საუკუნეების გამაგრებული კოშკები. საქართველოში რეგისტრირებული ყვავილოვანი სახეობების დაახლოებით 2/3 გვხვდება სუბტროპიკულ ლაგოდეხის რაიონში. ნახევრად-უდაბნო დედოფლისწყაროს რაიონში არის მსუბუქი ტყეები და სტეპები, ხოლო ჭალის ტყეები გაშლილია მდინარე მტკვრის გასწვრივ. ფაუნა მდიდარია ისეთი ძუძუმწოვრებით, როგორიცაა ტურა, გაზელი, ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი და სხვა.

ქალაქი ზუგდიდი სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრია. რეგიონი მოიცავს აბაშის, ჩხოროწყუს, ხობის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს. რეგიონს აქვს ძალიან მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ეკოსისტემები. რეგიონის ჩრდილოეთი მხარე მდებარეობს დიდი კავკასიონის მთათა ჯაჭვის კალთებზე. ზემო სვანეთის 96% მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მეტრზე, ხოლო 65,8% - 2000 მეტრზე. ხობის მუნიციპალიტეტი და ქალაქი ფოთი განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე ზღვის დონიდან მინიმალური სიმაღლით და კონკრეტულ ადგილებზე – უარყოფითი სიმაღლით. რეგიონი მდიდარია ზედაპირული წყლის ობიექტებით, მათ შორის უამრავი ტბა და მდინარე, რომელთაგან ყველაზე დიდია რიონი და ენგურია. საქართველოს ჰიდროენერგეტიკის უმეტესი ნაწილი სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

კოლხეთის დაბლობზე მრავლადაა ჭაობები, ტროპიკული და მსუბუქი ტყეები. კლიმატი ძალიან ნოტიო სუბტროპიკულია. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან უმეტესად ვხვდებით ციტრუსს, ჩაის, თხილს, სიმინდს და კომერციული დანიშნულებით მოყვანილ კენკრას. თხმელა და ტირიფი გვხვდება წვიმიან ტყეებში, ხოლო მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელი, ზელკოვა და კავკასიური თხილი გავრცელებულია მშრალ ტყეებში. ევკალიპტი კოლხეთში მე-19 საუკუნეში იქნა წარმოდგენილი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გავრცელებულ მსხვილფეხა ძუძუმწოვრებს მიეკუთვნება მგელი, მელა, დათვი, გარეული ღორი, კვერნა, წავი და სხვა. სპეციფიური რეგიონის მფრინველებიდან წარმოდგენილია კოლხური ხოხობი, გარეული ბატი, გარეული იხვი და სხვა. ასევე, კოლხეთის დაბლობი მნიშვნელოვანი ჰაბიტატია გაზაფხულზე და შემოდგომაზე გადამფრენი ფრინველების მრავალი სახეობისთვის.

კლიმატური პირობები

პროექტის ღონისძიებებისთვის განხილული ირიგაციის სისტემები განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შერჩეული სადრენაჟე ერთადერთი სისტემა დასავლეთ საქართველოშია. კლიმატურ პირობებზე უკვე აისაცა გლობალური კლიმატის ცვლილების გავლენა და მისი მოსალოდნელი გრძელვადიანი ტენდენციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში და წარმოადგენს ორ განმასხვავებელ მოდელს. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ირიგაციაა გავრცელებული, კლიმატი ხასიათდება ტემპერატურის მატებით, ნიადაგების ეროზიით, გვალვების გაძლიერებით, წყალდიდობებით და სეტყვის გახშირებით. ქვეყნის მასშტაბით, წყლის რესურსების ხელმისაწვდომობა მაღალ დონეზეა დამოკიდებული სეზონთა ცვლილებაზე. მდინარის დინება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, თოვლის დნობაზეა დამოკიდებული. მაღალი ნაკადები აპრილი-მაისის თვეებში ფიქსირდება, ხოლო დაბალი ნაკადები - ივლისი-გვისტოს თვეებში ვლინდება, ირიგაციის სისტემის საჭიროების პიკური მოთხოვნის დროს. დასავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა 1960- 2015 წლებში გაიზარდა, კონკრეტულად სვანეთის დაბალ მთიან ზონებში, აჭარის მთიან რაიონებში და ფოთისა და იმერეთის მთიან რაიონებში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორიცაა აჭარის აღმოსავლეთი ნაწილი გოდერძის უღელტეხილზე. გარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა, სადაც ნალექებმა ოდნავ მოიმატა, აღმოსავლეთ საქართველოში ნალექის შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა და დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ზაფხულის პერიოდში ნალექის შემცირება დაფიქსირება. ყველა კლიმატის სცენარი გვიჩვენებს, რომ ნალექის შემცირება მოსალოდნელია სოფლისმეურნეობის ყველაზე შრომატევად სეზონზე (ივნისი-აგვისტოს პერიოდი) და გაიზრდება შემოდგომაზე, გაზაფხულზე და ზამთრის თვეებში.

გეოლოგიური აქტივობა

გ. გაფრინდაშვილის მიერ განხორციელებულმა გეოლოგიური აქტივობის შესწავლამ (2011) გამოიწვია საქართველოსთვის მეწყრული საშიშროების ზონირება და რუკების შედგენა. ქვემოთ მოყვანილი რუკის მიხედვით, GRAIL-ის პროექტის ღონისძიებებისთვის განკუთვნილი ტერიტორიების უმეტესობა მდებარეობს „დაბალი საფრთხის“ (მწვანე) ზონაში, ხოლო ტერიტორიის ნაწილი შესაძლოა გადავიდეს „ზომიერი საფრთხის“ (ყვითელი) ზონაში. ეს ნიშნავს, რომ მეწყერი არ შეუქმნის დიდ საფრთხეს პროექტს და მის შედეგებს. თუმცა, გარკვეულ რაიონებში, სადაც ამჟამად არ მიმდინარეობს გეოლოგიური აქტივობები, მეწყერი შეიძლება გამოწვეული იყოს ანთროპოგენური ზემოქმედებით მცენარეული საფარის გაწმენდის, ფერდობების ჭრისა და მიწის სამუშაოების ჩატარების შემდეგ უბნებზე არასათანადო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების გამო.



ტექტონიკა და სეისმურობა

საქართველოს სეისმური ზონირების მიხედვით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 განკარგულება მიწისძვრისადმი მდგრადი მშენებლობის სამშენებლო ნორმებისა და წესების დამტკიცების შესახებ, ქვეყანა დაყოფილია სეისმური განსხვავებული აქტივობების 3 ზონად (ზონები 7-9, მზარდი სეისმურობით), GRAIL-ის პროექტის ღონისძიებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების უმეტესობა VIII ზონაშია, რომელიც შეესაბამება M=8 მაგნიტუდის სავარაუდო მიწისძვრას, სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით.



Note: Acceleration is given in *g* units

ველური ბუნება

საქართველოს ფლობს ფართო და მრავალფეროვან ფლორას, რომელიც მოიცავს დაახლოებით 13300 სახეობას, მათ შორის 4225 სახეობის თესლოვანი მცენარე, 75 სახეობის გვიმრა, 600 სახეობის ხავსი, 650 სახეობის ხავსურა, 5000 სახეობის სოკო და 2000 სახეობის წყალმცენარეები. საქართველოსთვის ენდემურია 380-მდე სახეობა, როგორიცაა მეგრული არყი, ქართული ნუში, ფიჭვის ჯიშები ელდარიკა და პიტიუსა და სხვა. ზოგიერთი რელიქტური სახეობა გვხვდება დასავლეთ საქართველოში კერძოდ კი კოლხეთში, როგორიცაა პონტოს მუხა, ალუბლის დაფნა, პონტოს როდოდენდრონი და სხვა. საქართველო განთქმულია რამდენიმე კულტურების, მათ შორის ვაზისა და ხორბლის ველური წინაპრებით, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩანასახს კულტურების მოშენებისთვის. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% ტყის ქვეშაა. საქართველოში, სადაც ინვესტირება იდება ტყეები ზღვის დონის სიმაღლეზე გვხვდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ტყის სარტყელი ზღვის დონიდან 600-700 მეტრ სიმაღლეზე გვხვდება. ტყეების ზედა ზღვარი სუბალპური ზონაა. მთის ტყეებსა და დაბლობ ტყეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ბუნებრივი ბალანსისა და ეკოსისტემური მომსახურების მიწოდებისთვის. აღსანიშნავია, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე შემორჩენილია რამდენიმე ხელუხლებელი ტყე.

საკმაოდ მდიდარია საქართველოს ფაუნაც, რომელიც მოიცავს 100-მდე სახეობის ძუძუმწოვარას, 330 სახეობის ფრინველს, 48 სახეობის ქვეწარმავალს, 11 სახეობის ამფიბიას, 160 სახეობის თევზს და კიდევ მრავალი სახეობის უხერხემლოს. ზოგიერთი სახეობა ენდემურია საქართველოსთვის, მაგალითად, კავკასიური ტურა. საერთო ჯამში, ჭარბობს ევროპის, ცენტრალური აზიისა და დასავლეთ აზიისთვის დამახასიათებელი სახეობები. საქართველო გადამფრენი სახეობების საამარშუტო გზაა და ფრინველთა მნიშვნელოვანი ზონაა, რომელიც მდებარეობს ქვეყნის

დასავლეთ ნაწილში შავ ზღვასთან უფრო ახლოს. ლანდშაფტის გამო იქ ყალიბდება ე.წ „ძაბრი“, სადაც ვიწრო დერეფანში გადამფრენი ფრინველების დიდი რაოდენობა გაედინება. ფრინველებზე დაკვირვება პოპულარობას იძენს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველომ 2006 წელს შექმნა ჯიშების ეროვნული წითელი ნუსხა, რომელიც განახლდა 2014 წელს და არსებობს მოლოდინი მისი ხელახლა გადახედვის თაობაზე. ეს არის ფლორასა და ფაუნის მოწყვლადი, იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი და კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი ჯიშების ნუსხა, რომელიც შედგენილია და ფორმატირდება IUCN-ის (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) მიერ შემუშავებული სახეობების საერთაშორისო წითელი ნუსხის შესაბამისად. 50-ზე მეტი მცენარე და 130-ზე მეტი ცხოველი წითელ ნუსხაშია შეტანილი. ისინი დაცულია კანონით.

დაცული ტერიტორიები

საქართველოს აქვს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული დაცული ტერიტორიების კარგად განვითარებული სისტემა. დაცული ტერიტორიების კატეგორიები, რომლებიც შეესაბამება IUCN-ის კლასიფიკაციას (სახეობათა კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი) მოიცავს 14 სახელმწიფო ნაკრძალს, 13 ეროვნულ პარკს, 23 მართულ ნაკრძალს, 40 ბუნების ძეგლს და 3 დაცულ ლანდშაფტს. დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობი შეადგენს თითქმის 800000 ჰექტარს, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 11,5%-ს შეადგენს. პირველი ბიოსფერული ნაკრძალი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ თუშეთის რაიონში 2021 წლის მაისში დაარსდა. ახალი დაცული ტერიტორიების გასაშენებლად 100 000 ჰექტარზე მეტი განიხილება. მაღალი ტურისტული ინტერესია დაცული ტერიტორიების მიმართ, სადაც დაცვის რეჟიმი იძლევა დათვალიერების საშუალებას. დაცული ტერიტორიების ზოგიერთი კატეგორიის ადმინისტრირებას ახდენს APA, ზოგი კი ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველობის დაქვემდებარების ქვეშაა.





საქართველო ამუშავებს საერთაშორისოდ დასახელებული დაცული ტერიტორიების სისტემასაც. 2021 წელს იუნესკოს ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა ოთხ დაცულ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს კოლხეთის ტროპიკულ ტყეებსა და ჭაობებს. საქართველოში წლების განმავლობაში იზრდებოდა ზურმუხტის ქსელის რაოდენობა, როგორც PAN-ევროპული ეკოლოგიური ქსელის ნაწილი, რომლის მიზანია ევროპის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის კონვენციის ეგიდით (ბერნი, 1979 წ.).

ირიგაციის და სადრენაჟე სამი სისტემა, რომლებიც დასახელებულია GRAIL პროექტის მხარდაჭერისთვის, კვეთს ან უშუალო სიახლოვეს მდებარეობს ეროვნულ და/ან საერთაშორისოდ დასახელებულ დაცულ ტერიტორიებთან ქვემოთ მოცემულ რუკაზე ნაჩვენების შესაბამისად.



ტაშისკარის სარწყავი სისტემის მთავარი არხი ბორჯომ-ხარაგაულის გადაკვეთაზე
ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელი No GE0000010



ზემო ალაზნის ირიგაციის სისტემის არხი, რომელიც კვეთს გომბორის ნაკრძალსა და ზურმუხტის No GE0000027 ქსელს



შავგელის მასივის სადრენაჟე არხი, რომელიც გადის კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრიდან 10 მ მანძილზე და ზურმუხტის No GE0000006 ქსელზე

6.3. ეკონომიკური და სოციალური საფუძველი

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 41 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, ხოლო სოფლად მცხოვრებთა უმრავლესობა საარსებო წყაროდ ნაწილობრივ სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 19,1 პროცენტს. 2014 წელს ჩატარებული უახლესი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, კომერციული დანიშნულებით ფერმერები, რომლებიც აწარმოებენ უფრო მაღალი ღირებულების კულტურებს ექსპორტისთვის საკმაოდ ცოტა რჩება. სოფლად მოღვაწე ფერმერთა თითქმის 80 პროცენტი ფლობს ერთ ჰექტარზე ნაკლებ სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწას, 14,9 პროცენტი ამუშავებს ერთ-ორ ჰექტარ მიწას, 4,3 პროცენტი მუშაობს ორ-ხუთ ჰექტარზე და მხოლოდ 1,3 პროცენტს აქვს ხუთი ჰექტარი ან მეტი ფართობის მიწა. მცირე მეურნეობების უმეტესობა მიწას ძირითადად აწარმოებს საარსებო მიზნობრიობით და არ გააჩნია პირდაპირი კომერციული პოტენციალი. მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების უმეტესობის პროდუქტიულობა დაბალაი - როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ასევე სხვა ქვეყნებთან შედარებით. თუმცა, მიუხედავად მცირე სოფლის მეურნეობის აშკარა შეზღუდვებისა, მცირედით, მაგრამ მზარდი რაოდენობა საშუალო და მსხვილი კომერციულად ორიენტირებული მწარმოებლები და აგრობიზნესის საწარმოები ხელს უწყობენ შიდა ბაზრისა და ექსპორტზე ორიენტირებული ღირებულების ჯაჭვების განვითარებას.

ირიგაციის და სადრენაჟე სისტემების ინფრასტრუქტურა

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტურბულენტური გარდამავალი პერიოდი გაიარა, რამაც გამოიწვია მისი ირიგაციის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის მწყობრიდანა გამოსვლა. ამან გამოიწვია სარწყავი ფართობის მკვეთრი შემცირება. დრენაჟირებული და დამუშავებული მიწა ასევე შემცირდა 4 ან 5 ათას ჰექტარამდე, რადგან ტექნიკური უზრუნველყოფა ვერ განხორციელდა. 2012 წლიდან, როგორც ირიგაციის, ისე სადრენაჟე მომსახურებით დაფარულმა ტერიტორიებმა აღორძინება დაიწყო, რადგან მთავრობამ დაიწყო შერჩევითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც ორიენტირებული იყო მთავარ და მეორად ინფრასტრუქტურაზე. 2012 წლიდან მოყოლებული, სარწყავი ფართობი გაიზარდა დაახლოებით 130,000 ჰა-მდე 2020 წლისთვის, ხოლო სადრენაჟე მომსახურება ხელმისაწვდომია 34,400 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. საქართველოში მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებშია და ირიგაციის სისტემაზეა დამოკიდებული.

ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 900 000 ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება და მათი 75 პროცენტზე მეტი, სავარაუდოდ, ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე ხვდება. დანარჩენი თავისუფლად იყრება შემთხვევით შერჩეულ ადგილებში, ძირითადად სოფლად. მაგრამ ქვეყანაში მოქმედი ყველა ოფიციალური ნაგავსაყრელიდან მხოლოდ ოთხს აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ზოგიერთი ნაგავსაყრელი შეიქმნა გასული საუკუნის 1960-იან და 1980-იან წლებში, ყოველგვარი დამცავი მახასიათებლების გარეშე. ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და გარემოს. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია ქვეყნის მასშტაბით მართავს ნარჩენების განთავსების 54 ობიექტს. მან უკვე დახურა 23 ნაგავსაყრელი და ინარჩუნებს

31 მათგანს, აქედან მხოლოდ ერთი მუშაობს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

ქვეყანას აკლია სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების სპეციალიზებული ნაგავსაყრელები. როგორც ალტერნატიული მიდგომა, საქართველოს მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან გამოყონ კონკრეტული ადგილები/ნაკვეთები არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების განკარგვისათვის. რაც შეეხება აზბესტის შემცველ მასალებს, აგრეთვე მცირე მოცულობის გაფუჭებულ მასალებს, მათი განთავსება ნებადართულია მყარი ნარჩენების განთავსების ობიექტებზე. სახიფათო ნარჩენები მიდის გრძელვადიან დროებით შენახვაზე კერძო კომპანიების მიერ ოპერირებად სააწარმოებში, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ, აღადგინონ, გამორთონ და შეინახონ საშიში ნარჩენები.

ნარჩენების მართვის იერარქია მიღებულია ნარჩენების მართვის კოდექსით, წრიული ეკონომიკის პრინციპების ჩათვლით. თუმცა, ქვეყანაში ძალიან ცოტა გადამამუშავებელი კომპანიაა. გარდა ამისა, გადამუშავებადი მასალების უმეტესი ნაწილი, როგორც წარმოქმნილი ნარჩენების უმეტესი ნაწილი, არ არის გაცალკევებული. რეგულირებადი სრულყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და ინფრასტრუქტურა, რომელიც ვითარდება ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობა

საქართველო ცნობილია მსოფლიოში მისი კულტურული მემკვიდრეობით და ისტორიული. კულტურული და ღვინის ტურიზმი ქვეყანაში საერთაშორისიო ტურიზმის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. საქართველოს ისტორიული დ კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს ახალ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლის წინ შექმნილ ნივთების არქეოლოგიურ აღმოჩენებს, წინარე ქრისტიანული ხანის ნაგებობებს და ციხე-სიმაგრეებს ადრეული ქრისტიანული ხანის და შუა საუკუნეების არქიტექტურას, მორთულობებს და ქვებზე ამოკვეთილ წარწერებს, უნიკალური ტექნიკით შესრულებულ მინანქრის და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ხატებს, სამკაულებს, რიტუალურ საგნებს და სხვა. ქვეყნაში განხორციელებული არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ სწორედ ამ რეგიონში (კერძოდ მარნეულში, ქვემო ქართლში) რვა ათასი წლის წინ. საქართველოში (დმანისში, ქვემო ქართლის რეგინში) აღმოჩენილი იქნა ასევე ევრაზიის უძველესი მაცხოვრებელი ჰუმანოიდების ნაშთები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის 1.8-1.7 მილიონი წლით თარიღდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტები მუზეუმებში ინახება, ოფიციალურად აღრიცხულია როგორც კულტურული მემკვიდრეობა და დაცულია კანონით. მუზეუმების ქსელი მოიცავს რამდენიმე არქეოლოგიურ პარკს და ეთნოგრაფიულ მუზეუმს ღია ცის ქვეშ.

2008 წელს საქართველომ მოახდინა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაცია. ამის შემდეგ საქართველოს მრავალხმიანობა, ღვინის სახეობები, ქართული სამზარეულოს კერძები, ტრადიციული რიტუალები და სპორტის სახეობები UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში იქნა შეტანილი. საქართველოს კანონმდებლობაც აღიარებს და იცავს კულტურულ მემკვიდრეობას.

მოსახლეობა და მისი მოწყვლადი ჯგუფები

საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო 25 წლის განმავლობაში ქვეყნიდან მზარდი ემიგრაციის გამო. ამჟამად ქვეყანაში 3.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მათგან დაახლოებით 52% ქალია და 48% - მამაკაცი. მოსახლეობის 41% სოფლად ცხოვრობს და 59% - ქალაქებში. თბილისში ქვეყნის მოსახლეობის 32%-ია თავმოყრილი.

პროექტი ზემოქმედება შეიძლება არაპროპორციულად ძლიერი აღმოჩნდეს მოსახლეობის დაუცველი და მოწყვლადი ფენებისთვის. ეს მოწყვლადობა შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების სქესთან, ასაკთან, ჯანმრთელობასთან, შეზღუდულ შესაძლებლობებთან, ეროვნებასთან/ენასთან, ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ფინანსურ პრობლემებთან. ის ასევე შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი გარემოებებით, როგორიცაა მარტოხელ მშობლის სტატუსი, ხანში შესულ ან შშმ პირებზე მზრუნველობა და სხვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, GRAIL პროექტის განხორციელებისას მოწყვლად ან დაუცველ პირებად მიჩნეული არიან: ხანში შესული ადამიანები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები, ქალები და ოჯახები, სადაც მარჩენალი ქალია, არაქართულენოვანი პირები და სხვა.

წინასწარი შერჩევის ჩამონათვალში შეტანილ ორ სისტემაზე განსაკუთრებით დიდია მოწყვლადი მოსახლეობის რაოდენობა. ტირიფონის საირიგაციო სისტემა ჩამონათვალში შეტანილი სისტემებიდან ყველაზე მსხვილია და კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარეობს. 2008 წლის რუსეთთან შეიარღებული კონფლიქტის შედეგად შიდა ქართლში ყველაზე დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს. შიდა ქართლში იძულებით გადაადგილებულ პირთა 75 დასახლებაა, სადაც 17,000 ადამიანი ცხოვრობს. ტირიფონის საირიგაციო სისტემასთან ახლოს მდებარეობს სოფლები კარალეთი შავშვები, ბერბუკი და ხურვალეთი. ამ სოფლებში ცხოვრების პირობები მძიმეა. მოსახლეობას არა აქვს სოციალურ და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაზე (ბაღები, საავადმყოფო და სხვა) წვდომა. ზოგიერთ სოფელში არ არსებობს სასმელი წყლით მომარაგების და კანალიზაციის სისტემები. 2008 წლის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდი დასახლებაა წეროვანში. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, მაგრამ სი სიტემისგან მოშორებით მდებარეობს.

ზედა არხის საირიგაციო სისტემა ბოლნისში მდებარეობს. ბოლო აღწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის 56,000 მოსახლიდან, დაახლოებით 60% აზერბაიჯანელია. ახალგაზრდა თაობამ საკმაოდ კარგად იცის ქართული, მაგრამ უფროსს თაობას უჭირს ქართულ ენაზე კომუნიკაცია, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მომზადებისას.

საქართველოში რეგისტრირებული 125 ათასი შშმ პირიდან 10% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ცხოვრობს, 9% - კახეთში, 8% - ქვემო ქართლში და 7% - შიდა ქართლში. ვინაიდან საქართველოში არ ჩატარებულა ცალკე შშმ პირების აღწერა, მათი რაოდენობა შეიძლება უფრო დიდი იყოს. საქართველოში შშმ პირის სტატუსის მინიჭების ტრადიციული მიდგომა გამოიყენება, რომელიც მხოლოდ სამედიცინო მონაცემებს ითვალისწინებს სოციალური საჭიროებების და ფუნქციების კომპლექსური შეფასების გარეშე. აქედან გამომდინარე, შშმ პირების რაოდენობა ქვეყანაში არ არის ზუსტად განსაზღვრული, რაც გავლენას ახდენს შესაბამის პოლიტიკაზე. გარდა ამისა სამედიცინო მოდელის გამოყენებამ შეიძლება ექსკლუზია გამოიწვიოს. აუტიზმის ან დაუნის სინდორმის შემთხვევაში სახელმწიფო მოქალაქეს შშმ პირის სტატუსს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ პიროვნებას არ შეუძლია იმავე ამოცანების შესრულება, რაც მის თანატოლებს. მცირე ასაკის ბავშვებში ეს რთული განსახორციელებელია და შედეგად გვიანდება დიაგნოზის დასმა და საჭირო დახმარების აღმოჩენა. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონში არის დებულებები სოციალური მიდგომის შესახებ შშმ პირის სტატუსის მინიჭებისას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ეს დებულებები არ გამოიყენება და მოქალაქეებს უწევთ სამედიცინო შემოწმების გავლა სახელმწიფოსგან დახმარების მისაღებად. ივარაუდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა თვითონ უნდა მოითხოვონ მაგვარი შეფასების ჩატარება. საქართველოში საზოგადოებრივი წყალმომარაგების და სანიტარული წერტილები არ არის ინკლუზიური შშმ პირებისთვის. ირიგაციის პროექტებისთვის ეს საკითხი ნაკლებად მნიშვნელოვანია წყალმომარაგების და კანალიზაციის (წყალარიენბის0 პროექტებთან შედარებით

ეკონომიკა და დასაქმება

2008 წელს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის და 2009 წლის კრიზისის შედეგად საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა და 2009 წელს მშპ-ს უარყოფითმა ზრდამ -3.7% შეადგინა. შემდეგ ეკონომიკური ზრდა პოზიტიური გახდა და 2010-2011 წლებში 6-7% შეადგინა. 2013 წლის შემდეგ ეკონომიკური ზრდა შემცირდა და სტაბილურად 4-5%-ს შეადგენდა. COVID-19-ის პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, მაგრამ პანდემიის შემდეგ დაიწყო ეკონომიკის ინტენსიური გამოცოცხლება. ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგებია ჰიდრო ელექტროენერგიის წარმოება, ტურიზმი, მეღვინეობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების (თხილი, კენკრა, მწვანილი) წარმოება და სამთო მრეწველობა (მანგანუმი, სპილენძი). მისი

სტრატეგიული მდებარეობის საშუალებით საქართველო ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციას ასრულებს. აქ გადის საერთაშორისო ავტომაგისტრალები, რკინიგზა, ნავთობის და გაზის სადენები, იგეგმება შავი ზღვის ფსკერზე ენერგო კაბელის და ფართოზოლიანი კაბელების გაყვანა საქართველოს და რუმინეთს შორის,.

საქართველოს შრომის ბაზარზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. 2022 წელს საქართველოდან ევროპის ქვეყნებში დიდი რაოდენობით მუშახელის გადინება მოხდა. ამასთან ერთად უკრაინასა და რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო ქვეყანაში შემოვიდა შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების დიდი რაოდენობა. მთლიანობაში, 2022 წლის ბოლოს გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა ხელოვნების, გართობის, დასვენების, ფინანსების, დაზღვევის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ჯანდაცვის, სოცუზრუნველყოფის, განათლების, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური სერვისების სფეროში. უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა ქვეყანაში კარგად არის განვითარებული უმაღლესი განათლების დაწესებულებების და კურსდამთავრებულების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, კვლევების შედეგად ვლინდება კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა. დამქირავებლები ვერ პოულობენ სათანადო სპეციალობის თანამშრომლებს, ხოლო უმაღლეს დამთავრებული სპეციალისტები უმუშევრები არიან. აქედან გამომდინარე ადამიანური რესურსების სფეროს ყველაზე დიდი გამოწვევაა უნარებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა. 2023 წელს საშუალო ყოველთვიური ხელფასი 1600 ლარს შეადგენდა. 70 წელზე მეტი ასაკის პირების პენსია 65 ლარით გაიზარდა და 365 ლარს შეადგენს. 70-ზე ნაკლები ასაკის პირების პენსია 35 ლარით გაიზარდა და 354 ლარს შეადგენს. საქართველოს მაღალმთიან რეგიონების მაცხოვრებელთა პენსიები ოდნავ უფრო მაღალია.

სიღარიბის დონე

საქართველო ზედა საშუალო შემოსავლების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. საქსტატის მონაცემებით 2021 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა რაოდენობა 3.8%-ით შემცირდა წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით და 17.5%-ს შეადგენს. იმავე წყაროს მონაცემებით 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის დონე ქალაქებში 2.1%-ით შემცირდა და 15%-ს შეადგენს, ხოლო სოფლად - 6.3%-ით შემცირდა და 21.3%-ს შეადგენს. აბსოლუტური სიღარიბის დონე მოსახლების ყველა ასაკობრივ ჯგუფში შემცირდა. 18 წლამდე ასაკის ჯგუფში ეს მაჩვენებელი იყო 22.7% (-3.7%), 18-64 წლის ასაკის ჯგუფში - 17.3% (-3.9%), 65 და მეტი ასაკის ჯგუფში - 11.9% (-3.5%). 3.8%-ით შემცირდა აბსოლუტური სიღარიბის დონე ქალებსა და მამაკაცებში და შეადგინა 17.1 და 17.9% შესაბამისად. მედიანურ მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 0.8%-ით შემცირდა და 18.9%-ს შეადგენს. მედიანურ მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 0.4%-ით გაიზარდა და 7.4% შეადგინა. ჯინის

ინდექსი მთლიანი შემოსავლებისთვის 0.37-ს შეადგენს. ფულადი სახსრების შემოდინების ჯინის ინდექსი არ შეცვლილა და 0.39-ს შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალ პროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია ჩართული, რაც ხელს უწყობს სიღარიბეს და უთანასწორობას განსაკუთრებით სოფლად. ფერმერების უმრავლესობის მეურნეობები მცირე პროდუქტიულია და არა აქვთ სათანადო კავშირი ბაზრებთან. საოჯახო მეურნეობების 80%-ს 1ჰა-ზე ნაკლები ფართობი აქვს, 14.9%-ს - 1-2ჰა, 4.3%-ს - 2-5ჰა და მხოლოდ 1.3%-ს (ჯამში 8577 საოჯახო მეურნეობას)) - 5 და მეტი ჰა. მეურნეობების მცირე ზომის და დაბალი პროდუქტიულობის გამო სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი. ეს ოჯახები ძირითადად არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით და საზღვარგარეთიდან მიღებული გადარიცხვებით ირჩენენ თავს.

ჯანდაცვა

2013 წლის 28 თებერვალს საქართველოში საყოველთაო დაზღვევა იქნა შემოღებული და სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებულ საყოველთაო დაზღვევა მოსახლეობის 90%-ს მოიცავს. შედეგად გაიზარდა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა. მიუხედავად ამისა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები შედარებით მცირეა (მშპ-ს 2.9%) და მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები კვლავ ძალიან მაღალია (54% 2018 წელს). 2017 წლის ივლისში გაფართოვდა შეღავათების პაკეტი მოწყვლადი ოჯახებისთვის, პენსიონერებისთვის, ვეტერანებისთვის და შშმ პირებისთვის.

საქართველოში სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია არაინფექციური დაავადებები (93%), რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და კიბოს. იზრდება მოსახლეობაში თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების და ჭარბი წონის მაჩვენებლები. ქვეყანა მისი მშპ-ს 2.4%-ს კარგავს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის, შრომისუუნარობის და სხვა მსგავსი მიზეზების გამო. პრევენციული ჯანდაცვის სტანდარტები არ პასუხობს მოთხოვნებს. COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე საქართველოში არსებობდა გადამდები დაავადებების, მათ შორის ტუბერკულოზის, მკურნალობის პრობლემები. შიდსის გავრცელება ძირითადად რისკ ჯგუფებით შემოიფარგლება და მთავარი გამოწვევაა შიდსის დაავადებულთა გამოვლენის დაბალი დონე და დაგვიანებული დიაგნოზები. წარმატებით განხორციელდა C ჰეპატიტთან ბრძოლის პროგრამა. პრობლემად რჩება ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის მაღალი დონე ანტიბიოტიკების უკონტროლო გამოყენების და დიაგნოზის გარეშე მკურნალობის გამო.

გენდერული ნიშნით ძალადობა

საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ. ბოლო დროის კვლევები გვიჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობა და ინტიმური პარტნიორების მიმართ ძალადობა კვლავ პრობლემაა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოში 15-64 წლის ქორწინებაში მყოფი ქალების დაახლოებთ 14% ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის სხვადასხვა ფორმის (მათ შორის 6% ფიზიკური ძალადობის, ხოლო 2% - სექსუალური ძალადობის) მსხვერპლი. გამოკითხულთა 10%-მა განაცხადა, რომ განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას და 10% აცხადებს, რომ სამსხურში სექსუალურად ავიწროებენ. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში ვიტარდება კანონმდებლობა, ინსტიტუციონალური შესაძლებლობები და სერვისები გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. ეს სერვისები მოიცავს პოლიციის მხრიდან დაცვას, იურიდიულ დახმარებას, სამედიცინო/ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში კონსულტირებას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, თავშესაფარს და სხვა სახის დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

7. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება

7.1. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიები

საქართველოს კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული რისკების კატეგორიებად დაყოფა ან კომპლექსური ანალიზი (due diligence) პროექტებისთვის. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დებულებები ეხება კონკრეტულ ინვესტიციებს და კომპლექსური ანალიზი (due diligence) დეტალური პროექტის ეტაპზე იწყება. აქედან გამომდინარე, კანონში არ არის გათვალისწინებული ისეთი პროცედურები, რომლებიც მთლიანად GRAIL პროექტს ეხება. კონკრეტული ინვესტიციებისთვის მომზადებული პროექტები შემოწმდება გარემოსდაცვითი რისკების დონის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) აუცილებლობის დასადგენად.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კლასიფიკაციის შესაბამისად GRAIL პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები შეფასდა როგორც ***არსებითი.*** ეს რეიტინგი ითვალისწინებს პროექტის ზემოქმედების ფართობზე სენსიტიური გარემოს და სოციალური რეცეპტორების არსებობას, სამუშაოების ხასიათს, მასშტაბებს და სპეციფიკას, პროექტის განმახორციელებელი უწყებებში მიერ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის (რომელიც 2018 წელს იქნა შემოღებული) გამოყენების გამოცდილების არარსებობა. ეს დოკუმენტი კი უარესად მნიშვნელოვანია პროექტის მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად განსახორციელებლად.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) მომზადდა პროექტისთვის მის დაწყებამდე 1-ელი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის (ESS 1) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კონკრეტული ინვესტიციების დამტკიცების და დეტალური პროექტების მომზადების შემდეგ ჩატარდება პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგი. მაღალი რისკების მქონე პროექტები ვერ მიიღებს პროექტის დაფინანსებას. ნებადართულია მხოლოდ საშუალო და არსებითი რისკის რეიტინგის მქონე ინვესტიციების დაფინანსება პროექტის ფარგლებში. ამ ინვესტიციებისთვის მომზადდება კონკრეტული გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტები ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად.

ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგი

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის (OHS) სპეციალისტები განხილავენ თითოეულ შემოთავაზებულ ქვეპროექტს იმ მაღალი რისკების მქონე ოპერაციების დასადგენად, რომელიც ვერ მიიღებს პროექტის დაფინანსებას და განსაზღვრავენ გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტებს თითოეული

ქვეპროექტისთვის. პროექტის სახსრებით არ დაფინანსდება მაღალი რისკის მქონე შემდეგი აქტივობები:

- მსოფლიო ბანკის ჯგუფის/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის აკრძალული საქმიანობის ჩამონათვალში შეტანილი აქტივობები;
- ის ქვეპროექტები, რომლებიც სავარაუდოდ მრავალმხრივ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ბუნებრივ ან სოციალურ გარემოზე და ეს ზემოქმედება არ არის წინასწარ ცნობილი, ძნელი შესაფასებელია და მისი შემცირების ზომები ტექნიკური ან ფინანსური თვალსაზრისით ძნელი განსახორციელებელია;
- ის ქვეპროექტები, რომელთა ზემოქმედება სცდება განხორციელების არეალს ან ქვეყნის საზღვრებს;
- ქვეპროექტები რომლებიც ზემოქმედებას ახდენს კრიტიკული მნიშვნელობის ბუნებრივ გარემოზე, მაგალითად ჭარბტენიან ტერიტორიებზე, ხელუხლებელ ტყეებზე, ფრინველების მნიშვნელოვან საარსებო გარემოზე, სახელმწიფო ნაკრძალ ებზე, ბერნის კონვენციის ზურმუხტის ქსელის ფართობებზე და სხვა, ვინაიდან ამგვარი ტერიტორიები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ეკოსისტემის სერვისების უზრუნველყოფაში;
- ის ქვეპროექტები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მოსახლეობაზე, მათ შორის დასახლებებზე და ადგილობრივ თემებზე;
- ის ქვეპროექტები რომლებისთვისაც საჭიროა ტყის დიდი ფართობის გაჩეხვა ან ათვისება;
- ქვეპროექტები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს და არღვევს მიწისქვეშა და წყლის ეკოსისტემებს;
- ქვეპროექტები რომლებიც არღვევს აუზის ჰიდროლოგიურ ბალანსს.

შემდეგ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის (OHS) სპეციალისტები გასაზღვრავენ ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ხასიათს და მასშტაბებს წინამდებარე ESMF-ის 1-ელი დანართში მოცემული საკონტროლო ჩამონათვალის საშუალებით. ამის საფუძველზე გადაწყდება კონკრეტულ ქვეპროექტს ახლავს თუ არა მნიშვნელოვანი რისკები და საჭიროა თუ არა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (გსზშ) ჩატარება, თუ რისკები საშუალოა, საკმარისი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალურ მართვის გეგმის (ESMP) დამოუკიდებელი საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენება. თუ ქვეპროექტისთვის საჭიროა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართში ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელება, ჩატარდება გარემოსდაცვითი სკრინინგი ამავე კოდექსში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. სკრინინგის შედეგების საფუძველზე გარემოს ეროვნული სააგენტო გადაწყვეტს საჭიროა თუ არა გზშ-ს ჩატარება. ქვეპროექტის რისკების შეფასებისას გათვალისიწინებული უნდა იქნეს არანებაყოფლობითი განსახლების მოსალოდნელი ალბათობა, განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შედგენა, არქეოლოგიური ნივთების შემთხვევით პოვნის საშუალოზე მარალი

ალბათობა მე-2 დანართში მოცემული სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალის მიხედვით.

წინამდებარე ESMF-ს ერთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (გსზშ) ანგარიშის და გარემოსდაცვითი და სოციალურ მართვის გეგმის (ESMP) საკონტროლო ჩამონათვალის ნიმუშები. GRAIL პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში (RPF) კი მოცემულია განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადების დეტალური მითითებები.

7.2. მშენებლობის ფაზაში მოსალოდნელი ზემოქმედება

მცენარეული საფარის მოცილება

რეაბილიტაციის სამუშაოები ძირთადად საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გასხვისების ზოლს არ გასცილდება, მაგრამ შესაძლებელია ეს გასხვისების ზოლი არ იყოს სათანადოდ დარეგისტრირებული ან შენარჩუნებული. სისტემის ტერიტორიაზე და ღია არხებშიც კი შეიძლება იზრდებოდეს ველური ან კულტურული მცენარეები. რეკონსტრუქციისას შეიძლება საჭირო გახდეს გასხვისების ზოლის გაფართოება. მთლიანობაში პროექტის გარემოზე ანაბეჭდი მინიმალური იქნება, რადგან მცენარეული საფარისგან წმენდა მოხდება არსებული არხების გასწვრივ მდებარე ვიწრო ზოლებზე. შეიძლება საჭირო გახდეს ცალკეული ხეების ამოძირკვა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია საშუალო ნეგატიური ზემოქმედება ტრანსფორმირებულ გარემოზე. GRAIL პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მცირე ნაწილი დაცული ტერიტორიების ახლოს ან მათ საზღვრებშია განლაგებული. დაცული ტერიტორიების მცენარეებზე პროექტის ზემოქმედება განსაკუთრებული ყურადღებით იქნება შესწავლილი.

ხმაური, ვიბრაცია და გამონაბოლქვი

სამშენებლო მოედნებზე, სადაც ავტომობილები და ტექნიკა მუშაობს, ჩვეულებრივ წარმოიქმნება ხმაური, მტვერი და ვიბრაცია. ჰაერი ბინძურდება მიწის სამუშაოების და სატვირთო მაქნანების დატვირთვა-გადმოტვირთვისას წარმოქმნილი მტვრით, მავნე ნივთიერებებით და დიზელის საწვავის გამონაბოლქვით. წარსულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში სოფლად ბევრი ძველი და ავარიული სახლია, რომლებზედაც სამშენებლო მოედანზე საშუალო ვიბრაციაც კი ახდენს უარყოფით გავლენას. ზოგიერთ ასეთ სახლს უჩნდება ბზარები ან კონსტრუქციული დაზიანებები სიძველის და არა სამშენებლო სამუშაოების გამო, მაგრამ მეპატრონეები მაინც ითხოვენ კომპენსაციას პროექტისგან. ნამდვილი მიზეზების დასადგენად კი საჭიროა სპეციალური კვლევევბი, რაც დიდ დროს და ხარჯებს მოითხოვს.

სამშენებო ნარჩენების წარმოქმნა

საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისას წარმოიქმნება სამშენებლო ნარჩენები, მათ შორის აზბესტის შემცველი სახიფათო ნარჩენებიც. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად დაუშვებელია სანიტარულ ნაგავსაყრელებზე სახიფათო ნარჩენების განთავსება. შესაბამისად, ამგვარი ნარჩენები კერძო, მუნიციპალურ ან სახელმწიფო მიწის ნაკვეთებზე

უნდა განთავსდეს. სამშენებლო მოედანთან ახლოს ასეთი ადგილის პოვნა რთულია, ხოლო ტრანსპორტირების დიდი მანძილი კი ზრდის კონტრაქტორების ხარჯებს. ნარჩენების განსათავსებელად სახელმწიფო მიწის ნაკვეთის გამოყოფა რთული და ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურაა. ეს პროცესი სავარაუდოდ გაჭიანურდება.

აზბესტის შემცველი სამშენებლო ნარჩენები ნაგავსაყრელზე სპეციალური შეფუთვით უნდა განთავსდეს. აზბესტის შემცველი ნარჩენების მოცილებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მუშების ჯანმრთელობას, თუ მათ არ მისცეს ინსტრუქციები უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, დამცავი აღჭურვილობა და ტანსაცმელი. აზბესტის შემცველი ძველი მილების მოცილებისას ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად არ აძლევს კონტრაქტორს ამ მილების ტერიტორიიდან გატანის საშუალებას და სთხოვს მათ დატოვებას ბაღებსა და მეურნეობებში გამოსაყენებლად. მოსახლეობას მიწოდება ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის აზბესტის საშიშროების შესახებ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს არ ცვლის მათ პოზიციას.

ნაყარი გრუნტის წარმოქმნა

მიწის სამუშაოების დროს წარმოქმნილი ნაყარი გრუნტის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული უკუჩაყრისთვის. ჭარბი გრუნტი გარკვეული მოცულობით შეიძლება გაიგზავნოს ნაგავსაყრელებზე, რომლებიც ამ გრუნტს თავისი ოპერაციებისთვის იყენებენ, შეიძლება ასევე კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ მიწის ნაკვეთებზე ამ გრუნტის გადატანა, თუმცა კერძო მესაკუთრეებს და მუნიციპალიტეტებს არ სურთ ამ გრუნტის მიღება. ნაყარისთვის სახელმწიფო მიწის ნაკვეთის გამოყოფა რთული და ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურაა. ეს პროცესი სავარაუდოდ გაჭიანურდება.

სამშენებლო მოედნიდან წყლის ჩამონადენი

სამშენებლო მოედანზე შეიძლება მოხდეს მექანიზმებიდან ზეთის და საპოხი მასალის, შენახული სამშენებლო მასალიდან ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა და გრუნტის წყლებში და ჩამონადენ წყალში შეღწევა. დაბინძურების მიზეზი შეიძლება ასევე გახდეს ავტომობილები და მექანიზმების საწვავით არასწორად გამართვა. სამშენებლო მოედანზე ბეტონის შერევისას წარმოქმნილი სითხეს შეუძლია წყლის და ნიადაგის სერიოზული დაბინძურება, თუ არ მოხდა მისი გაწმენდა.

ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება

პროექტის ფარგლებშ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ქვიშა და ხრეში. კონტრაქტორებს შეუძლიათ ამ მასალის გარეშე მიმწოდებლებისგან შედგენა ან საკუთარი კარიერების მოწყობა. საქართველოში იშვიათია წიაღისეულის უკანონოდ მოპოვება, მაგრამ მოპოვების პროცესი ხშირად არ არის ეკოლოგიურად უსაფრთხო. ქვიშის და ხრეშის მოპოვება მდინარეების ნაპირებზე ხდება. დიდი კარიერებისთვის საჭიროა გზშ-ს ჩატარება, მაგრამ გარკვეულ ზღვრულ მაჩვენებელზე მცირე კარიერებს გარემოსდაცვითი კომპლექსური ანალიზი (due

diligence) არ ეხება, მაგრამ ერთსა და იმავე მდინარეზე განლაგებული რამდენიმე მცირე კარიერი მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას ახდენს, რომელიც სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. თუმცა აკრძალულია მდინარის კალაპოტიდან მასალის ამოღება, მაგრამ ამ აკრძალვის პრაქტიკაში განხორციელება რთულია. მდინარეებში წყლის ხარჯი იცვლება სეზონების მიხედვით და ზოგიერთი მდინარე დროთა განმავლობაში იცვლის კალაპოტს. აქედან გამომდინარე ლიცენზირებული კარიერების საზღვრები შეიძლება წყლის კალაპოტში აღმოჩნდეს. გარდა ამისა, ყველა კარიერს უნდა ჰქონდეს ტერიტორიის აღდგენის გეგმა, მაგრამ ეს გეგმები ზოგადი ხასიათისაა და მათი განხორციელება ჩვეულებრივ მაშინ იწყება, როდესაც იწურება ლიცენზია. ვინაიდან ლიცენზიის ვადა მხოლოდ რამდენიმე წელია, კარიერის გამოუყენებელი ნაწილები დიდი ხნის განმავლობაში მიტოვებული რჩება აღდგენითი სამუშაოების განხორციელების გარეშე.

კულტურული მემკვიდრეობა

პროექტის განხორციელება არ მოახდენს ზემოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, მაგრამ მიწის სამუშაოების წარმოებისას ყოველთვის არსებობს არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის ალბათობა. ეს ალბათობა უფრო მაღალია, თუ სამუშაოების არქეოლოგიური გათხრების ადგილთან ახლოს მიმდინარეობს. არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში მოსალოდნელია მუშაობის შეფერხება და კონტრაქტორის დაზარალება, მაგრამ დაუშვებელია სამუშაოების ნაჩქარევად განახლება. ამან შეიძლება გამოიწვიოს არქეოლოგიური ნივთის დაზიანება არასწორი ამოღების, შეფუთვის ან ტრანსპორტირების გამო. გარდა ამისა, შესაბამისი ადგილის სათანადო კვლევის გარეშე მუშაობის განახლებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა არტეფაქტების დაზიანება, რომლებიც სამუშაოების ადგილას მდებარეობს, მაგრამ ჯერ არ არის აღმოჩენილი.

საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება

GRAIL პროექტის განხორციელებისას არ არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით მუშახელის შემოსვლა, მაგრამ სამუშაო მოედანზე და მის სიახლოვეს მუშების კონცენტრაციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. მუშები ან სამშენებლო მოედანზე მოწყობილ ბანაკში იცხოვრებენ ან დაიქირავებენ სახლებს/ბინებს ადგილობრივი მოსახლეობისგან და ორივე შემთხვევაში ექნებათ მათთან კონტაქტი. შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტები კულტურული, რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ფაქტორების გამო, გაიზარდოს სექსუალური შევიწროების ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის შიდსის, ასევე ინფექციების (მაგ. COVID-ის) შემთხვევები.

სამშენებლო მოედანზე, დასახლებაში და გზებზე ავტომობილების და მექანიზმების გადააგილება, შეიძლება გამოიწვიოს მოძრაობის მატება, შეფერხება და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის ზრდა.

თუ კონტრაქტორი დაცვის თანამშრომლებს დაიქირავებს სამშენებლო მოედნის დასაცავად, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობაზე, თუ დაცვის თანამშრომლები ბოროტად გამოიყენებენ სამსახურებრივ უფლებებს.

მუშახელის მართვა

პროექტის ყველა თანამშრომელი შეიძლება აღმოჩნდეს დამქირავებლის მხრიდან უსამართლობის მსხვერპლი, მაგრამ ეს განსაკუთრებით სამშენებლო კომპანიების მიერ დაქირავებულ მუშებს ეხება. ზოგჯერ კონტრაქტორი კომპანიები არ აფორმებენ ხელშეკრულებებს მუშებთან, უგვიანებენ ანაზღაურების გადახდას, ამუშავებენ დამატებითი დროის განმავლობაში ანაზღაურების გარეშე, არ აძლევენ მუშებს შესვენებას, ბიულეტენს ან სხვა მხრივ უწევენ ექსპლუატაციას. საქართველოში მცირეა ბავშვების შრომის ან იძულებითი შრომის ალბათობა, მაგრამ მუშები შეიძლება განიცდიდნენ გენდერული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციას. იშვიათია ასევე სამუშაო ადგილას სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის ან შევიწროების შემთხვევები, მაგრამ ეს რისკები მაინც არსებობს. ზოგიერთი დამქირავებელი არ უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებელ და სანიტარულ პირობებს და დასასვენებელ ადგილებს მუშახელისთვის. სამშენებლო ბანაკში არადამაკმაყოფილებელმა საცხოვრებელმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ინფექციური დაავადებების გავრცელება და არაინფექციური დაავადებების განვითარება.

უბედური შემთხვევები სამშენებლო მოედანზე

GRAIL პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არ მოიცავს გარემოსთვის სახიფათო მასალები, ასაფეთქებელი, რადიოაქტიური ან მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, არსებობს შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის (OHS) რისკები, როლებმაც შეიძლება უბედური შემთხვევების მიზეზი გახდეს. GRAIL პროექტის ფარგლებში OHS რისკები შეიძლება იყოს სამუშაოების დაწყების წინ ამ რისკების არასათანადო შეფასება, სამუშაო მოედნის დაგეგმვის, ორგანიზების და მოვლა-შენახვის დაბალი დონე, გამაფრთხილებელი ნიშნების, დემარკაციის, დამცავი/გადამღობი მოწყობილობების არარსებობა, გაუმართავი ავტომობილების და მექანიზმების გამოყენება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა, მუშების დამცავი ტანსაცმლის და აღჭურვილობის არარსებობა ან მათი არასწორი გამოყენება, რასაც უბედური შემთხვევები ან მსხვერპლი შეიძლება მოჰყვეს.

არანებაყოფლობითი განსახლება

GRAIL პროექტის ფარგლებში არ ხდება ახალი საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და შესაბამისად, საჭირო არ იქნება მიწის მნიშვნელოვანი ფართობის შესყიდვა, მაგრამ რეკონსტრუქციის სამუშაოების დროს შეიძლება აუცილებელი გახდეს კერძო მესაკუთრეებისგან მიწის მცირე ფართობის შესყიდვა. გაცილებით ნაკლებია არანებაყოფლობითი განსახლების საჭიროების

რისკი. არხების წმენდისას შეიძლება საჭირო გახდეს უკანონოდ მითვისებული გასხვისების ზოლის გათავისუფლება და უკანონო წყალამღები მოწყობილობების მოცილება. პროექტის სამუშაოების დროს შეიძლება დროებით შეიზღუდოს მაცხოვრებლების მიერ მათი მიწის ან სხვა უძრავი ქონების გამოყენება. დასახლებების ახლოს სამუშაოების წარმოების დროს შეიძლება შემთხვევით კერძო ღობეები, ჭიშკრები, ხეები და სხვა. მომზადდება პროექტის განხორციელების გეგმა, რომლის მიხედვითაც მინიმუმამდე შემცირდება სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება ირიგაციის/დრენაჟის სეზონის დროს მომსახურების შეფერხების თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ან დაგვიანდეს მომსახურების განხორციელება მაცხოვრებლების და მომხმარებლებისთვის.

7.3. ექსპლუატაციის ფაზაში მოსალოდნელი ზემოქმედება

ეკონომიკური ზემოქმედება

საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია ზოგადად დადებით ზემოქმედებას მოახდენს სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადგილობრივ მოსახლეობაზე, კერძოდ: (i) განახლდება იმ მიწების დამუშავება, რომლებიც მიტოვებული იყო საირიგაციო/სადრენაჟო მომსახურების წყვეტის გამო; (ii) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა მომსახურების გაუმჯობესების შედეგად; (iii) მაღალი ღირებულების სარწყავი სს კულტურების დანერგვა და ფერმერების შემოსავლების ზრდა. მე-2 კომპონენტი უზრუნველყოფს მიწის საკუთრების უფლებების დაცულობას და შესაბამისად, ფერმერებს ექნებათ თავისი მიწის გაყიდვის ან იჯარით გაცემის მეტი შესაძლებლობა, გაიზრდება მიწის ღირებულება ირიგაციის და დრენაჟის გაუმჯობესების შედეგად.

მომსახურების განხორციელების ადმინისტრირება

GRAIL პროექტის მიზანია დაეხმაროს სესხის ამღებს წყლის ტარიფის რეფორმის განხორციელებაში, რომლის შედეგადაც მომსახურების პროვაიდერი (შპს „საქართველოს მელიორაცია“) თანდათან თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს და ამასთან ერთად მომსახურების გადასახადი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის და თანდათან უნდა გაიზარდოს. აქედან გამომდინარე, პროექტი ხელს უწყობს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას მესამე რიგის და შიდა სამეურნეო საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მართვის გასაუმჯობესებლად. ანგარიშგების გაუმჯობესება, გადასახადების ოპტიმიზაცია, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის გაუმჯობესება სავარაუდოდ ხელს შეუწყობს წყლის უფრო ეფექტიან განაწილებს და შეამცირებს წყლის დანაკარგს.

კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობა

კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც სს კულტურების წარმოება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია რწყვაზე. გვალვების გახშირების და მათი ხანგრძლივობის ზრდის გამო ზოგიერთი სს კულტურის მოყვანა შეუძლებელია რწყვის გარეშე. თუ სარწყავი წყლის დეფიციტი წარმოიქმნა მხოლოდ საირიგაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საკმარისი არ იქნება ამ

საკითხის გადასაწყვეტად. GRAIL პროექტის მიდგომა კომპლექსურია და ითვალისწინებს საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და პარალელურად რწყვის მოწინავე მეთოდების დანერგვას წყლის ეფექტიანი გამოყენების მიზნით. პროექტი ასევე მცირე გრანტებს გამოყოფს და ტექნიკურ დახმარებას განახორციელებს კლიმატგონივრული აგროტექნოლოგიების დანერგვის მიზნით.

კონკურენცია წყალსარგებლობისთვის

GRAIL პროექტის განხორციელება არ მოახდენს პირდაპირ გავლენას წყალსარგებლობისთვის კონკურენციაზე, რადგან სისტემების რეაბილიტაცია არ გაზრდის წყალაღებას. მიუხედავად ამისა, მომავალში რეაბილიტირებული სისტემებზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ზედა ბიეფში წყალაღების ზრდამ ან ქვედა ბიეფში ეკონომიკური საქმიანობის გამო შეიძლება გაიზარდოს წყალზე მოთხოვნა. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები წყალმომხმარებლებს შორის, თუ თანამიმდევრულად არ განხორციელდა აუზის მართვის გეგმები. კონფლიქტების მიზეზი შეიძლება საევე გახდეს იმ წყალმომხმარებლების უკმაყოფილება, რომელტა სისტემებიც არ იქნა შერჩეული სარეაბილიტაციოდ.

ეროზია, დამლაშება და დაჭაობება

ჰიდროტექნიკური ნაგებობების და არხების დაზიანება ან მათი ამოვსება შეიძლება წყლის გადმოდინების და დატბორვის მიზეზი გახდეს, რაც ნიადაგის ეროზიას იწვევს. ეროზიის მიზეზი შეიძლება ასევე იყოს დატბორვით (მიშვებით) რწყვა. ზოგიერთ მაგვარ ფართობზე აუცილებელია სადრენაჟო სისტემის არსებობა და სათანადო ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიხლება მოხდეს ნიადაგის დაჭაობება. გრუნტის წყლების მაღალი დონის და ნიადაგში მარილების დაგროვების შემთხვევაში მიშვებით რწყვამ ნიადაგის დამლაშება შეიძლება გამოიწვიოს. რაც შეეხება საქართველოში სარწყავი წყალის მინერალიზაციის დონეს, ის არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ნიადაგის ხარისხზე.

პესტიციდების გამოყენების ზრდა

საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის შედეგად გაიზრდება სს კულტურების მოსავლიანობა, მოხდება კულტურების დივერსიფიკაცია და მოიმატებს ფერმერების შემოსავლები. ამასთან ერთად, სს კულტურების წარმოების ზრდასთან და მიტოვებული მიწები ხელახლა ათვისების შედეგად გაიზრდება ქიმიკატების გამოყენება. პესტიციდებმა შეიძლება დააზიანოს იმ ადამიანების ჯანმრთელობა, ვინც მათ იყენებს და პესტიციდებით მოყვანილი პროდუქციის მომხმარებლების ჯანმრთელობაც. გარდა ამისა, პესტიციდებმა შეიძლება დააბინძუროს გარემო (ნიადაგი, წყალი და გრუნტის წყლები).

სარწყავი წყლის ხარისხის სისტემატიური ან ინციდენტებთან დაკავშირებული გაუარესება

საქართველოში სარწყავი წყლის ამღები ნაგებობების ზედა ბიეფში, როგორც წესი, არ არის ინდუსტრიული დაბინძურების წყაროები, ავტომაგისტრალები და დიდი

ხიდები სადაც შეიძლება მოხდეს სახიფათო ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილების ავარია. საქართველოში სარწყავი წყლის სისტემატიური დაბინძურების ერთადერთი წყარო არის კარიერები. ამ სამთო მრეწველობის მოკრძალებული მასშტაბების მიუხედავად რისკი მაინც მაღალია, რადგან ნაკლებად ეფექტიანია სამთო მრეწველობის მიმართ გამოყენებული გარემოსდაცვითი რეგულაციები და მათი განხორციელება.

წყლის ეკოსისტემის დაზიანება წყალაღების და წყლის ჩაშვების შედეგად

შპს „საქართველოს მელიორაციას“ სამინისტროს მიერ განსაზღვრული წყალაღების მოცულობა აქვს, მაგრამ ნებართვების ეს სისტემა არ არის წყალაღების გზშ-ზე დაფუძნებული. არ არსებობს წყლის ეკოლოგიური ხარჯის ნაციონალური სტანდარტები ან მისი განსაზღვრის ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგია. არ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მინდვრებიდან წყლის ობიექტებში ჩაშვებული დრენირებული წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი. აქედან გამომდინარე, არსებობს საირიგაციო სისტემების წყალაღების და წყლის ჩაშვების შედეგად მდინარეების ეკოსისტემების დაზიანების საფრთხე.

წყალსაცავების კაშხლების დაზიანება ან მწყობრიდან გამოსვლა

პროექტის არ აფინანსებს საირიგაციო წყალსაცავების კაშხლებზე განსახორციელებლ სამუშაოებს, დაგეგმილია მხოლოდ ნატანისგან გამწმენდი აღჭურვილობის შესყიდვა ნარეკვავის წყალსაცავისთვის. პროექტში შეტანილი რამდენიმე საირიგაციო სისტემის ზედა ბიეფში წყალსაცავებია განლაგებული და მათი ფუნქციონირება კაშხლების გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ამ კაშხლების მწყობრიდან გამოსვლა საფრთხეს შეუქმნის საირიგაციო წყლის მომხმარებლების სიცოცხლეს და ქონებას წყალსაცავის ქვედა ბიეფში. ყველა წყალსაცავი არ არის აღჭურვილი მონიტორინგის ინსტრუმენტებით და არა აქვთ საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნის გეგმები.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი

GRAIL პროექტის დიზაინში გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი, რომელიც ამოქმედდება კრიზისის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მაგალითად სტიქიური უბედურების დროს ქვეყანაში ან რეგიონში საგანგებო სიტუაციის გამოცხადების ან საქართველოს მთავრობის ოფიციალური თხოვნის საფუძველზე სტიქიური უბედურების, პანდემიის ან შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის ამოქმედების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებია მუშების და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის საფრთხეები, მცენარეების განადგურება, ლანდშაფტის და ეკოსისტემების დაზიანება გადაუდებელი სამუშაოების სწრაფი განხორციელების დროს, წარმოქმნილი ნარჩენების შენახვის/გატანის პრობლემა, მეორე დონის ზემოქმედების შემცირების ზომების განუხორციელებლობ საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ,

8. რისკების მართვა და ზემოქმედების შემცირება

პროექტის სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზების რისკების დიდი ნაწილი ეფექტიანად შეიძლება იქნეს შემცირებული და მხოლოდ მცირე ნარჩენი ზემოქმედება არის მოსალოდნელი. უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ზომები განსაზღვრულია პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებისთვის. ESMF-ში მოცემულია ზემოქმედების შემცირების ზომების ზოგადი ჩამონათვალი, ხოლო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებში (ESMP) დეტალურად განსაზღვრული იქნება ზომები თითოეული სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

8.1. პროექტირების ფაზა

შერჩეული საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციის დეტალური პროექტების მომზადებისას გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება (მაგ. ხეების ჭრის ფართობის შემცირება) და დადებითი ზემოქმედების მაქსიმალურად გაძლიერება (მაგ, ელექტროენერგიასა და წყალზე მოთხოვნის შემცირება). დეტალური საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნება წყალუზრუნველყოფის ანალიზი და ეკოლოგიური ხარჯის აუცილებლობა. სამინისტროს რეკომენდაციით ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ჩამონადენის მინიმუმ 10%-ს უნდა შეადგენდეს. საბოლოო პროექტის დოკუმენტაციაში მითითებული იქნება სამშენებლო ქვეპროექტის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე მასალების მიმწოდებლების და კარიერების ჩამონათვალი, ნაყარის და სამშენებლო ნარჩენების დროებით და საბოლოოდ განთავსების ადგილები, მისასვლელი გზები, სამშენებლო ბანაკების, ავტომობილების და ტექნიკის ტექმომსახურების და საწყობების განლაგება.

სადრენაჟო არხებიდან ზღვაში ორგანული ნივთიერებებით ან აგროქიმიკატებით დაბინძურებული წყლის ზღვაში ჩაშვებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შავი ზღვის ეკოსისტემაზე. თუ პროექტის ფარგლებში განხორციელდება წინასწარი შერჩევის სიაში მოხვედრილი სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია, პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს დრენირებული წყლის ნაწილობრივ გაწმენდა, მაგალითად ხელოვნური ჭარბტენიანი ტერიტორიის მოწყობა ან იმგვარი არხების დაპროექტება, სადაც შესაძლებელია მცენარეული საფარის ზრდა,

8.2. მშენებლობის ფაზა

მცენარეული საფარისგან წმენდა და ბიომრავალფეროვნების დაცვა (1-ელი და მე-6 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად (ESS 1 და ESS 6)

პროექტის ზემოქმედების ზონაში მცენარეული საფარის მოცილების (მათ შორის გასხვისების ზოლის და ღია არხების წმენდის) წინა ჩატარდება ამ ადგილებზე არსებული ხეების ინვენტარიზაცია. განისაზღვრება წითელ ნუსხაში შეტანილი ხეები და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მსხმოიარე ხეების გამოყენების

ფაქტები. ამ ინფორმაციის საფუძველზე შემდეგ მოხდება წითელ ნუსხაში შეტანილი ხეებისთვის საფასურის გადახდა ან ადგილობრივ მაცხოვრებლებზე კომპენსაციების გაცემა.

მცენარეული საფარის მოცილებამ განსაკუთრებით ხეების ჭრა, მინიმუმამდე იქნება შემცირებული. მცენარეები მოცილებული იქნება მხოლოდ არხში წყლის გატარების და სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზაში საჭირო მისასვლელი და საექსპლუატაციო გზების მოწყობის მიზნით. აკრძალული იქნება მცენარეების ზედმეტად განადგურება ან დაზიანება. ამ მიზნით ტექნიკის და ავტომობილების მოძრაობა მხოლოდ განსაზღვრულ მარშრუტებზე უნდა განხორციელდეს.

თუ სამუშაოები სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე უნდ განხორციელდეს, პროექტის განხორციელების ერთეული ეროვნული სატყეო სააგენტოსგან აირებს შესაბამის ნებართვას. თუ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მუშაობა ხეების ჭრას მოიცავს, პროექტის განხორციელების ერთეულმა ეროვნული სატყეო სააგენტოსგან უნდა აიღოს ხეების მოჭრის ნებართვა.

თუ სამუშაოები ხორციელდება ეროვნული ან საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების შიგნით ან მათ სიახლოვეს, პროექტის განხორციელების ერთეულმა უნდა ნებადართულია თუ არა ეს სამუშაოები მოცემული კატეგორიის დაცულ ტერიტორიებზე და უნდა მიმართოს შესაბამის უწყებებს ნებართვის მისაღებად. თუ პროექტისთვის საჭიროა სამუშაოების ბერნის კონვენციის ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებზე განხორციელება, სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ამ ტერიტორიებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება. პროექტი არ დააფინანსებს არც ერთ საქმიანობას, რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს კრიტიკული მნიშვნელობის ან ბუნებრივ საარსებო გარემოზე.

ხმაური, ვიბრაცია და ემისია (მე-4 და მე-5 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად (*ESS 4 და ESS 5)*

სამშენებლო ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაურის კონტროლის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება აღჭურვილობის გამართული მუშაობა, აიკრძალება ძრავის უქმი სვლა და არასამუშაო საათებში მუშაობა, განსაკუთრებით დასახლებების სიახლოვეს. მტვრის კონტროლი მოხდება სამუშაო ადგილის დასველების და სამშენებლო ტექნიკის საბურავების რეცხვის საშუალებით,

სამშენებლო მასალის და ნარჩენების ტრანსპორტირება მხოლოდ გადახურული სატვირთო მანქანებით მოხდება. გაკონტროლდება ავტომობილების და სამშენებლო ტექნიკის საწვავის ხარისხი და უზრუნველყოფილი იქნება დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა.

თუ სამშენებლო მოედანთან ახლოს ძველი ავარიული სახლებია განლაგებული მათ ბზარებზე სპეციალური მონიშვნა გაკეთდება, მშენებლობის შედარებით მოკლე პერიოდში შენობების კონსტრუქციული დაზიანების მონიტორინგის მიზნით. ეს ინფორმაცია გამოიყენება ადგილობრივ მაცხოვრებლებთან დავების შემტხვევაშიმ როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ მშენებლობამ მათი სახლი

ადაზიანა და პროეტისგან კომპენსაციას ითხოვენ. თუ დადასტურდება, რომ დაზიანება სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია, შენობის მფლობელი მიიღებს კომპენსაციას GRAIL პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს დოკუმენტში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მიწის სამუშაოები (1-ელი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 1)

მიწის სამუშაოები ყველაზე დიდი რისკია ლანდშაფტისთვის და შეიძლება ეროზია გამოიწვიოს. უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და მინიმუმამდე შემცირების მიზნით შემდეგი პრაქტიკა უნდა განხორციელდეს:

- ნიადაგის ზედა ფენა მოცილებული და ცალკე შენახული უნდა იქნეს შემდეგ ტერიტორიის აღსადგენად;
- ამოღებული ნაყარის ნიადაგის ზედა ფენისგან ცალკე შენახვა შესაბამის ადგილს, სადაც არ არის მცენარეული საფარი;
- გრუნტის ამოღების ადგილებში საჭიროებისამებრ გამაფრთხილებელი ნიშნების და ღობეების მოწყობა;
- გრუნტის ამოღების ადგილის (ნათხარის) ღიად დატოვების დროის მინიმუმამდე შემცირება;
- რამდენადაც შესაძლებელია ამოღებული მასალის უკუჩაყრისთვის გამოყენება;
- ამოღებული ჭარბი მასალის წინასწარ შეთანხმებულ ადგილას გატანა;
- სამუშაოების ადგილის აღდგენა ნიადაგის ზედა ფენის განთავსების და მცენარეული საფარის აღდგენის საშუალებით.

შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (მე-8 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 8)

მიწის სამუშაოების წარმოებისას შეიძლება შემთხვევით იქნეს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. თუ სამუშაოები არქეოლოგიური გათხრების ადგილთან ახლოს ტარდება, სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ტერიტორიის წინასწარი არქეოლოგიური კვლევა. არქეოლოგიური მასალის შემთხვევით პოვნის შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკურ ზედამხედველს აღმოჩენის შესახებ. ზედამხედველმა დამკვეთს 9ამ შემთხვევაში სამინსიტროს პროექტის განმახორციელებლ ერთეულს) უნდა გადასცეს ეს ინფორმაცია. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი ოფიციალურ შეტყობინებას გაუგზავნის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც კვალიფიციურ სპეციალისტებს მოიწვევს ტერიტორიის შესასწავლად და თუ დამტკიცდება აღმოჩენის არქეოლოგიური მნიშვნელობა, ჩატარდება სწრაფი არქეოლოგიური გათხრები, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის საშუალებით ითანამშრომლებს სააგენტოსთან მისი კომპეტენციის ფარგლებში. სააგენტომ

ოფიციალურად აცნობებს სამინსიტროს არქეოლოგიური გათხრების დასრულების და სამუშაოების გაგრძელების ნებართვის შესახებ. თუ არქეოლოგიური აღმოჩენა უძრავი ქონებაა, საქართველოს მთავრობა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას ან სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესახებ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს პროექტში აღმოჩენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ან შეწყვეტს სამუშაოებს ამ აღმოჩენის შესანარჩუნებლად.

სამშენებლო ნარჩენების მართვა (მე-2 და მე-3 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად (ESS2 და ESS 3)

სახიფათო და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები ცალ-ცალკე უნდ ინახებოდეს სამუშაოების ადგილას. კონტრაქტის აქტის ადრეულ ეტაპზე კონტრაქტორმა პროექტის განხორციელების ერთეულის ტექნიკური ზედამხედველის დახმარებით უნდა შეარჩიოს არასახიფათო ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილი. თუ კერძო მესაკუთრეები დათანხმდებიან ნარჩენების თავსი ნაკვეთებზე განთავსებას, მათთან უნდა გაფორმდეს ოფიცალური ხელშეკრულება. თუ ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწას გამოყოფს, ასევე ოფიცალური ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. თუ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტები შეამოწმებენ რამდენად უსაფრთხოა ნარჩენებისთვის გამოყოფილი ადგილი ადამიანებისა და გარემოსთვის. თუ ეს ვარიანტები შეუფერებელი აღმოჩნდა, კონტრაქტორი ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიმართავს. მკაცრად იკრძალება ნარჩენების უნებართვოდ გატანა. გატანილი სამშენებლო ნარჩენების ტერიტორია აღდგენილი უნდა იქნეს გარკვეულ დონეზე ლანდშაფტთან შესაბამისობის მისაღწევად.

შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის სპეციალისტები და ტექნიკური ზედამხედველი ტრენინგებს ჩაუტარებენ მუშებს აზბესტის შემცველ ნარჩენებთან მუშაობის თაობაზე. უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა დამცავი ტანსაცმლის, ჩექმების და ხელთათმანების, ასევე რესპირატორების და სათვალეების ტარება. ის ზედაპირი, სადაც აზბესტი მდებარეობს უნდა დასველდეს; აზბესტის შემცველი კონსტრუქციის დაშლა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი მტვრის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. აზბესტის შემცველი ნარჩენები უნდა შეიფუთოს და გაკეთდეს სათანადო აღნიშვნა. აზბესტის შემცველი ნარჩენები უსაფრთხო ადგილას უნდა ინახებოდეს და მათ გადასატანად გადახურული ავტომობილები უნდა იქნეს გამოყენებული. აზბესტის შემცველი ნარჩენები შეიძლება განთავსდეს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის სანიტარულ ნაგავსაყრელებზე. შერჩეული უნდა იქნეს უახლოესი ნაგავსაყრელი და გაფორმდეს ხელშეკრულება. სამინისტრო ჩაატარებს საინფორმაციო კამპანიას ადგილობრივი მოსახლეობისთვის და განუმარტავს მათ აზბესტის საფრთხეებს და მიიღებს თანხმობას აზბესტის მილების ტერიტორიიდან გატანაზე.

სხვა სახიფათო ნარჩენები, საამშენებლო ტექნიკის და ავტომობილების საბურავები, აკუმულატორები, საპოხი მასალები და სხვა, უნდა გადაეცეს სპეციალურ კომპანიებს განადგურების/გაუვნებელყოფის მიზნით, ამ კომპანიებთან დროულად უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომ სახიფათო ნარჩენები არ ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე დიდი ხნის განმავლობაში.

ჭარბი მასალის განკარგვა (მე-3 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 3)

ჭარბი მასალის გატანის ვარიანტების შესწავლა სამშენებლო სამუშაოების ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს, რადგან მათ შერჩევა და შემდეგ ოფიციალური ხელშეკრულებების გაფორმებას დიდი დრო შეიძლება დასჭირდეს. სანიტარული ნაგავსაყრელები არ არის მოვალე მიიღოს ჭარბი მასალა, მაგრამ შეიძლება გარკვეული რაოდენობის მასალა საკუთარი ოპერაციებისთვის გამოიყენონ, შეიძლება ასევე კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ მიწის ნაკვეთებზე ამ გრუნტის გადატანა, ნაყარისთვის სახელმწიფო მიწის ნაკვეთის გამოყოფა რთული და ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურაა. უმჯობესია მუნიციპალური ან კერძო მიწის ნაკვეთების პოვნა. ჭარბი მასალის განთავსების ადგილი უნდა დაიტკეპნოს და ლანდშაფტთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი. ნაყარი გრუნტი არ უნდა განთავსდეს იმ ადგილებში სადაც ის ადამიანებს ან გარემოს შეუქმნის საფრთხეს.

საშმშენებლო მოედნინდა ჩამონადენის მართვა (მე-3 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 3)

მიწის, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად სამშენებლო ტექნიკის და ავტომობილების ტექმომსახურება სერვის ცენტრებში უნდა განხორციელდეს. თუ აუცილებელია მათი სამშენებლო მოედანზე ტექმომსახურება, უნდა შეირჩეს წყლის ობიექტებისგან მაქსიმალურად დაშორებული ადგილი. ზეთის და საპოხი მასალების შენახვის ადგილებში მოწყობილი უნდა იყოს გაუმტარი იატაკი. სამშენებლო ბანაკები აღჭურვილი უნდ აიყოს სეპტიკური ავზებით ან ტუალეტებით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სათანადო მომსახურება ჰიგიენის მოთხოვნების დაცვის და ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. ბეტონსარევ დანადგარებთან უნდა მოეწყოს შესაბამისი ზომის სალექარები მყარი ნაწილაკების დალექვის მიზნით.

ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყაროები (მე-6 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 6)

პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო იქნება ხრეში და ქვიშის შესყიდვა, უპირატესობა მიენიჭება გარეშე მიმწოდებლებისგან მათ შესყიდვას. თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს, თვითონ მოიპოვოს ეს მასალა, სამინისტრო უზრუნველყოფს, რომ მათ ჰქონდეთ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზია. ლიცენზიის მისაღებად

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ტერიტორიის აღდგენის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. პროექტის განხორციელების ერთეულის გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტები განიხილავენ ამ გეგმებს და თვალყურს ადევნებენ მათ განხორციელებას. კონტრაქტორებს ეკრძალებათ მდინარეების კალაპოტებიდან ქვიშის და ხრეში მოპოვება.

მოსახლეობის ჯანდაცვა და უსაფრთხოება (მე- და მე-10 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად (ESS 4 და ESS 10)

კონტრაქტორებს მოეთხოვებათ ქცევის კოდექსის მომზადება, დამკვეთთან (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან) შეთანხმება და მისი განხორციელება. კონტრაქტორის ყველა მუშაკი უნდა გაეცნოს ამ ქცევის კოდექსს და ხელის მოწერით დაადასტუროს მისი მოთხოვნების დაცვის მზადყოფნა. კონტრაქტორის პერსონალი მიიღეს მითითებებს სამშენებლო მოედნის ფარგლებს გარეთ ქცევის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას კონტრაქტორი მოამზადებს მოსახლეობასთან კომუნიკაციის გეგმას და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში შეიტანს. კონტრაქტორისთვის წაყენებული მოთხოვნები ასევე სავალდებულოა ქვეკონტრაქტორებისთვის. ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება ჩასატარებელი სამუშაოების ხასიათის და გრაფიკის შესახებ. ამოქმედდება საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს შეუძლიათ თავისი პრეტენზიების გამოხატვა, საჩივრების წარდგენა და კითხვებისა დასმა. სამინისტრო აწარმოებს პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმს და უზრუნველყოფს შემოსული საჩივრების სათანადო აღრიცხვას, განხილვას და დროულად გადაწყვეტას

კონტრაქტორებს მოეთხოვებათ ტრანსპორტის მართვის გეგმების შემუშავება და პერიოდულად განახლება და განხორციელება. დაწესდება ზღვრული სიჩქარე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობისთვის დასახლების ფარგლებში და ფარგლებს გარეთ. ყველა სატრანსპორტო საშუალება გამართულ მდგონმარეობაში უნდა იყოს რეგულარული და დროული ტექმომსახურების საშუალებით.

თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს დაცვის თანამშრომლების აყვანას, პროექტის განხორციელების ერთეული შეამოწმებს მათ წარსულს დარღვევების და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების დასადგენად. განხორციელდება დაცვის თანამშრომლების მუშაობას მონიტორინგი.

მუშახელის მართვა (მე-2 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 2)

პროექტის მუშახელის მართვის გეგმის მოთხოვნები დაცული უნდა იყოს GRAIL პროექტის განხორციელების ყველა ადგილას, მათ შორის პროექტის განმახორციელებელ ერთეულში, საკონსულტაციო და სამშენებლო კომპანიებში და სხვა. კონტრაქტორებს მოეთხოვებათ საკუთარი გეგმების შემუშავება პროექტის მუშახელის მართვის გეგმის შესაბამისად და მათი განხორციელება.

კონტრაქტორმა ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება უნდა გააფორმოს ყველა თანამშრომელთან და უნდა დაიცვას საქართველოს შრომის კოდექსის და მუშახელის მართვის გეგმის მოთხოვნები. აკრძალულია ბავშვების და იძულებითი შრომა, დისკრიმინაცია და შევიწროება. კონტრაქტორი მოვალეა სამართლიანი ხელფასი დროულად გადაუხადოს თავის თანამშრომლებს, მისცეს მათ დასვენების დრო ცვლებს შორის, უზრუნველყოს ისინი სათანადო საცხოვრებლით (თუ ბანაკში ცხოვრობენ), სანიტარული ინფრასტრუქტურით და დასასვენებელი ადგილებით.

კონტრაქტორებს მოეთხოვებათ მუშებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის ორგანიზება, მათ შორის სპეციალური არხების უზრუნველყოფა სექსუალური ექსპლუატაციის, შევიწროების და გენდერული ნიშნით ძალადობის თაობაზე საჩივრების წარსადგენად.

შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის (OHS) მართვა (მე-2 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 2)

კონტრაქტორებმა უნდა დანერგონ და დაიცვან შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის მართვი პრაქტიკის მოთხოვნები. ეს მოიცავს სამუშაო ადგილების რისკების შეფასებას, დაგეგმვას და ორგანიზებას, დამცავი ტანსაცმლის და აღჭურვილობის უზრუნველყოფას და გამოყენებას, პერსონალის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დასაცავად. სისტემატიურად უნდა განხორციელდეს ტრენინგები სამუშაო ადგილას არსებული რისკები, უსაფრთხოების ტექნიკის და OHS ზომების შესახებ. ეს ტრენინგები მოიცავს საწყის ტრენინგებს, OHS ასპექტების შესახებ ტრენინგებს და ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს. ტექნიკური ზედამხედველის OHS სპეციალისტები და პროექტის განხორციელების ერთეული შეამოწმებენ და დაამტკიცებენ OHS ტრენინგის გეგმებს პერსონალისთვის და პერიოდულად კონტრაქტორებს ჩაუტარებენ ტრენინგებს,

კონტრაქტორებს უნდა ჰქონდეთ გამართული ცეცხლსაქრობი აღჭურვილობა, პირველი დახმარების ნაკრებები, მათ უნდა მოამზადონ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა და ტექნიკური ზედამხედველი და პროექტის განხორციელების ერთეული პერიოდულად შეამოწმებენ კონტრაქტორის მზადყოფნას ამ გეგმების განსახორციელებლად. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია დებულებები COVID-ის პანდემიის შემთხვევაში მისაღების ზომების შესახებ.

ყველა OHS ინციდენტი ან უბედური შემთხვევა უნდა აღინუსხოს და ადაპტირებული უნდა იქნეს OHS ღონისძიებები და ტრენინგის გეგმები. ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანების შემთხვევაში პროექტის განმახორციელებლით ერთეული შეტყობინების მიღებიდან 48 საათში აცნობებს მსოფლიო ბანკს ინციდენტის შესახებ და ითანამშრომლებს მსოფლო ბანკთან ძირეული მიზეზების ანალიზის ჩატარების და დეტალური ინფორმაციის მიწოდების საშუალებით. ასევე უნდა მომზადდეს გამოსწორების ზომების გეგმა, შეთანხმდეს ტექნიკურ ზედამხედველთან და მსოფლიო ბანკთან და

განხორციელდეს ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად.

არანებაყოფლობითი განსახლება (მე-5 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 5)

თუ პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში საჭირო გახდება მოსახლეობის არანებაყოფლობითი განსახლება, პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა უნდა მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა ან შემოკლებული გეგმა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდება მოსახლეობის ჩართულობით და საჯაროდ იქნება განხილული ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან ერთად. განსახლების სამოქმედო გეგმა უნდა შეთანხმდეს მსოფლიო ბანკთან და განხორციელდეს კონტრაქტორის მობილიზაციამდე. მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, რომელიც მსოფლიო ბანკთან შეთანხმდება და მხოლოდ ამის მერე იქნება ნებადართული სამუშაოების დაწყება. სამინისტრო დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს მათი საკუთრების დაკანონებაში (თუ დაუკანონებელია), რადგან საკუთრების რეგისტრაციის გარეშე ისინი ვერ შესძლებენ კომპენსაციის მიღებას. ფიზიკური და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის შემთხვევაში საარსებო წყაროს საკითხები განიხილება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან ერთად და განხორციელდება შესაბამისი ზომები, რომ ამ პირების მდგომარეობა არ გაუარესდეს GRAIL პროექტის განხორციელებამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

8.3. ექსპლუატაციის ფაზა

წყალმოხმარების შესახებ მოლაპარაკება

მთავრობის მიერ დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს სასმელ წყალზე მოთხოვნა და შემდეგ სარწყავი და სამრეწველო წყლის მიწოდებაზე მოთხოვნა. წყლის ყველაზე მსხვილი მომხმარებელი ჰიდროელექტროენერგეტიკის დარგია. ზოგიერთი მცირე ჰიდროელექტროსადგური წყალს იმავე წყალსაცავებიდან იღებს, საიდანაც საირიგაციო სისტემები. წყლის საერთო წყაროს შემთხვევაში სამინისტროს ხელშეწყობით გაფორმდება შეთანხმება, რომ წყლის დეფიციტის შემთხვევაში პრიორიტეტი სარწყავი წყლის მიწოდებას მიენიჭოს. წყლის შესახებ ახალ კანონში გათვალისწინებულია აუზების მართვის გეგმების დანერგვა რაც ხელს შეუწყობს წყლის მოხმარების უკეთესად დარეგულირებას და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

რეაბილიტირებული სისტემებით მიწოდებული მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა და საიმედოობა

GRAIL პროექტის მიერ ინსტიტუციონალური რეფორმების მხარდაჭერა 2017-2025 წლების ირიგაციის სტრატეგიის შესაბამისად განხორციელდება. ეს სტრატეგია პროექტის ტექნიკური დახმარებით მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. პროექტი ასევე განხორციელდება წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ 2019 წლის საქართველოს კანონის შესაბამისად და

მსგავსი ორგანიზაციების შექმნის წარსული გამოცდილების საფუძველზე. სტრატეგიის და ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელება მოხდება გამჭვირვალედ და პროექტის მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) [პრინციპების შესაბამისად.

კაშხლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მე-4 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 4)

თუმცა GRAIL პროექტის ფარგლებში არ დაფინანსდება კაშხლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაგრამ საირიგაციო სისტემების უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაცია მათ ზედა ბიეფში განლაგებული კაშხლების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, კაშხლების გამართული მდგომარება პროექტის ბენეფიციარი წყლის მომხმარებელი ფერმერების უსაფრთხოების გარანტიაა. აქედან გამომდინარე, სამინისტრო ჩაატარებს იმ კაშხლების შეფასებას, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული ILMD პროექტის ფარგლებში ჩატარებულ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევაში. ამ შეფასებისას განისაზღვრება არსებული საჭიროებები. ეს შეიძლება იყოს კაშხლების პარამეტრების მონიტორინგისთვის საჭირო ინსტრუმენტების შესყიდვა და მონტაჟი, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის გეგმების შემუშავება, ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა სიონის და ალგეთის კაშხლების გაძლიერების ზომებიდან GILMD პროექტის ფარგლებში.

ნიადაგის ეროზიის, დამლაშების, გაბიცობების და დაჭაობების კონტროლი (1-ელი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 1)

საირიგაციო სისტემების მომსახურების ფართობებზე ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად უნდა განხორციელდეს ეროზიის საწინააღმდეგო ზომები კულტივაციის დროს. ეს მოიცავს ისეთ ზომებს, როგორიცაა სს კულტურების მჭიდრო დარგვას, კვლების მოწყობას, მოკლე კვლებით რწყვას და სხვა. შპს „საქართველოს მელიორაციის“ და მომავალში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო-ების) მიერ საირიგაციო სისტემების სათანადო მოვლა-შენახვა მინიმუმამდე ამცირებს წყლის ფილტრაციას და გაჟონვას , რაც ნიადაგის ეროზიის ძირითადი მიზეზია. რეგულარული შემოწმების და წმენდის საშუალებით თავიდან იქნება აცილებული ჰიდროტექნიკური ნაგებობებიდან წყლის გადმოდინება, რაც დაჭაობებას იწვევს. წყლის ტარიფის რეფორმის და რწყვის თანამედროვე მეთოდების (წვეთური და დაწვიმებითი რწყვა და სხვა) შედეგად შემცირდება წყლის ჭარბი გამოყენებით გამოწვეული დატბორვა.

წყლის ეკოსისტემის დაცვა (მე-6 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 6)

GRAIL პროექტში შეტანილი სისტემების რეაბილიტაციის პროექტები და ექსპლუატაციის მოდელი მომზადდება მდინარეებში წყლის ეკოლოგიური ხარჯის (მდინარეში წყლის ხარჯს 10%) შენარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით. გარად ამისა პროექტებში გათვალისიწინებული იქნება

წყლის ხარჯის სეზონური დინამიკა (წყალმცირობის და წყალდიდობის პერიოდები). ექსპლუატაციის ფაზაში შპს „საქართველოს მელიორაცია“ უზრუნველყოფს 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის პრინციპის მკაცრად დაცვას და სისტემების სათანადო ექსპლუატაციას. აღიკვეთება წყლის უკანონო აღება, რადგან ამ შემთხვევაში საირიგაციო სერვისის ოფიციალურ მომხმარებლებს წყლის დეფიციტი ემუქრება.

პესტიციდების უსაფრთხო გამოყენება და მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა (IPM) (მე-3 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად (ESS 3)

საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის/მოდერნიზაციის შედეგად გაუმჯობესებული რწყვის გამო აღდგენა სასოფლო-სამეურნეო წარმოება იმ მიწებზე, რომლებიც მიტოვებული იყო განადგურებული ინფრასტრუქტურის და რწყვის შეუძლებლობის გამო. ამის შედეგად გაიზრდება სასუქების და პესტიციდების გამოყენება. პესტიციდების გადაჭარბებული, უსაფრთხო, არასწორი გამოყენებით გამოწვეული ჯანმრთელობის და გარემოსდაცვითი რისკების შემცირების მიზნით პროექტი ხელს შეუწყობს პესტიციდების გამოყენების შესახებ ტრენინგების მასალების მომზადებას პროექტის ფართობზე მცხოვრების წყალმომხმარებლებისთვის. ეს დამხარება მოიცავს ასევე ინფორმაციის გაზიარებას IPM პრინციპების, პესტიციდების, მათი უსაფრთხოდ შენახვის და გამოყენების შესახებ.

მომსახურები მიწოდებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

სასოფლო-სამეურნეო მიწების და პროდუქციის ტოქსიკური ნივთიერებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით შპს „საქართველოს მელიორაციას“ უნდა ჰქონდეს წვდომა წყლის ხარისხს შესახებ იმ მდინარეებში, საიდანაც ხდება სარწყავი წყლის აღება. ამ მიზნით პროექტი ხელს შეუწყობს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობას, რადგან სწორედ ამ უწყებას აქვს ინფორმაცია წყლის ხარისხის შესახებ. ეს თანამშრომლობა სცილდება წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და მოიცავს სააგენტოს მიერ შპს-თვის სპეციალური სერვისების შემუშავებას, მაგალითად გვალვების ან წყალდიდობის პროგნოზირება, ადრეული შეტყობინების სისტემის მოწყობა და სხვა.

9. ინსტიტუციონალური მექანიზმები და პოტენციალის განვითარება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) განსახორციელებლად

საქართველომ, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს, მიიღო მსოფლიო ბანკის სესხი GRAIL პროექტის განსახორციელებლად. პროექტის განმახორციელებელი უწყებებია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საშუალებით. ისინი პასუხისმგებელი არიან GRAIL პროექტის განხორციელებაზე მსოფლიო ბანკის სესხის შეთანხმების, პროექტის განხორციელების ხელშეკრულების, გარემოსდაცვითი და სოციალურ მოვალეობების გეგმის (ESCP) შესაბამისად. ESCP გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს ეხება და მისი შესრულება სავალდებულოა სესხის მიმღებისთვის. ეს საკითხები დეტალურად არის მოცემული წინამდებარე ESMF-ში.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უნდა ჰქონდეს პროექტის განმახორციელებელი ერთეული. ვინაიდან გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან დაკავშირებული ფიზიკური სამუშაოების და საქმიანობის განხორციელებას სამინისტრო უწევს ადმინისტრირებას, სამინისტროს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს მინიმუმ გარემოს დაცვის ერთი სპეციალისტი, სოციალური საკითხების ერთი სპეციალისტი, ერთი OHS და ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი სჭირდება, მათი ტექნიკური დავალებები მსოფლიო ბანკთან იქნება შეთანხმებული.

GRAIL პროექტი მომზადდა და განხორციელდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის (ESF) შესაბამისად. განმახორციელებელ უწყებებს არა აქვთ ESF-ის შესაბამისად პროექტის განხორციელების გამოცდილება და პროექტის განმახორციელებელ ერთეულს დასჭირდება გარე კონსულტანტის აყვანა. ვინაიდან ESF 2018 წელს იქნა მიღებული, შრომის ბაზარზე არ არის საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური სპეციალისტები. საჭირო იქნება მათი სამუშაო ადგილზე ტრენინგი და დახმარება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების მართვაში. ამ მიზნით პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების, OHS და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მოკლე ვირტუალურ ან დასწრებული ტრენინგებში, გაეცნონ კონკრეტულ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებს (ESS) ან გარკვეულ საკითხებს მათ ფარგლებში. მათ ასევე დასჭირდებათ მსოფლიო ბანკის გუნდის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების მხრიდან დახმარება და კონსულტაციები.

ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტების აყვანით გაძლიერდება პროექტის განხორციელების ერთეულის შესაძლებლობები წინამდებარე ESMF-

ის განსახორციელებლად. ამ კონსულტანტების ტექნიკური დავალებები მსოფლიო ბანკთა უნდა შეთანხმდეს. ამ ტექნიკურ დავალებებში დეტალურად იქნება გაწერილი კონსულტანტების მოვალეობები კონტრაქტორების საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მართვის თვალსაზრისით. კონსულტანტებმა დახმარება უნდა გაუწიონ და მისცენ მითითებები კონტრაქტორებს გარემოს დაცვის, სოციალურ, ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების (ESHS) საკითხებში და დამკვეთისადმი (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) წარსადგენი ანგარიშების მომზადებაში. ტექნიკურ ზედამხედველებს ევალებათ პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი ESHS პრობლემების დროული იდენტიფიცირება და კონტრაქტორების დახმარება მათ გადაწყვეტაში, თუ კონტრაქტორი არ მიიღებს დროულად მათთვის დამაკმაყოფილებელ ზომებს პრობლემის გადასაჭრელად, ტექნიკურმა ზედამხედველებმა ის წერილობითი უნდა გააფრთხილონ. თუ კონტრაქტორი კვლავ არ მიიღებს შესაბამის ზომებს, ტექნიკურმა ზედამხედველმა ეს საკითხი დამკვეთს (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს) უნდა შეატყობინოს დსა წარმოადგინოს რეკომენდაციები პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

მსოფლიო ბანკი სესხის ამღებს დახმარებას გაუწევს პროექტის განხორციელებაში. ეს დახმარება მოიცავს ტექნიკური დავალებების და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცებას მათში ESHS ასპექტების სათანადოდ გათვალისწინების მიზნით. მომზადდება გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები კონკრეტული ქვეპროექტებისთვის და სამინისტროს პროექტის განხორციელების კვარტალურ ანგარიშებში შეტანილი იქნება სპეციალური თავი ESHS მოთხოვნების შესრულების შესახებ. მსოფლიო ბანკმა შეიძლება მოითხოვოს და განიხილოს ტექნიკური ზედამხედველების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი ანგარიშები მსოფლიო ბანკის წარმომდგენლები დროდადრო ეწვევიან პროექტის სამუშაოების ადგილებს ინვენტარიზაციის, ხარისხის კონტროლის და პრობლემების განსაზღვრის მიზნით.

10. ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანგარიშგება

პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) მოთხოვნების შესაბამისად განხორციელების პასუხისმგელობა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეკისრება. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობის და მონიტორინგის სამუშაოების დიდი მოცულობით განხორციელება მოუწევს, რადგან ფიზიკური სამუშაოების უმეტესობა მისი კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება და ამ სამუშაოების წარმოება გარემოს დაცვის, სოციალურ, ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების რისკებთან არის დაკავშირებული.

სამინისტროს პროექტის განხორციელების ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და OHS სპეციალისტები ერთობლივად განახორციელებენ პროქტის მიერ დაფინანსებული საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ მონიტორინგს და გააკონტროლებენ კონტრაქტორების საქმიანობას, ამ მიზნით ისინი ადრეულ ეტაპზევე იქნებიან ჩართული პროექტების მომზადებაში, ითანამშრომლებენ დამპროექტებლებთან და უზრუნველყოფენ წინასწარ პროექტებში პროექტის საქმიანობით ს გამოწვეული რისკების, ზემოქმედების და მათი შემცირების ზომების გათვალისწინებას წინამდებარე ESMF-ის შესაბამისად. მოგვიანებით ეს სპეციალისტები უზრუნველყოფენ საბოლოო პროექტებში კონკრეტული ტერიტორიის გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების შედეგების გათვალისწინებას.

პროექტის განხორციელების ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და OHS სპეციალისტები ითანამშრომლებენ შესყიდვების განყოფილების სპეციალისტებთან, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილი იქნეს გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების (ESHS) მოთხოვნები კონტრაქტორებისთვის. ისინი ასევე დაეხმარებიან შესყიდვების სპეციალისტებს სატენდერო წინადადებების განხილვაში ESHS ასპექტების შეფასების საშუალებით, მიიღებენ მონაწილეობას პროექტის განხორციელების ერთეულის მიერ დასაქირავებელი ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტების ტექნიკური დავალებების მომზადებაში, რომ მათში მკაფიოდ იყოს მითითებული ტექნიკური ზედამხედველების ფუნქციები და მოვალეობები ESHS საკითხების ზედამხედველობის სფეროში.

კონტრაქტორების დაქირავების შემდეგ პროექტის განხორციელების ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და OHS სპეციალისტები ტექნიკურ ზედამხედველებთან ერთად დაეხმარებიან მათ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების სათანადო ხარისხით მომზადებაში. ისინი ასევე აცნობებენ კონტრაქტორებს ამ გეგმებში ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ და გააკონტროლებენ გეგმების გადასინჯვის და დამტკიცების პროცესს.

კონტრაქტორს და ტექნიკურ ზედამხედველებს მოეთხოვებათ სამუშაოების წარმოების ადგილას გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და OHS სპეციალისტების უზრუნველყოფა მუშებისთვის მითითებების გაცემის და საჭიროებისამებრ ტრენინგების ჩატარების მიზნით. კონტრაქტორმა ტექნიკურ

ზედამხედველს უნდა წარუდგინოს ანგარიშები სამუშაოების ყველა ასპექტის, მათ შორის ESHS საკითხების შესახებ. ტექნიკურმა ზედამხედველებმა უნდა გადაამოწმონ კონტრაქტორისგან მიღებული ინფორმაცია და საკუთარი დაკვირვებების შედეგებთან ერთად შეიტანონ ყოველთვიურ ანგარიშებში. ტექნიკური ზედამხედველის ყოველთვიურ ანგარიშში იქნება სპეციალური საველე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალი (მისი ფორმა ამ დოკუმენტის მე-5 დანართშია მოცემული). პროექტის განხორციელების ერთეულის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და OHS სპეციალისტები გააკონტროლებენ ტექნიკური ზედამხედველების მუშაობას ამ ანგარიშების განხილვის და კომენტარების მომზადების ასევე მოულოდნელ საველე ვიზიტების საშუალებით მიღებული მონაცემების გადასამოწმებლად. ისინი ასევე პროფესიულ კონსულტაციებს გაუწევენ ტექნიკურ ზედამხედველებს და თვალყურს ადევნებენ პრობლემების გადაწყვეტის პროცესს. პროექტის განხორციელების ერთეულის სპეციალისტები ტექნიკური ზედამხედველების ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე მოამზადებენ კვარტალურ ანგარიშებს მსოფლიო ბანკისთვის. პროექტის განხორციელების ერთეულის სპეციალისტებმა უნდა შეინახონ ტექნიკური ზედამხედველების ყოველთვიური ანგარიშები და წარუდგინონ მსოფლიო ბანკს ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში.

ტექნიკურმა ზედამხედველებმა ოპერატიულად უნდა აცნობონ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს OHS-თან დაკავშირებული ნებისმიერი უბედური შემთხვევის ან ინციდენტის შესახებ. პირველი შეტყობინება მსოფლიო ბანკს უნდა გაეგზავნოს ტექნიკურმა ზედამხედველის/სამინსიტროს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის და ძირეული მიზეზის ანალიზის შემცველი უფრო დეტალური ანგარიში მსოფლიო ბანკს მოგვიანებით, მისთვის მისაღებ ვადაში უნდა გაეგზავნოს. OHS სპეციალისტები და ტექნიკური ზედამხედველი პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან ერთად მოამზადებენ გამოსწორების ზომების სამოქმედო გეგმას, შეათანხმებენ მას მსოფლიო ბანკთან და მონიტორინგს გაუწევენ ამ გეგმის განხორციელებას.

11. საჩივრების განხილვის მექანიზმი

სოციალური საკითხების კონსულტანტის მიერ მომზადებული საჩივრების განხილვის მექანიზმის მიზანია საჩივრების და პრეტენზიების დროულად, ეფექტიანად განხილვა ყველა მონაწილე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით. ეს უნდა იყოს გამჭვირვალე და სანდო პროცესი სამართლიანი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს მექანიზმი ასევე ხელს უწყობს ნდობას და თანაშრომლობას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.

საჩივრების განხილვის მექანიზმის იძლევა იმ საჩივრების ეფექტიანად, დროულად და ხარჯეფექტიანად განხილვის საშუალებას, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას 1-ელი კომპონენტის ფარგლებში სამინისტროს ან

კონტრაქტორის/ქვეკონტრაქტორის მოქმედებების გამო. ეს საჩივრები შეიძლება წარმოადგინოს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა პირებმა ან გარე მონაწილე მხარეებმა. ცალკე მექანიზმი არის გათვალისიწინებული მუშების საჩივრების განსახილველად. ეს პროცესი მუშახელის მართვის გეგმაშია (LMP) აღწერილი. თუმცა საჩივრების განხილვის მექანიზმზე სამინისტროა პასუხისმგებელი, მაგრამ საჩივრების უმრავლესობა სავარაუდოდ კონტრაქტორის მოქმედებებს ეხება და ისინი კონტრაქტორმა უნდა გადაწყვიტოს. განხორციელების კონსულტანტის დახმარებით სამინისტრო განიხილავს საჩივრებს, დაადგენს კონტრაქტორის პასუხისმგებლობას და საჩივრის გადაწყვეტის გზებს, განხორციელების კონსულტანტი კონტრაქტორის მიერ საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მონიტორინგში დაეხმარება სამინისტროს.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში განიხილება მიწის და სხვა აქტივების შესყიდვის საკითხებიც (მაგალითად, კომპენსაციის თანხა, ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის გამოსადეგობა, მისასვლელი გზის გაუქმება და სხვა), სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო წარმოქმნილი ზარალი და დანაკარგი, პირდაპირი და არაპირდაპირი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, საჩივრების განხილვის მექანიზმი შექმნილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის, სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტების მომზადების პერიოდისთვის. ეს მექანიზმი უნდა მოქმედებდეს საშენებელო სამუშაოების და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები და სხვა პოტენციური მომჩივანები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული საჩივრების განხილვის მექანიზმის, მისი ფუნქციების, პროცედურების, გრაფიკის და საკონტაქტო პირების შესახებ. ეს ინფორმაცია მათ მიეწოდებათ საკონსულტაციო შეხვედრების და მოსახლეობის მონაწილეობით ჩატარებული სხვა ღონისძიებების დროს.

საჩივრებთან დაკავშირებული კორესპონდენცია დოკუმენტურად უნდა იყოს აღნუსხული და უნდა მიმდინარეობდეს საჩივრის განხილვის პროცესის მუდმივი ზედამხედველობა.

საჩივრების განხილვის მექანიზმი

- ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს აძლევს საშუალებას წარადგინონ საჩივარი ან გადაწყვიტონ პროექტის განხორციელების დროს წარმოქმნილი დავა;
- უზრუნველყოფს დავის გადაწყვეტის სათანადო და ორივე მხარისთვის მისაღები ზომების განსაზღვრას და განხორციელებას;
- ხელს უწყობს საჩივრების და დავების განხილვის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას;
- ხელს უწყობს სასამართლო დავების თავიდან აცილებას (პირველ ეტაპზე).

საჩივრები და პრეტენზიების შემდეგნაირად განისაზღვრება:

- საჩივარი: უკმაყოფილების გამოხატვა პროექტის საქმიანობის ინდივიდზე ან ჯგუფზე უარყოფითი ზემოქმედების გამო. ამ ინდივიდს ან ჯგუფს

სურს, რომ კონტრაქტორმა გადაწყვიტოს ეს პრობლემა (მაგალითად, სამუშაოების დროს წარმოქმნილი მტვრის, ხმაურის ან ვიბრაციის პრობლემა). საჩივარი, როგორც წესი, ნაკლებად სერიოზულია პრეტენზიასთან შედარებით.

- პრეტენზია: იმ ინდივიდის ან ჯგუფის პრეტენზია, რომელთა საარსებო წყაროზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კულტურული ნორმებსა და მემკვიდრეობაზე პროექტი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს და შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს, თუ ეს საკითხი არ გადაწყდება,.

1-ელი კომპონენტის ფარგლებში მოსალოდნელი ტიპური პრეტენზიებია:

- მიწის შესყიდვა და ფიზიკური ადგილმონაცვლეობა;
- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზარალი;
- გარემოსდაცვითი ზემოქმედება;
- პირდაპირი და არაპირდაპირ სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება.

სამინისტროს საჩივრების განხილვის მექანიზმი საქართველოს ადმინისტარციულ კოდექსზეა დაფუძნებული. სამინისტრო მოახდენს ამ მექანიზმის მოდიფიცირებას პროექტისთვის, რომ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირს შეეძლოს პროექტის ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრება. საჩივრების განხილვის მექანიზმში ყველა ტიპის საჩივარი და პრეტენზია უნდა იყოს აღნუსხული, მათ შორის ანონიმურიც. ისინი მიღებული, განხილული და შეძლებისდაგვარად გამოკვლეული უნდა იქნეს.

საჩივრების განხილვის მექანიზმი შედეგ ეტაპებს მოიცავს:

<u>1-ელი ეტაპი:</u> საჩივრის/პრეტენზიის წარდგენა წერილობით ან ცხელ ხაზზე, მობილური ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიით (ფეისბუქი და სხვა), ვებგვერდის, საჩივრების ჟურნალში ჩანაწერის ან პირდაპირ სამინისტროსთვის მიმართვის საშუალებით. საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში ასევე მიღებული და განხილული უნდა იქნეს ანონიმური საჩივრები.

<u>მე-2 ეტაპი:</u> პრეტენზიების და საჩივრების მიღება და კლასიფიკაცია ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად. პირველი პასუხის ოპერატიულად გაცემა. საჩივრების კლასიფიკაცია მოხდება მომჩივანების (მაგ. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფები, შშმ პირები, ენობრივი ბარიერის მქონე პირები და სხვა) და საჩივრების შინაარსის მიხედვით.

<u>მე-3 ეტაპი 3:</u> საჩივრების განხილვა სამ ეტაპად მოხდებ:

საჩივრების განხილვის კომისია (1-ელი ეტაპი)

1-ელ ეტაპზე მოხდება საჩივრის არაოფიციალური ზეპირი ან წერილობითი) განხილვა. მუნიციპალიტეტში შეიქმნება საჩივრების განხილვის ადგილობრივი კომისია, რომელიც მუნიციპალიტეტის შენობაში განთავსდება. საჩივრის აღნუსხვის შემდეგ კომისია დაიწყებს საჩივრის განხილვას, კომისიის წევრები ჯერ არაოფიციალურად (ზეპირად) განხილავენ საჩივარს, შეადგენენ ოქმს და მოაწერენ ხელს. თ პირველ ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირის საჩივარი არ გადაწყდა, მომჩივანს ეცნობება მე-2 ეტაპის პროცედურების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირს უფლება აქვს მე-2 ეტაპის პროცედურები გამოიყენოს 1-ელი ეტაპის პროცედურების გავლის გარეშე. 1-ელ ეტაპზე საჩივრის გადაწყვეტის ვადა არის 7 დღე. კომისიის სხდომები დაინიშნება საჭიროების მიხედვით (მაგრამ არა ნაკლებ თვეში ერთხელ). კონფიდენციალური ხასიათის საჩივრებისთვის სპეციალური დებულებები გამოიყენება. კომისიის შემადგენლობაში შემდეგი რვა წევრი იქნება

1) 1)პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდის წევრი - კომისიის კოორდინატორი;
2) რეგიონის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი (გამგეობიდან) - კომისიის მდივანი;
3) რწმუნებული - კომისიის წევრი;
4) ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების წარმომადგენელი - კომისიის წევრი;
5) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ოჯახის წარმომადგენელი ქალი - კომისიის წევრი;
6) საჩივრის ხასიათიდან გამომდინარე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - კომისიის წევრი;
7) ზედამხედველობის კონსულტანტის სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების სპეციალისტი - კომისიის წევრი;
8) სამშენებლო კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კომისიის წევრების მოწვევა მოხდება საჩივრების ტიპის მიხედვით. შეხვედრა დაიწყება მომჩივანების გარეშე და განიხილება წინა შეხვედრაზე შემოსული საჩივრები და შემოთავაზებული იქნება ბოლო 1-2 კვირაში შემოსული საჩივრების გადაწყვეტილება. ამის შემდეგ კომისიის წევრები მოიწვევენ იმ მომჩივანებს, რომელთა საჩივრები წინა შეხვედრაზე იქნა განხილული და იმსჯელებენ შემოთავაზებული გადაწყვეტის შესახებ.

თითოეული საჩივრისთვის კომისია განსაზღვრავს საჭიროა, თუ არა დამატებითი გამოძიება. ამ შემთხვევაში შემდეგი შეხვედრისთვის მომზადდება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს შეხვედრამდე წარედგინება. ამის შემდეგ კომისია აცნობებს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირს იმ სხდომის თარიღს და დროს, როდესაც განიხილება მისი საჩივარი და მოიწვევს მას ამ სხდომაზე.

კომისიის წევრები განიხილავენ საჩივრებს და იმსჯელებენ მათი გადაწყვეტის გზების შესახებ. კომისია მოამზადებს ამ მსჯელობის ოქმს დსა კომისიის წევრები

ხელს მოაწერენ ამს. თუ საჩივარი დაკმაყოფილდა, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირიც მოაწერს ხელს ოქმს და დაადასტურებს თავის თანხმობას. თუ პროექტმა გადაწყვიტა დამატებითი ზომების გატარება, ისინიც შეტანილი უნდა იქნეს შეხვედრის ოქმში განხორციელების ვადების მითითებით. თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირს განემარტება მეორე ეტაპის პრიცედურები.

საჩივრის ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტა (მე-2 ეტაპი)

ამ ეტაპზე საჩივარს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს. მომჩივანების თანხმობის შემთხვევაში ის საჩივრები, რომლებიც 1-ელ ეტაპზე არ გადაწყდა, წერილობითი ფორმით გაეგზავნება სამინისტროს განსახილველად. კომისიის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირსაც შეუძლია საჩივარი სამინისტროს პროექტის განხორციელების ერთეულს გაუგზავნოს. კომისია დაეხმარება მას ოფიციალური საჩივრის წარდგენაში. სამინისტროს საჩუმრების განხილვის მექანიზმი განიხილავს 1-ელ ეტაპზე დაუკმაყოფილებელ საჩივრებს და შესაბამის დეპარტამენტებზე გაანაწილებს. მიმართვის ვადაა 10 დღე. მომჩივანს ეცნობება სამინისტროს გადაწყვეტილების შესახება მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესაბამისად.

სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისია (მე-3 ეტაპი)

თუ მეორე ეტაპზე შესაბამისმა დეპარტამენტმა ვერ გადაწყვიტა საჩივარი, ის გაიგზავნება სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისიას განსახილველად, სამინისტროს კომისია საჩივრებს განიხილავს და გადაწყვეტილებებს მიიღებს საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. მომჩივანს წერილობით ეცნობება სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ. თუ მომჩივანს არ კ=აკმაყოფილებს ეს გადაწყვეტილება, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს . სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისიის შემადგენლობაში შედიან

1) სამინისტროს ხელმძღვანელობის წარმომადგენელი - კომისიის ხელმძღვანელი;
2) პროექტის განხორციელების ერთეულის ხელმძღვანელი - კომისიის ხელმძღვანელის მოადგილე;
3) პროექტის განხორციელების ერთეულში საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი - კომისიის წევრი;
4) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
5) განსახლების განყოფილების ხელმძღვანელი - - კომისიის წევრი;
6) საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი - - კომისიის წევრი;
7) ტექნიკური ზედამხედველობის და საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
8) კონსულტანტი განსახლების და სოციალურ საკითხებში - კომისიის წევრი;

9) კონსულტანტი გარემოს დაცვის საკითხებში - კომისიის წევრი.

11.1. საჩივრების დასრულება

საჩივარი გადაწყვეტილად ან დასრულებულად ითვლება მაშინ, როდესაც გადაწყვეტა ორივე მხარეს აკმაყოფილებს და წარმატებით განხორციელდა გამოსწორების ზომები. როდესაც მომჩივანი და პროექტი შეთანხმდებიან გადაწყვეტის შესახებ, მისი განხორციელების დრო გადაწყვეტის სპეციფიკაზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილების განხორციელება დაიწყება საჩივრის მიღებიდან ერთ თვეში და მოხდება მისი განხორციელების მონიტორინგი დასრულებამდე. გადაწყვეტილების განხორციელების ან მომჩივანისთვის დამაკმაყოფილებელი ზომების განხორციელების შემდეგ მომზადდება საცივრის დახურვის ფორმა, რომელსაც ორივე მხარემ (სამინისტრო- პროექტის განხორციელების ერთეული და მომჩივანი) უნდა მოაწეროს ხელი და მომჩივანი ადასტურებს, რომ მისი საჩივარი დახურულია. შემდეგ საჩივარი შეინახება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზაში. უნდა იწარმოებოდეს საჩივრების დეტალური ჟურნალი, რომელიც მსოფლიო ბანკის გუნდს წარედგინება.

გარკვეულ სიტუაციებში პროექტმა შეიძლება „დახუროს“ საჩივარი იმ შემთხვევაშიც კი თუ მომჩივანი არ არის შედეგით კმაყოფილი. ეს შეიძლება მოხდეს, თუ მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის პრეტენზიას ან საჩივარი აშკარად თაღლითური ან სპეკულაციური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული პროექტის მიერ საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება და მომჩივანს უნდა ეცნობოს არსებული სიტუაციის შესახებ. პროექტის განმახორციელებელი ერთეულმა არ უნდა უარყოს ან დახუროს საჩივარი სანამ არ შეატყობინებს მომჩივანს და არ მისცემს მას დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენის საშუალებას,

11.2. საჩივრების აღნუსხვა დ დოკუმენტაცია

სამინისტრო განსაზღვრავს ვინ იქნება პასუხისმგებელი მიღებული საჩივრების აღნუსხვაზე დ მონაცემთა ბაზის მართვაზე. ამ მონაცემთა ბაზაში შეტანილი იქნება მომჩივანი ორგანიზაციის ან პირის სახელი, საჩივრის ხასიათი და თარიღი, შემდგომი ღონისძიებები, საჩივრის გადაწყვეტა და კონტრაქტორის ან სხვა შესაბამისი მხარის მიერ განხორციელებული გამოსწორების ზომები, საბოლოო შედეგი, გადაწყვეტილების მომჩივანისთვის შეტყობინება და სხვა.

ზედამხედველი და სამშენებლო კომპანია ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებში შეიტანენ ინფორმაციის საჩივრების მართვის შესახებ. საჩივრების მონიტორინგის და ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია ასევე სამინისტროს ექვთვიან და ნახევარწლიან ანგარიშებში უნდა აისახოს.

საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის მონაცემები:
პროექტის განხორციელების ერთეულის საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი არის საკონტაქტო პირი საჩივრების განხილვის და ადგილობრივი მონაწილე მხარეების ჩართულობის საკითხებში:

აღწერა	საკონტაქტო მონაცემები
პროექტის განხორციელების იელების ერთეული	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვის:	საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი სოფი ბერიშვილი
მისამართი:	მარშალ გელოვანის #6, თბილისი, 0159, საქართველო
ელ-წერილი:	სოფი ბერიშვილი
ვებგვერდი:	https://mepa.gov.ge/
ტელეფონი:	599270049

ინფორმაცია პროექტის და მომავალი მონაწილე მხარეების ჩართულობის პროგრამების შესახებ ინფორმაცია პროექტის განხორციელების ერთეულის ვებგვერდზე არის განთავსებული. გადა ამისა, ეს პროგრამები პროექტის ფართობზე არსებულ სოფლებში საინფორმაციო დაფებზე იქნება ასახული. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორისგან.

12. ინფორმაციის გასაჯაროება და კონსულტაციები

GRAIL პროექტის მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP) მოამზადებს კონსულტანტი სოციალურ საკითხებში მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. SEP-ის მიზანია 1-ელი და მე-2 კომპონენტის ფარგლებში ყველა იმ მონაწილე მხარის ჩართულობის უზრუნველყოფას, რომლებსაც აქვთ ინტერესი პროექტში ან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის, მცირე და საშუალო საწარმოების და მეურნეობების და ხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამგვარი ჩართულობა უზრუნველყოფს პროექტის პერსონალსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობას, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, პროექტის სამიზნე მოსახლეობისთვის (მათ შორის ტრადიციულად მოწყვლადი ჯგუფებისთვის, სოციალურად დაუცველი ან პროექტის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის) სარგებლის ზრდას.

მონაწილე მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის (SEP) მიზანია მონაწილე მხარეების სამიზნე ჯგუფების და ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის აღწერა, ჩართულობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა 1-ელი და მე-2 კომპონენტების ფარგლებში. SEP უზრუნველყოფს მონაწილე მხარეების დროულ ჩართულობას პროექტის მომზადებს და განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე და მისი ძირითადი მიზნებია:

i. მონაწილე მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი;
ii. ჩართულობის მოდელების და ეფექტიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტების განსაზღვრა კონსულტაციებისა და ინფორმაციის გასაჯაროებისთვის;
iii. SEP-ის განხორციელებისას სხვადსხვა მონაწილეების ფუნქციების და პასუხისმგებლობის დადგენა;
iv. პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის განსაზღვრა;
v. მონაწილე მხარეებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა;
vi. SEP-ის განხორციელების და ანგარიშების მონიტორინგი.

SEP-ში განისაზღვრება მონაწილე მხარეების იდენტიფიკაციის და მათი სრული ჩართულობის უზრუნველყოფის მიდგომა. SEP-ის მიზანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა და გაუმჯობესება და ამ პროცესში მონაწილე მხარეების ჩართვა. SEP პროექტის განხორციელების ერთეულსა და მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციის მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტია.

ESMF-ის განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში აუცილებელია სრული დოკუმენტაციის წარმოება. ESMF პროექტის ვებგვერდზე აიტვირთება. ის ასევე გავრცელდება მსოფლიო ბანკის შიგნით და გამოიცემა Info Shop-ში. პროექტის დამტკიცებამდე ESMF უნდა ითარგმნოს ადგილობრივ ენაზე და წარედგინოს მონაწილე მხარეებს გასაცნობად

მონაწილე მხარეებთან და ბენეფიციარებთან კონსულტაციები და მათი

მონაწილეობა 4 ეტაპს მოიცავს: (i) ინფორმაციის გასაჯაროება და მონაცემების შეგროვება; (ii) ოპერაციების მომზადება და დაგეგმვა; (iii) ოპერაციების განხორციელება და (iv) მონიტორინგის და შეფასება.

ინფორმაციის გასაჯაროების და საველე შეფასების ფაზა

მონაწილე მხარეები: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შპს „საქართველოს მელიორაცია“ , დარგობრივი ორგანიზაციები, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირები, დამოუკიდებელი კონსულტანტები. ეს მონაწილეები წამყვან როლს შეასრულებენ მონაცემების შეგროვების ეტაპზე. აღნიშული პროცესი მოიცავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან და სხვა მონაწილეებთან კონსულტაციებს. საველე შეფასებები ჩატარდება ზემოთ აღწერილი ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიების მეთოდის გამოყენებით. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირები წარმოადგენენ ინფორმაციას მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და საარსებო წყაროების შესახებ. ისინი ასევე დაასწრებენ სოფლად ჩატარებულ შეხვედრებს და მიიღებენ ინფორმაციას პროექტის განმახორციელებელი ერთეულის შესახებ, იმსჯელებენ პროექტის სოციალურ ზემოქმედებაზე და მისი შემცირების ზომებზე. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება ქვეპროექტების განხორციელების პროცესის ყველა ფაზაში დაგეგმვიდან შეფასებამდე.

დაგეგმვის ფაზა:

მონაწილე მხარეები: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შპს „საქართველოს მელიორაცია“, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირები (მონაწილეობის დაგეგმვა, ობიექტური კრიტიკა და რჩევები). კომპენსირების მექანიზმის წარმატებით განხორციელებას მონაწილე მხარეების ამოცანების სათანადო დაგეგმვა და კოორდინაცია განაპირობებს. ჩატარდება კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან მნივშენლოვან საკითხებთან დაკავშირებით მათი პოზიციის გასარკვევად. კომპენსაციის გეგმებში გათვალისწინებული იქნება მათი სამუშაოს /ბიზნეს საქმიანობის მოთხოვნები. მუშაობა ძირითადად შემდეგი მიმართულებებს (ა) კომპენსაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა; (ბ) კომპენსაციების გაცემის ინსტიტუციონალური მექანიზმების შემუშავება; (გ) თითოეული მონაწილე მხარის ამოცანების და მოვალეობების გასაზღვრა; (დ) სამუშაო გეგმის მომზადება.

განხორციელების ფაზა

მონაწილე მხარეები: ძირითადი მონაწილეები არიან პროექტის განხორციელების ერთეული, მსოფლიო ბანკი, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები (ღონისძიებების და მექანიზმების შეთანხმება). კომპენსაციების გაცემას პროექტის განმახორციელებელი ერთეული მოახდენს მისი სპეციალისტების საშუალებით. ჩატარდება კონსულტაციები ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებთან

კომპენსაციების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ და კომპენსაციის მიღების უფლების მქონე ყველა პირს ეცნობება ფულადი კომპენსაციის თანხა და მიწის შემოთავაზებული ფართობი მათი თანხმობის მისაღებად. კომპენსაცია გაიცემა აღნიშული თანხმობის მიღების შემდეგ,

მონიტორინგის და შეფასების ფაზა

მონაწილე მხარეები: პროექტის განხორციელების ერთეული, შპს 'საქართველოს მელიორაცია", დარგობრივი ორგანიზაციები და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები. კომპენსაციების გაცემის შემდეგ პროექტის განხორციელების ერთეული ჩაატარებს პროექტის დასრულების სემინარებს სახელმწიფო უწყებებისთვის, შპს-თვის, დარგობრივი ორგანიზაციებისთვის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების წარმომადგენლებისთვის. პროექტის შეფასების დაწყებამდე გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდება განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში (RPF) ქართულ ენაზე, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ოფისში (მერიაში) და სოფლის საკრებულოში ქვეპროექტების განსაზღვრის შემდეგ.

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) ინგლისური ვერსია გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე პროექტის შეფასების წინ და პროექტის განხორციელების ერთეულის მიერ RPF-ის დამტკიცების შემდეგ. ქვეპროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადების და პროექტის განხორციელების ერთეულის და მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცების შემდეგ, ის შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გასაჯაროვდება. კომპენსაციის/რეაბილიტაციის პროცესიის დაწყების და კონტრაქტების ხელმოწერის წინ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა პირს და ოჯახს დაურიგდებათ ბროშურები ქართულ ენაზე, სადაც აღწერილი იქნებ კომპენსაციის მიღების უფლებამოსილება და პირობები. კონსულტაციების პროცესი პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება.

13. დანართები

დანართი # 1
ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის და კლასიფიკაციის საკონტროლო ჩამონათვალი

(ა) ზემოქმედების იდენტიფიკაცია

შეიძლება ქვეპროექტმა დიდი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე?	
რა პოტენციური დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება ექნება ქვეპროექტს?	
შეიძლება ქვეპროექტმა დიდი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე და სხვა პირებზე?	

(ბ) ზემოქმედების შემცირების ზომები

განხილული იქნა თუ არა პროექტის ალტერნატული ვარიანტები ქვეპროექტისთვის?	
ზემოქმედების შემცირების რა ზომები იქნა შემოთავაზებული?	
წინა მსგავსი ქვეპროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის დიზაინში?	
ჩართული იყო თუ არა მოსახლეობა ქვეპროექტის მომზადებაში და სათანადოდ იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?	

(დ) დასკვნა

1. ქვეპროექტი უარყოფილია [1] ☐

[1] ქვეპროექტის დაფინანსება არ არის ნებადართული დიდი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკების გამო. პროექტის სახსრებით მხოლოდ საშუალო ან არსებითი რისკების მქონე საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს. .

2. ქვეპროექტი მიღებულია ☐

ქვეპროექტის მომზადებისთვის საჭიროა გარემოსდაცვითი
და სოციალური ზემოქმედების შეფასების ჩატარება ☐

ქვეპროექტის მოსამზადებლად საჭიროა მცირე სამშენებლო
და სარეაბილიტაციო საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის
საკონტროლო ჩამონათვალის შევსება ☐

დანართი # 2
განსახლების და კულტურული რესურსების სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალი ქვეპროექტებისთვის

განსახლების სკრინინგის ინფორმაცია		**კი**	**არა**
1	ხელმისაწვდომია თუ არა ქვეპროექტის ტერიტორიის კუთვნილების, საკუთრების და მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი გადამოწმება? (შეუძლებელია სკრინინგის განხორციელება ამ ინფორმაციის გარეშე).		
2	შეზღუდავს თუ არა ქვეპროექტი სხვა პირების წვდომას მათ ეკონომიკურ რესურსებზე (მიწა, საძოვარი წყალი, კომუნალური ან სხვა მომსახურება)?		
3	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი ინდივიდების ან ოჯახების განსახლების ან მიწის შესყიდვის (კერძო, სახელმწიფო, დროებითი ან მუდმივი) საჭიროებას?		
4	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტის ნარგავების (მოსავლის), ოჯახების კუთვნილი შენობა-ნაგებობების (მაგ. დამხმარე ნაგებობების, ღობეების, არხების, ბეღლების, სახლის გარეთ მდებარე საპირფარეშოების ან სამზარეულოების და სხვა) დროებით ან სამუდამოდ დაკარგვას?		
თუ რომელიმე ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხია „კი“, მაშინ გამოიყენება **ESS 5: მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვა და არანებაყოფლობითი განსახლება** და ზემოქმედების შემცირების ზომები უნდა განხორციელდეს ამ ESS და პროექტის RPF-ის შესაბამისად.			
კულტურული რესურსების დაცვის სკრინინგის ინფორმაცია		**კი**	**არა**

5	საჭიროა თუ არა პროექტის ფარგლებში ისტორიულ, არქეოლოგიურ ან კულტურული მემკვიდრეობის ადგილებთან ახლოს მიწის სამუშაოების წარმოება?		
თუ მე-5 კითხვაზე პასუხის „კი“, მაშინ შესაძლო შემთხვევითი აღმოჩენის განკარგვა უნდა მოხდეს წინამდებარე **ESMF-ში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.**			

დანართი # 3.
გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სქემა

(ა) *ანგარიშის რეზიუმე*
მნიშვნელოვანი მოკვლეული მონაცემებს და რეკომენდებული ზომების მოკლე აღწერა.

(გ) *სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა*
პროექტის იმ სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ტარდება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების, მათ შორის ESS1-ის 26-ე პარაგრაფში მითითებული საკითხების, შეფასება.
სესხის ამღების ქვეყნის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს და გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) შეფასება და მათ შორის არსებული შეუსაბამობების იდენტიფიცირება
თანადამფინანსებლების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების იდენტიფიკაცია და შეფასება.

(გ) *პროექტის აღწერა*
პროექტის და მისი გეოგრაფიული, გარემოსდაცვითი, სოციალური სპეციფიკის მოკლე აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს ასევე პროექტის ფართობის საზღვრებს გარეთ განსახორციელებელ ინვესტიციებს (მაგალითად, სპეციალური მილსადენები, მისასვლელი გზები, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, საცხოვრებლების, მასალების და პროდუქციის საწყობების მოწყობა) და პროექტის ძირითად მიმწოდებლებს.

პროექტის დეტალურ მონაცემების გაანალიზების საშუალებით გეგმების მომზადების საჭიროების დადგენა ESS1 – 10 მოთხოვნების შესაბამისად.

საკმარისად დეტალური რუკა, სადაც ასახული იქნება პროექტის ფართობი და ის ტერიტორია, რომელზედაც პროექტმა შეიძლება მოახდინოს პირდაპირი, არაპირდაპირი ან კუმულაციური ზემოქმედება.

(დ) *საბაზისო მონაცემები*
პროექტის მდებარეობასთან, საინჟინრო პროექტებთან, ექსპლუატაციასთან ან ზემოქმედების შემცირების ზომებთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების დეტალური აღწერა. ეს მოიცავს მონაცემების და პროექტის იდენტიფიცირების, დაგეგმვის და განხორციელების შესახებ ინფორმაციის სიზუსტის, სანდოობის და წყაროების ანალიზს.

ხელმისაწვდომი მონაცემების სავარაუდო ხარისხის და მოცულობის, მონაცემებში არსებული ხარვეზების და პროგნოზების ცდომილებების იდენტიფიკაცია და გაანგარიშება.
არსებული ინფორმაციის საფუძველზე შესასწავლი ფართობის განსაზღვრა და ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების აღწერა, პროექტის დაწყებამდე მოსალოდნელი ცვლილებების ჩათვლით.

პროექტის ფართობებზე მიმდინარე და დაგეგმილი განვითარების აქტივობების გათვალისწინება, რომლებიც პროექტთან პირდაპირ კავშირში არ არის.

(ე) ***გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება***
პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების ანალიზი. ეს მოიცავს ESS 2–8-ში მითითებულ, ასევე პროექტის ხასიათით და სპეციფიკით გამოწვეულ, მათ შორის ESS1-ის 28-ე პარაგრაფში იდენტიფიცირებულ, გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებას.

(ვ) ***ზემოქმედების შემცირების ზომები***
ზემოქმედების შემცირების ზომების და იმ მნიშვნელოვანი უარყოფითი ნარჩენი ზემოქმედების განსაზღვრა, რომლის შემცირებაც შეუძლებელია. უნდა განისაზღვროს ასევე რამდენად მისაღებია ნარჩენი უარყოფითი ზემოქმედება.

ზემოქმედების შემცირების დიფერენცირებული ზომების შემუშავება, დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შემცირების შემოთავაზებული ზომების განხორციელებადობის და ადგილობრივ პირობებთან მათი შესაბამისობის და ამ ზომების ინსტიტუციონალური, ტრენინგის, მონიტორინგის მოთხოვნების შეფასება.

სხვა კონკრეტული საკითხები.

(ზ) ***ალტერნატივების ანალიზი***
პროექტის ტერიტორიის, ტექნოლოგიების, საინჟინრო პროექტების და ექსპლუატაციის პრაქტიკული ალტერნატივების (მათ შორის „პროექტით“ და „პროექტის გარეშე“ სიტუაციების) სისტემატიურად შედარება მათი პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების თვალსაზრით.
ალტერნატიული ვარიანტების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შემცირების ზომების განხორციელებადობის და ადგილობრივ პირობებთან მათი

შესაბამისობის და ამ ზომების ინსტიტუციონალური, ტრენინგის, მონიტორინგის მოთხოვნების შეფასება.

რამდენადაც შესაძლებელია, თითოეული ალტერნატივისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მოცულობების განსაზღვრა და ეკონომიკური ღირებულებების მითითება.

(თ) ***პროექტირება***

აქ განსაზღვრულია კონკრეტული პროექტის შერჩევის საფუძველი და მითითებულია გამოსაყენებელი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები (EHSG) . თუ EHSG არ გამოიყენება, დასაბუთებული უნდა იყოს ემისიების რეკომენდებული დონე და დაბინძურების პრევენციის და შემცირების შემოთავაზებული მიდგომა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სათანადო საერთაშორისო დარგობრივ პრაქტიკას (GIIP).

(ი) გარემოსდაცვითი და სოციალური მოვალეობების გეგმის (ESCP) ძირითადი ზომები და აქტივობები

აქ შეჯამებულია ძირითადი ზომები და აქტივობები, პროექტის მიერ ESS მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები. ეს მონაცემები გამოყენებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მოვალეობების გეგმის (ESCP) შემუშავებისთვის.

(კ) ***დამატებები***

იმ ინდივიდების და ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებმაც მოამზადეს ან მონაწილეობა მიიღეს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებაში.
ბიბლიოგრაფია — იმ წერილობითი გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი მასალების მითითება, რომლებიც გამოყენებული იქნა ამ დოკუმენტის მოსამზადებლად.
მონაწილე მხარეებთან, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვედრების, კონსულტაციების და კვლევების დოკუმენტების მითითება
მითითებული უნდა იყოს მონაწილე მხარეების ჩართულობის რა საშუალებები იქნა გამოყენებული ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გასარკვევად.
ძირითად ტექსტში შეტანილი ან მითითებული მონაცემების ცხრილები.
შესაბამისი ანგარიშების და გეგმების ჩამონათვალი.

დანართი # 4.
მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საკონტროლო ჩამონათვალის (ESMP) ნიმუში

<u>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები :</u>

მცირე რისკიანი პროექტების შემთხვევაში, მაგალითად ფართოზოლიანი ინტერნეტის ქსელის გაყვანისას, მსოფლიო ბანკის გარანტიების ჯგუფი იყენებს ოპტიმიზირებულ მიდგომას ჯანდაცვის განათლების, სახელმწიფო სერვისების სექტორში მცირე მშენებლობის და რეაბილიტაციის ESMP-ების მოსამზადებლად. ამ გეგმებს საკონტროლო ჩამონათვალის ფორმა აქვთ და კარგი პრაქტიკის ნიმუშს შეიცავს. ეს გეგმები მარტივად გამოსაყენებელია და შეესაბამება მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების ჩარჩო დოკუმენტს.

საკონტროლო ჩამონათვალის ფორმის EMP მოიცავს ზემოქმედების შემცირების ზომებს მცირე, ლოკალური ზემოქმედების მქონე სამშენებლო სამუშაოებისთვის. ამ ფორმით მოცემულია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) ძირითადი ელემენტები ESS1-ის ფარგლებში მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს საკონტროლო ჩამონათვალი მცირე სამუშაოების სახელმძღვანელო პრინციპების როლს ასრულებს და სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ მცირე სამშენებლო სამუშაოების პროექტებში.

საკონტროლო ჩამონათვალი სამი ნაწილისგან შედგება:

<u>1-ელი ნაწილი</u> მოიცავს აღწერილობით ნაწილს, რომელშიც მოცემულია პროექტის აღწერა, ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ასპექტები, საინჟინრო პროექტების დახასიათება, პოტენციალის განვითარების საჭიროება და საჯარო კონსულტაციების პროცესი. ეს ნაწილი დაახლოებით ორი გვერდი უნდა იყოს. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება დანართების სახით იქნეს წარმოდგენილი.

<u>მე-2 ნაწილი</u> მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალს , სადაც საქმიანობა და გარემოზე პოტენციური ზემოქმედება „კი“ და „არა“ მარტივ ფორმატში უნდა აღინიშნოს. თუ „კი“-ს მონიშვნა რომელიმე საქმიანობის/საკითხის ინიცირებას ნიშნავს, უნდა გაკეთდეს მითითება

მომდევნო ცხრილის შესაბამის ნაწილზე, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მართვის და ზემოქმედების შემცირების ზომები.

<u>მე- 3 ნაწილი</u> არის მშენებლობის და განხორციელების მონიტორინგის გეგმა. მისი ფორმატი ისეთივეა, როგორც მსოფლიო ბანკის ESMP-ებში B კატეგორიების ქვეპროექტებისთვის. მე-2 და მე-3 ნაწილი შეტანილი იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში კონტრაქტორისათვის, განფასდება ტენდერის პროცესში და სამუშაოების მიმდინარეობისას მოხდება მისი განხორციელების ზედამხედველობა.

სარჩევი

ა) ზოგადი ინფორმაცია და პროექტის და მისი ტერიტორიის შესახებ;

ბ) ინფორმაცია გარანტიების შესახებ

გ) ზემოქმედების შემცირების ზომები

დ) მონიტორინგის გეგმა

A ნაწილი: ზოგადი ინფორმაცია პროექტის და მისი არეალის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული			
ქვეყანა			
პროექტის სახელი			
ქვეპროექტის სახელი			
კონკრეტულ ცფართობზე განსახორციელებელი საქმიანობა			
ინსტიტუციონალური მექანიზმები (მსოფლიო ბანკი)	გუნდს ხელმძღვანელი: (სახელი)	გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტები (სახელები)	
განხორციელების მექანიზმები (სესხის ამღები)	განმახორციელებელი ერტეული (სახელები)	სამუშაოების ზედამხედველი (განსასაზღვრი)	სამუშაოების კონტრაქტორი: (განსასაზღვრი)
არეალის აღწერა			
იმ უწყების სახელი, რომლის ინფრასტრუქტურასაც უტარდება რეაბილიტაცია			
იმ უწყების მდებარეობა და მისამართი, რომლის ინფრასტრუქტურასაც უტარდება რეაბილიტაცია			
ვის საკუთრებაშია მიწა? ვინ სარგებლობს მიწით (ოფიციალურად/არაოფიციალურად)			
პროექტის ტერიტორიაზე არსებული ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს და სოციალურ-ეკონომიკური პირობების აღწერა			
მასალების წყაროს (განსაკუთრებით ბეტონის, შემავსებლების, წყლის, ქვების) მდებარეობა და მანძილი			
კანონმდებლობა			
ქვეყნის და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვების რომლებიც პროექტის საქმიანობას ეხება			
საჯარო კონსულტაციები			

როდის/სად ჩატარდება/ჩატარდა საჯარო კონსულტაციები?	
დანართები	
დანართი # 1: ტერიტორიის გეგმა/ფოტო დანართი # 2: მშენებლობის ნებართვა (საჭიროებისამებრ) დანართი # 3: სამშენებლო ნარჩენების გატანის შესახებ შეთანხმება სხვა ნებართვები/შეთანხმებები – საჭიროებისამებრ	

B ნაწილი: ინფორმაცია გარანტიების შესახებ

გარემოსდაცვითი /სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	**სტატუსი**	**ინიცირებული აქტივობა**
ადგილზე საქმიანობა მოიცავს თუ არა შემდეგს?	1. შენობის რეაბილიტაცია	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **A** ქვემოთ
	2. ახალი ობიექტის მშენებლობა	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **A** ქვემოთ
	3. ჩამდინარე წყლების გაწმენდი ინდივიდუალური სისტემა	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **B** ქვემოთ
	4. ისტორიული შნეობები და უბნები	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **C** ქვემოთ
	5. მიწის შესყიდვა [2]	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **D** ქვემოთ
	6. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები [3]	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **E** ქვემოთ
	7. ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **F** ქვემოთ
	8. სოციალური რისკების მართვა	[ ] კი [ ] არა	იხ. ნაწილი **G** ქვემოთ

[2] მიწის შესყიდვა მოიცავს მოსახლეობის განსახლებას, მათი საარსებო წყაროს შეცვლას, იმ ადამიანების კერძო საკუთრებაზე შეჭრას, რომლებიც იქ ცხოვრობენ (კანონიერად ან უკანონოდ) ან აქვთ ბიზნესი (მაგ. ჯიხური).

[3] ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) აზბესტს, ტოქსიკურ საღებავებს, გამხსნელებს, ტყვიის შემცველი საღებავის მოცილებას და სხვა.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების აღნიშვნის ფურცელი
0. ზოგადი პირობები	შეყობინება და თანამშრომელთა უსაფრთხოებაა	(ა) აცნობოს ადგილობრივ სამშენებლო და გარემოსდაცვით ინსპექტორებს და თემებს მომავალი საქმიანობის შესახებ (ბ) შეატყობინოს საზოგადოებას სამუშაოების შესახებ შესაბამისი შეტყობინების საშუალებით მედიაში და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომ საიტებზე (მათ შორის, სამუშაოების ადგილზე) (გ) მოიპოვოს კანონით მოთხოვნილი ყველა ნებართვა მშენებლობისა და/ან რეაბილიტაციისთვის (დ) ოფიციალურად დაეთანხმოს დამსაქმებელს, რომ ყველა სამუშაო განხორციელდება უსაფრთხო და დისციპლინირებული წესით, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოქმედება ადგილობრივ მაცხოვრებლებზე და გარემოზე. (ე) უზრუნველყოს გარანტია, რომ მუშაკთა PPE შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას (ყოველთვის ქუდები, საჭიროებისამებრ ნიღბები და უსაფრთხოების სათვალეები, აღკაზმულობა და უსაფრთხოების ჩექმები) (ვ) დააყენოს სამშენებლო მოედანზე შესაბამისი სასიგნალო ნიშნები, რათა მუშებს აცნობოს ძირითადი წესები და რეგულაციების შესახებ.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა	ჰაერის ხარისხი	(ა) ჩაახშოს მტვრის წარმოქმნა პნევმატური ბურღვის/კედლის დანგრევის დროს წყლის მუდმივი შესხურებით და/ან ადგილზე მტვრისაგან დამცავი ზღუდეების დამონტაჟებით (ბ) უზრუნველყოს მიმდებარე გარემოს (ტროტუარები, გზები) ნარჩენებისგან დაცვა, რათა მინიმუმამდე იქნას მტვრის წარმოქმნა დაყვანილი (გ) არ დაუშვას სამშენებლო/ნარჩენი მასალის ღია დაწვა ადგილზე

		(დ) არ დაუშვას სამშენებლო მანქანების გადაჭარბებული უმოქმედობა ობიექტებზე
	ხმაური	(ა)შეზღუდოს მშენებლობისაგან გამოწვეული ხმაური შეზღუდვა დღისით, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა. აცნობოს ადგილობრივ თემებს სამუშაოების განრიგის შესახებ, თუ ის არ იცავს სტანდარტულ სამუშაო საათებს (ბ) უზრუნველყოს, რომ ექსპლუატაციის დროს გენერატორების, ჰაერის კომპრესორების და სხვა ენერგიით მომუშავე მექანიკური აღჭურვილობის ძრავის სახურავები დახურულია და მოწყობილობები განთავსებულია საცხოვრებელი უბნებიდან რაც შეიძლება შორს.
	წყლის ხარისხი	(ა) დააწესოს ეროზიისა და ნალექის კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა მაგ. თივის ღობეები და/ან სილის ღობეები, რათა თავიდან აიცილოს ნალექის ადგილიდან გადაადგილება და ახლომდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში ზედმეტი სიმღვრივის გამოწვევა.
	ნარჩენების მართვა	(ა) მოახდინოს ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების გზების იდენტიფიცირება ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია ნგრევისა და სამშენებლო საქმიანობიდან ბ) გამოაცალკევოს მშენებლობისა და ნგრევის შედეგად მიღებული მინერალური ნარჩენები საერთო ნარჩენებისგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან ადგილზე დახარისხებით და შეინახოს შესაბამის კონტეინერებში. (გ) შაგროვოს სამშენებლო ნარჩენები და სათანადოდ განათავსოს გამოყოფილ ადგილას (დ) როცა ეს შესაძლებელია, ხელახლა გამოიყენოს და გადაამუშავოს შესაბამისი და სიცოცხლისუნარიანი მასალები (გარდა აზბესტისა)

B. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა	წყლის ხარისხი	(ა) უზრუნველყოს, რომ სანიტარული ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მოპყრობის მიდგომა და გამწმენდი სისტემის პროექტი დამტკიცებული იყოს შესაბამისი ორგანოების მიერ (ბ) უზრუნველყოს, რომ მიმღებ წყლებში ჩაშვებამდე, ჩამდინარე წყლების ცალკეული სისტემებიდან მოხდეს მათი შესაბამისი დამუშავება, რათა დააკმაყოფილოს მინიმალური ხარისხის კრიტერიუმები, რომლებიც დადგენილია ჩამდინარე წყლების ხარისხისა და გაწმენდის შესახებ ეროვნული გაიდლაინებით. (გ) განახორციელოს ჩამდინარე წყლების ახლად შექმნილი გამწმენდი სისტემების მონიტორინგი და მოახსენოს დამსაქმებელს მონიტორინგის შედეგების შესახებ (დ) გარეცხოს სამშენებლო მანქანები და მანქანები მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სადაც ჩამდინარე წყალი არ დააბინძურებს ბუნებრივ ზედაპირულ წყლის სისტემებს.
C. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები /ბუფერული ზონები	კულტურული მემკვიდრეობა	(ა) იმ შემთხვევაში თუ საკაბელო დაფარვის ადგილები მოეწყობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერულ ზონაში, წინასწარ უნდა იქნას მიღებული განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობა. ყველა სამშენებლო აქტივობა დაგეგმოს და განახორციელოს ადგილობრივი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. (ბ) პერსონალს გააცნოს კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში სამოქმედო პროცედურების შესახებ. შეაჩეროს ყველა ფიზიკური აქტივობა, თუ არსებობს ეჭვი ცვლილების შეტანაზე ან პერსონალის მიერ არის მსგავსი ფაქტი მოხსენებული და დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს წერილობით. არ განაახლოს მუშაობა დამსაქმებლის ოფიციალურ შეტყობინებამდე.

D. მიწის შესყიდვა	მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო	(ა) იმ შემთხვევაში, თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ საჭირო გახდა, ან თუ მიწის კანონიერი ან უკანონო მომხმარებლების შემოსავლის დაკარგვა არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ შეიძლება მოხდეს, დაუყოვნებლივ მიმართოს მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს. (ბ) დარწმუნდეს, რომ არ შედოს ქვეპროექტის ადგილზე და არ დაიწყოს მასში რაიმე ფიზიკური აქტივობა განსახლების დასრულებისა და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის სრული მიწოდების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებამდე.
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	(ა) იმ შემთხვევაში, თუ აზბესტი განთავსებულია ქვეპროექტის ადგილზე, მკაფიოდ მოინოშნოს, როგორც სახიფათო მასალა (ბ) შეძლებისდაგვარად მოხდეს აზბესტის ლოკალიზება და ჰერმეტიზაცია, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი აზბესტის შედეგად გამოვლენილი საფრთხე (გ) აზბესტის გატანამდე დამუშავდეს ის (თუ მისი გატანა აუცილებელია) დამატენიანებელი საშუალებით აზბესტის მტვრის მინიმუმამდე შესამცირებლად (დ) აზბესტის დამუშავება და განკარგვა შესრულდეს გამოცდილი და შესაბამისი უნარჩვევების მქონე პროფესიონალების მიერ (ე) თუ აზბესტის მასალა დროებით ინახება, უსაფრთხოდ განთავსდეს იგი დახურულ კონტეინერში და დაეტიკეტდეს სათანადოდ. გატარდეს უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან არასანქცირებული დატაცების წინააღმდეგ (ვ) არ მოხდეს ობიექტიდან გატანილი აზბესტის ხელახალი გამოყენება
	ტოქსიკური / საფრთხის შემცველი ნარჩენების მართვა	(ა) დროებით მოხდეს ყველა სახიფათო ან ტოქსიკური ნივთიერების ადგილზე უსაფრთხო კონტეინერებში შენახვა, რომელშიც მითითებულია შემადგენლობა, თვისებები და ინფორმაცია მათი მოპტრობის/საბოლოო განკარგვის შესახებ.

		(ბ) მოთავსდეს საშიში ნივთიერებების კონტეინერები გაჟონვაგამძლე კონტეინერებში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი დაღვრა და გაჟონვა (გ) ნარჩენების გადატანა მოხდეს ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე და მიწის ექსკავაციის შედეგად მიღებული ჭარბი მასალის განთავსება ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ადგილებში. (დ) არ იქნას გამოყენებული საღებავები ტოქსიკური ინგრედიენტებით ან გამხსნელებით, ასევე ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება დაუშვებელია
F. საგზაო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხეები საზოგადოებრივ საგზაო მოძრაობასა და ფეხით მოსიარულეთათვის, რაც გამოწვეულია სამშენებლო საქმიანობით	(ა) შესაბამისი პოსტის ნიშნების, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება, ბარიერების და მოძრაობის დარღვევების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება ისე უნდა მოხდეს, რომ სამუშაო ადგილი ნათლად იყოს ხილული და საზოგადოება გაფრთხილებული იყოს ყველა პოტენციური საფრთხის შესახებ (ბ) ჩამოაყალიბდეს საგზაო მოძრაობის მართვის სისტემა და პერსონალს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი, განსაკუთრებით ობიექტზე წვდომისა და უბნის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო გადასასვლელები ფეხით მოსიარულეებისთვის, სადაც სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საგზაო გადაადგილება ფერხდება. (გ) დაარეგულირდეს სამუშაო საათები ადგილობრივი მოდელის შესაბამისად, მაგ. გადაზიდვების ძირითადი საქმიანობა არ უნდა დაიგეგმოს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს (დ) აქტიურად უნდა მოხდეს საგზაო მოძრაობის მართვა, იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა საზოგადოების უსაფრთხო და შეუფერხებელი გადასასვლა.
G. სოციალური რისკების მართვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	(ა) დაინიშნოს ადგილობრივი მეკავშირე/საკონტაქტო პირი კონტრაქტორის გუნდში, რომელიც პასუხისმგებელი იქნებაა

		ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და მოთხოვნის/საჩივრების მიღებაზე (ბ) შედგეს კონსულტაცია ადგილობრივ თემებთან, რათა გამოვლენილ იქნას და პროაქტიულად მართონ პოტენციური კონფლიქტები გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის (გ) მოხდეს ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გარე სამუშაო ძალის არსებობასთან და ადგილობრივი თემების ჩართვა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში. დ) მოსახლეობას ეცნობოს მშენებლობისა და სამუშაო გრაფიკის, მომსახურების შეწყვეტის, საგზაო მოძრაობის შემოვლითი მარშრუტებისა და დროებითი ავტობუსის მარშრუტების, აფეთქებისა და დანგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ. (ე) შეიზღუდოს სამშენებლო საქმიანობა ღამით. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას გარანტია მასზედ, რომ ღამის სამუშაოები საგულდაგულოდ არის დაგეგმილი და საზოგადოება სათანადოდ არის ინფორმირებული, რათა მათ მიიღონ საჭირო ზომები. (ვ) მომსახურების შეწყვეტამდე მინიმუმ ხუთი დღით ადრე (მათ შორის, წყალი, ელექტროენერგია, ტელეფონი, ავტობუსის მარშრუტები), გაიცეს რჩევები საზოგადოებისთვის სამუშაო ადგილზე, ავტობუსის გაჩერებებზე და დაზარალებულ სახლებზე/ბიზნესზე. (ზ) დამსაქმებლის მიერ შექმნილი საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით წამოჭრილი პრობლემები მოგვარდეს კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში დათქმულ ვადაში

		(თ) შეძლებისდაგვარად, არ მოხდეს სამუშაო ბანაკების ადგილობრივ თემებთან ახლოს განთავსება (ი) თანამშრომელთა ბანაკების განლაგება და ფუნქციონირება უნდა მოხდეს მეზობელ თემებთან კონსულტაციის შედეგად
	შრომის მართვა	(ა) შეძლებისდაგვარად დაიქირაოს არაკვალიფიციური ან ნახევრად კვალიფიციური მუშები ადგილობრივი თემებიდან. სადაც და როცა ეს შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს მუშაკთა უნარ-ჩვევების ტრენინგი ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გასაძლიერებლად. (ა) სამუშაო ადგილზე ადეკვატური ტუალეტის (ტუალეტები და სარეცხი ადგილები) უზრუნველყოფა ცხელი და ცივი გამდინარე წყლით, საპნით და ხელის საშრობი მოწყობილობებით. უნდა შეიქმნას დროებითი სეპტიკური ავზის სისტემა ნებისმიერი საცხოვრებელი შრომითი ბანაკისთვის და მიმდებარე მდინარეების დაბინძურების გარეშე. (ბ) თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საერთო მართვის შესახებ, ქცევის კოდექსის ჩამოყალიბება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და მათი მკაცრად აღსრულება, მათ შორის თანამშრომლების გათავისუფლება და ადეკვატური მასშტაბის ფინანსური ჯარიმები. (გ) დაუყონებლივ ეცნობოს სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველს და დამსაქმებელს სამუშაო ადგილებზე მომხდარი ნებისმიერი უბედური შემთხვევის/ინციდენტის შესახებ და/ან სამუშაოების მიმწოდებლის ნებისმიერი სახელშეკრულებო საქმიანობიდან გამომდინარე, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის და/ან გარემოს ხელშესახები ზიანი, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ტრავმა ან გარდაცვალება სამუშაო ადგილზე, საგზაო შემთხვევა, საგანგებო გამონაბოლქვი/გარემოს დაბინძურება საშიში ნივთიერებებით და სხვა.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

აქტივობა	**რა** (არის პარამეტრი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (არის პარამეტრი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან პროცედურის უწყვეტობა?)	**რატომ** (არის პარამეტრი, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს მონიტორინგი?)	**ვინ** (არის მონიტორინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი?)
მშენებლობის ფაზა						
1.						
2.						
n.						
საოპერაციო ფაზა						
1.						
2.						
n.						

დანართი 5. ყოველთვიური საველე გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ააღნიშვნის ფურცელი/ჩეკლისტი

ობიექტის მდებარეობა	
კონტრაქტორის დასახელება	
ზედამხედველის სახელი	
ობიექტის ვიზიტის თარიღი	
სამშენებლო სამუშაოების სტატუსი	

შესამოწმებელი დოკუმენტები და აქტივობები	სტატუსი				კომენტარები
	კი	ნაწილობრივ	არა	ინფორმაცია არ არსებობს	
კონტრაქტორი ფლობს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიას					
კონტრაქტორი ფლობს ბეტონის/ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის ნებართვას					
კონტრაქტორს აქვს შეთანხმება ნარჩენების საბოლოო განკარგვაზე					
კონტრაქტორს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მომსახურების მიმწოდებელთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანაზე					
სამუშაო ადგილი შემოღობილია, დამონტაჟებულია გამაფრთხილებელი ნიშნები					
საგზაო მოძრაობა რეგულირდება საკმარისი გამაფრთხილებელი და სასიგნალო ნიშნებით, რომლებიც საკმარისია დროული შენელებისთვის, დროებითი ბარიერების					

უსაფრთხო გვერდის ავლით და ღამის საათებში ხილვადობისთვის.					
სამუშაოები არ აფერხებს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას და საავტომობილო მოძრაობას, ან გათვალისწინებულია დროებითი ალტერნატიული შესაჩერებელი ადგილები					
სამუშაო საათები დაფიქსირებულია					
სამშენებლო ტექნიკა და აღჭურვილობა არის სტანდარტულ ტექნიკურ მდგომარეობაში (არ არის ზედმეტი გამონაბოლქვი და ხმაური, არ ფიქსირდება საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვა)					
სამშენებლო მასალები და ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება დახურული საბარგულით					
სამშენებლო მოედანი ირწყვება ზედმეტად მტვრიანი სამუშაოების შემთხვევაში					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია ნარჩენების დროებითი შესანახი და სატრანსპორტო საშუალებების/აღჭურვილობის მომსახურების ადგილები					
კონტრაქტორის ბანაკი მარაგდება წყლით და უზრუნველყოფილია სანიტარული პირობებით					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა აღჭურვილია პირველადი სამედიცინო					

დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით					
მუშები ატარებენ უნიფორმას და დამცავ აღჭურვილობას, რომელიც ადეკვატურია ტექნოლოგიური პროცესებისთვის (ხელთათმანები, ჩაფხუტი, რესპირატორები, სათვალეები და სხვა.)					
სატრანსპორტო საშუალებისა და ტექნიკის მომსახურება და საწვავის მომარაგება ხორციელდება შეუღწევად ზედაპირზე დახურულ სივრცეში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს საექსპლუატაციო და საგანგებო დაღვრას.					
მანქანები და მანქანა-დანადგარები ირეცხება ბუნებრივი წყლის ობიექტებისგან ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ჩამონადენის პირდაპირი ჩაშვება წყლის სისტემებში.					
სამშენებლო ნარჩენების განთავსება ხდება ექსკლუზიურად გამოყოფილ ადგილებში.					
ბუნებრივი სამშენებლო მასალის მოპოვება ხდება მკაცრი ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესაბამისად					
ნიადაგის გათხრების შედეგად წარმოქმნილი ჭარბი მასალა და ნიადაგის ზედა ფენა ინახება ცალკე და საჭიროებისამებრ გამოიყენება შევსების/ადგილის აღდგენისთვის.					
სამუშაოები ჩერდება კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევით აღმოჩენის					

შემთხვევაში და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს ეცნობებათ აღნიშნულის შესახებ.					
ადგილზე ფიზიკური აქტივობის დასრულების შემდეგ, ობიექტი და კონტრაქტორის ბანაკი/ბაზა იწმინდება სამუშაოებიდან დარჩენილი ნარჩენებისგან და სრულება მიმდებარე ლანდშაფტთან ჰარმონიზაციის პირობა.					

დანართი 6. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი საგანებო სიტუაციებზე რეაგირების ,კომპონენტისთვის

1. საგანებო სიტუაციები, რომლებიც საქართველოში შეიძლება განვითარდეს

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, კლიმატური პირობები, არასტაბილური ჰიდროლოგიური ქსელი რთული გეოლოგიური პირობები განაპირობებს მნიშვნელოვანი ბუნებრივი საფრთხეების წარმოქმნას. ძირითადი რისკებია მეწყრები, ღვარცოფი, ქვების ცვენა. ხშირია ისეთ ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეები როგორიცაა წყალდიდობა, წყალმოვარდნა, სეტყვა, ზვავი და გვალვა. მეწყრები და წყალდიდობები ხშირად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს და ზოგჯერ ადამინების მსხვერპლს იწვევს. ეს მოვლენები აზიანებს შენობებს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, გზებს და სხვა ინფრასტრუქტურას. ქვეყნის გეოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ღვარცოფი და წყლის მოვარდა თითქმის ყველა მთის მდინარის აუზში ხდება. რთული რელიეფის ჰამო საქართველოს თითქმის ყველა ნაწილში ხშირია ქვების ცვენა.

ეს ბუნებრივი პროცესები მთელი წლის განმავლობაშ ი შეიძლება მხოდეს, მაგრამ წყალმოვარდნა/წყალდიდობა და მეწყრები ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში ხდება. ეს მოვლენები ყველაზე მეტად მთიანი რეგიონების მოსახლეობას და ინფრასტრუქტურას ემუქრება.

საქართველოში ასევე ხშირია მიწისძვრები. ზოგადად კავკასიონის სამხრეთ ფერდობები 9 ბალიან ზონას მიეკუთვნება, კოლხეთის დაბლობი - 7 ბალიან ზონას და ქვეყნის დანარჩენი ნაწილი - 8 ბალიან ზონას.

საქართველო ასევე განიცდის კლიმატის ცვლილების სახვადასხვა უარყოფით ზემოქმედებას გეოგრაფიული მდგომარეობის, რთული ლანდშაფტის, მრავალფეროვანი კლიმატური ზონების გამო. კლიმატის ცვლილება იწვევს ან ხელს უწყობს ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიცაა ზღვის დონის მატება, რაც აზიანებს სახლების და ინფრასტრუქტურას ზღვისპირა ზონაში, წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყრები აზიანებენ ქვეყნის ეკონომიკას. გარდა ამისა, ნალექების შემცირების ტემპერატურის და აორთქლების მატების გამო ამ ბოლო დროს საქართველოში მოიმატა ტყის ხანძრების რაოდენობამ.

საქართველოს მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება ინფექციური დაავადებების გამო. კოვიდ-19-ის პანდემიამ გამოიწვია ადამიანების დაღუპვა და დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის სუსტ ეკონომიკას.

ახლო წარსულში საქართველომ გადაიტანა შეიარაღებული კონფლიქტი და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობა და არასტაბილურობის გამო ეს მომავალშიც არ არის გამორიცხული.

2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის (CERC) ფარგლებშ დაფინანსებისთვის ნებადართული აქტივობები

საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტის (CERC) ფარგლებში დაფინანსებისთვის ნებადართული აქტივობები უნდა შეთანხმდეს მსოფლიო ბანკთა და საქართველოს მთავრობასთან. სავარაუდოდ ეს შეიძლება იყოს ა) ზარალის და საჭიროებების შეფასება ხარჯების დასადგენად; ბ) საგანგებო სიტუაციაში ან მისი დასრულების შემდეგ სასწრაფოდ ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების. ეს მოიცავს (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) დაზიანებულიო ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები (წყალარინება და ჩამდინარე წყლები), კაშხლების, წყალსაცავების, არხების, გზების, ხიდების, სატრანსპორტო სისტემების, ენერგეტიკის და ელექტრომომარაგების ობიექტების, ტელეკომუნიკაციის და სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენა. შეიძლება სსევ საჭირო გახდეს სოფლად დაქალაქდ მყარი ნარჩენების მართვის სისტემების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების (სანიაღვრე სისტემების ჩათვლით), საზოგადოებრივი შენობების, მათ შორის სკოლების, საავადმყოფოების, კლინიკების და ადმინისტრაციული შენობების, რეაბილიტაცია, რემონტი, აღდგენა და ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ნარჩენების გატანა; გ) ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ბენეფიციარებზე ფინანსური დახმარების გაცემა; დ) პირდაპირი დახმარება მთავრობისთვის, სახელმწიფო უწყებებისა და ორგანოებისთვის კრიზისზე რეაგირების მიზნით; ე) კონკრეტულ საგანგებო სიტუაციაში საჭირო სხვა საქმიანობა.

3. CERC-ის ფარგლებში დაფინანსებისთვის არანებადართული საქმიანობა

CERC-ის ფარგლებში არ არის ნებადართული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ისეთი საქმიანობის დაფინანსება, რომელიც

- მოიცავს ბუნებრივი საარსებო გარემოს, ტყეების, სენსიტიური ფართობების, მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების მქონე და/ან დაცული ტერიტორიების სერიოზულ გარდაქმნას, განადგურებას ან გაუარესებას;
- გამოიწვევს ან შედეგად მოიტანს შეუცვლელი კულტურული მემვიდრეობის ძეგლების, ნივთების, ისტორიული შენობების და/ან არქეოლოგიური ადგილების სამუდამო და/ან მნიშვნელოვან დაზიანებას;
- უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს იშვიათ ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე;
- არ აკმაყოფილებს პროექტირების მინიმალურ სტანდარტებს ან მშენებლობის ხარისხის მოთხოვნებს, განსაკუთრებით მოწყვლად ადგილებში;
- მოითხოვს ან მოიცავს

- პესტიციდების ან სხვა სახიფათო მასალებს შესყიდვას, გამოყენებას, შენახვას (სახიფათო ნარჩენების და აზბესტის შემცველი ნარჩენების) გარდა, რომლებიც საგანგებო სიტუაციის გამო წარმოიქმნა;
- კაშხლების, შემტბორავი ნაგებობების და სხვა მსგავსი კონსტრუქციების მშენებლობა, რომლებიც შეცვლიან მდინარის ან ზღვის ნაპირს ა/ ან ხელს შეუშლიან წლის სახეობებს გამრავლებას;
- სამთო სამუშაოებს და მიწის მელიორაციას;
- მიწაზე ისეთ საქმიანობას, რომელიც გამოიწვევს დავებს საკუთრებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით.

4. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების აქტივობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები

CERC-ის ფარგლებში დასაფინანსებლად შემოთავაზებული აქტივობების პოტენციური ზემოქმედება ქვემოთ ცხრილში არის მოცემული:

აქტივობა	გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები (რისკები)
დაზიანებულიო ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები (წყალარინება და ჩამდინარე წყლები), კაშხლების, წყალსაცავების, არხების, გზების, ხიდების, სატრანსპორტო სისტემების, ენერგეტიკის და ელექტრომომარაგების ობიექტების, ტელეკომუნიკაციის და სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენა.	• ნარჩენების და ამოღებული გრუნტის, სამშენებლო ნარჩენების არაორგანიზებული განკარგვის შედეგად გარემოს დაზიანება; • მტვრის, ხმაურის, ვიბრაციის, წყლის დაბინძურების, მყარი/სახიფათო/ტოქსიკური ნარჩენების. ჩამდინარე წყლების, საწვავის/ნავთობის დაღვრის შემთხვევების ზრდა და ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე; • აზბესტის შემცველი მასალების, სამშენებლო მასალების არაეფექტიანი მოპოვება და გამოყენება და მიწის შესყიდვა; • სენსიტიური ეკოსისტემების დაზიანება და ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება; • მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება ტოქსიკური ემისიების და ტოქსიკური ნივთიერებების დაღვრის გამო; • სახიფათო ზონების სათანადო მონიშვნის და ჩაკეტვის არარსებობა (ტოქსიკური ნივთიერებით, რადიაციით დაბინძურებული ადგილები, ხანძარი, ავარიული შენობების და ინფრასტრუქტურა და სხვა); • სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტა;

	• თვითნაკეთი კარვების და თავშესაფრების ჩამონგრევა კატასტროფის ზონაში; • საგანგებო სიტუაციაზე რეაგორების მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების არაორგანიზებული მოძრაობა; • დაავადების გავრცელება ინფექციების კერებში სამუშაოების წარმოებისას; • საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანება შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის არარსებობის ან მისი გამოუყენებლობის გამო; • სამუშაოების ადგილას არსებული საფრთხეები (აფთერშოკები მიწისძვრის შემდეგ, ხანძრები, წყალდიდობა, ავარიული შენობებიო/ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი აირის გაჟონვა, ელექტროდენის დარტყმ ელექტროგაყვანილობის დაზიანების შედეგად); • ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტი რომელიმე დასახლების/ოჯახისთვის პრიორიტეტის უსამართლოდ მინიჭების გამო; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გამორიცხვა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების აქტივობებიდან; • მისასვლელი გზების და კერძ მიწის ნაკვეთების გამოყენება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ზომების განხორციელებისას; • კერძო საკუთრების შემთხვევით დაზიანება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ზომების განხორციელებისას.
სოფლად დაქალაქდ მყარი ნარჩენების მართვის სისტემების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების (სანიაღვრე სისტემების ჩათვლით) რეაბილიტაცია, რემონტი, აღდგენა	იგივე , რაც ზემოთ
საზოგადოებრივი შენობების, მათ შორის სკოლების, საავადმყოფოების, კლინიკების და ადმინისტრაციული შენობების, რეაბილიტაცია, რემონტი, აღდგენა	იგივე , რაც ზემოთ

5. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და რისკების შემცირება

CERC-ის ფარგლებში დაფინანსებისთვის ნებადართული აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური ანალიზი შემდეგ ზომებს მოიცავს:

- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტები ჩაატარებენ შემოთავაზებული აქტივობების გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურული მემკვიდრეობის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხების სკრინინგს იმ ნიმუშების შესაბამისად, რომლებიც წინამდებარე ESMF-ის 1-ელ და მე-2 დანართებშია მოცემული.
- მაღლი რისკის აქტივობები, რომლებიც ზემოთ მოცემულ CERC-ის აკრძალული აქტივობების ჩამონათვალშია შეტანილი, ვერ მიიღებენ GRAIL პროექტის დაფინანსებას.
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოამზადებს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას (ESMP) წინამდებარე ESMF-ის მე-3 დანართში მოცემული ESMP ნიმუშის შესაბამისად. ზემოქმედების შემცირების ზომები იყოფა ორ კატეგორიად: საგანგებო სიტუაციაში და მისი დამთავრების შემდეგ განსახორციელებელი სამუშაოები. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი რისკების მართვა, როგორიცაა მუშების შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის რისკები, მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, გენდერული ნიშნით ძალადობა, ტოქსიკური ნივთიერებების შენახვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების და სამშენებლო ნარჩენების სამუშაოების ადგილას შენახვა, მიწის წაღება, მიწით სარგებლობის შეზღუდვა, კერძო საკუთრების შემთხვევით დაზიანება; საგანგებო სიტუაციის შემდგომ სხვადასხვა ტიპის ნარჩენების საბოლოოდ განკარგვა, ტერიტორიის აღდგენა, მცენარეულის საფარის და ლანდშაფტის აღდგენა, კერძო საკუთრების შემთხვევითი განსახორციელებელი აქტივობებია დაზიანების აღდგენა და სხვა.
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოამზადებს და განახორციელებს განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმას (a-RAP) , თუ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების აქტივობებისთვის საჭიროა მიწის შესყიდვა ან მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა. ამ გეგმის მომზადებისას ჩატარდება კონსულტაციების ადგილობრივი თვითმმართველობას ორგანოებთან და მოსახლეობასთან. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა პურემა უნდა მიიღონ კომპენსაცია სამუშაოების დაწყებამდე,
- CERC-ის ყველა ოპერაციისთვის მსოფლიო ბანკი დაამტკიცებს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებს (ESMP) და განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმებს (a-RAP), მაგრამ განსახორციელებელი ზომების გადაუდებლობის გათვალისწინებით დასაშვებია ამ დოკუმენტების შემდგომი განხილვა (post-review). დამტკიცებული გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტები გასაჯაროვდება სამინისტროს ვებგვერდზე და მსოფლიო ბანკის ვებსაიტზე,
- სამინისტრო მოახდენს ტექნიკური ზედამხედველების მობილიზაციას

რეაგირების ზომების განხორციელებაზე ზედამხედველობის მიზნით. ზედამხედველები სამინისტროს წარუდგენენ ყოველკვირეულო მოკლე ინფორმაციას, რომელსაც ის გამოიყენებს CERC-ის ფარგლებში დაფინანსებული აქტივობების მართვისთვის. ტექნიკურმა ზედამხედველებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სამინისტროს მუშების შრომის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან ან მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ,

- ტექნიკური ზედამხედველები სამინსიტროს წარუდგენენ სრულ ყოველთვიურ ანგარიშებს, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშებში მითითებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი და სოციალური საფრთხეების დროებით მოგვარების ზომები, რომლებსაც კონტრაქტორები ახორციელებენ ტექნიკურ ზედამხედველთან შეთანხმებით და რომლებისთვისაც საჭირო იქნება ზემოქმედების შემცირების ზომების განხორციელებას საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ.
- გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ფარგლებში სამინისტრო ზედამხედველობას გაუწევს საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ ზემოქმედების შემცირების ზომების განხორციელებას მათ დასრულებამდე.

დანართი 7. საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე
მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი
საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან
შეხვედრის ოქმი N1

შეხვედრის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტი (ცოტნე დადიანის ქ. №189 , ქ. ხობი)
შეხვედრის თარიღი: 8 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 16

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის

მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები:

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსი;
მერიის სამსახურის უფროსის თანაშემწე;
და ხობის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:
პროექტით დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.
დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა, განსახლების ჩაჩო დოკუმენტში ასახული პროცედურები, შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, აგრეთვე - პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო სქემა და ამ რესურსზე წვდომის შესაძლებლობა. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც იმ ეტაპისთვის იყო ცნობილი.
წამოჭრილი კითხვები:

1. პროექტის განხორციელება როდის იგეგმება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორცილებეს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

2. პროექტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს პროექტირება ერთად მოხდება?

საპროექტო სამუშაეობის ჩატარებისას გათვალისწინებული იქნება ყველა სამუშაო, რომელიც საჭიროა სისიტემის სრულყოფილი ოპერირებისათვის.

3. არხებში სატუმბების მოწყობაც არის დაგეგმილი?

იგეგმება სისტემების სრული რეაბილიტაცია, მათ შორის სატუმბი სადგურების მოწყობაც. არსებული სისტემები მთლიანად უნდა გაიწმინდოს და შეკეთდეს. სადაც საჭიროა - მოხდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თუ საჭიროება დასაბუთდა და საშუალება იქნა, შესაძლოა არხების ქსელის გაზრდაც.

4. სადრენაჟე არხები მოპირკეთდება თუ მხოლოდ მიწის არხები დარჩება?

ამ ეტაპზე ამაზე პასუხი რთულია. კვლევების შემდეგ შეფასება უნდა გაკეთდეს. უმეტეს შემთხვევაში სადრენაჟე სისტემების მოპირკეთება არ ხდება თუმცა, ყველა საერთაშორისო სტანდარტი რაც დღესდღეობით არსებობს, დაცული იქნება და ამის მიხედვით მიიღება საბოლოო გადაწყვეტილებები. პროექტების დამტკიცებამდე მოხდება მათი განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

5. შავღელეს სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია სრული იქნება?

დიახ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შავღელის სადრენაჟე სისტემის სრული რეაბილიტაცია, რაც მოიცავს როგორც მაგისტრალური კოლექტორის, ასევე შიდა არხების აღდგენა/რეაბილიტაციას.

დამსწრეებს ეჩვენათ აღნიშნული ტერიტორია რუკაზე.

6. მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდება თუ სოცილური პროგრამებიც იქნება?

ქალი ფერმერებისთვის საგრანტო მიმართულებაში გათვალისწინებულია შეღავათები, რომელის გამოქვეყნდება საინფორმაციო საშვალებებით და საჯარო შეხვედრებზე, მას შემდეგ რაც დამტკიცდება საგრანტო სახელმძღვანელო. მაგრამ იარსებებს ერთი ურყევი პირობა , გრანტის მიღება შეეძლებათ იმ ქალბატონებს, რომლებიც არიან მფლობელები ან თანამფლობელები იმ მიწის ნაკვეთის, რომელიც ირწყვება სარეაბილიტაციო საირიგაციო სისტემის მიერ.

მიღებული უკუკავშირი:

- ხობის მერი კმაყოფილია გაცნობილი პროექტით და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

- დამსწრე პირს აქვს ტერიტორიასთან ახლოს აღებული ტერიტორია იჯარით, სადაც აპირებს დაფნისა და მანდარინის კულტურების განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი მის საქმიანობას ძალიან წაადგება და განავითარებს მის სამომავლო სამეურნეო საქმიანობას.

კომენტარი

- პროექტის შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს განსახორციელებელი ტრანსპორტის მართვის გეგმას. მათ მიეწოდათ ინფორმაცია თუ რა პრევენციული ღონისძიებები იქნება გატარებული რეაბილიტაციის დროს ადგილობრვი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის კუთხით.

- დამსწრე საზოგადოების მხრიდან იყო თხოვნა, გაწმენდილიყო არხების მიმდებარედ არსებული ჯაგნარი, რომელის არსებობაც ხელს უშლის სადრენაჟე სისტემის ნორმალურ ექსპულატაციას. მათი თქმით აღნიშნული ჯაგნარი ასევე აფერხებს მიწებზე შესვლასა და აძნელებს მიწის დამუშავების პროცესს. გაჟღერდა თხოვნა, რომ სამუშაოთა დაპროექტების პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო ამ ტერიტორიის გაწმენდა. ერთჯერადი გაწმენდაც მნიშვნელოვანად დაეხმარებოდა ადგილობრივ ფერმერებს.

შეხვედრის ოქმი N2

შეხვედრის ადგილი: გორის მუნიციპალიტეტი (ქ. გორი, გრიგოლ ფერაძის N5)
შეხვედრის თარიღი: 10 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 13

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის

მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სერვისის უფროსის მოადგილე;
ტირიფონის სერვის ცენტრის უფროსი;
შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის უფროსის მოადგილე;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და გორის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.
დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამ ეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. აიწევს თუ არა სარწყავი სისტემის გადასახადი რეაბილიტაციის შემდეგ ?

წყლის გადასახადს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - (სემეკი) აწესებს. არსებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არც საქართველოს მელიორაციის დონეზე არ მიიღება. შესაბამისად პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს გაუჭირდება ტარიფთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება. ტარიფის დადგენა მოხდება

სემეკის მიერ, შესაძლებელია ეს იყოს მომავალში მოხმარებული წყლის მოცულობის მიხედვით.

2. კონკრეტულად რომელ სოფლებს შეეხება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოხდება უკვე არსებული არხების რეაბილიტაცია. პროექტის ჯამური ტერიტორია შეადგენს 5210 ჰექტარს. ამ ეტაპზე შერჩეული საირიგაციო სქემების მიხედვით სავარაუდოდ განხორციელდება ტაშისკარის, ტირიფონის, ზედა არხის, ზემო ალაზნის, ნარეკვავისა და შავღელეს არხების რეაბილიტაცია. კონკრეტულად ტირიფონის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ტირიფონის სისტემაში შემავალი ყველა სოფელი.

3. მაგისტრალურ არხში წყლის დებეტი იგივე იქნება რაც ახლაა თუ შეიცვლება?

მოხდება მაგისტრალური არხის რეაბილიტირება, მაგრამ ეს არ შეცვლის წყლის მიწოდების მოცულობას.

4. როგორც თქვენთვის ცნობილია ტირიფონის მაგისტრალური არხი 3 მონაკვეთზეა მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ მოხდება ამ მონაკვეთებზე რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება ? თუ ვერ მოხერხდა შესაძლებელი იქნება თუ არა, რომ გაწმენდითი სამუშაოები მაინც ჩატარდეს?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აწარმოებს. არც პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი და არც საპროექტო კომპანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას არ გეგმავს. თუმცა, ტექნიკური შეფასების და დაპროექტების დროს ეს საკითხები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საპროექტო კომპანიის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით მჭიდრო კომუნიკაცია იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

მიღებული უკუკავშირი:

- მაგისტრალურ არხში არასაკმარისი გამანაწილებლის გამო, ივნისის თვიდან ჭირს ყველა მიმდებარე სოფლისათვის წყლის საკმარისი მიწოდება. კარგი იქნება თუ პროექტირების ეტაპზე მოხდება ამ საკითხის გათვალისწინება და არხში ისეთი გამანაწილებლის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს წყლის საკმარისს დებეტს, რათა ზაფხულის სეზონისათვის ყველამ თანაბრად შეძლოს სარგებლობა.

კომენტარი:

სოციალური და განსახლების სპეციალისტმა - ქნ-მა სოფო ბერიშვილმა ისაუბრა როგორც პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ასევე საირიგაციო პროგრამებსა და მასთან დაკავშირებით ფერმერებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე.
პროექტის ინჟინერმა, ბნ-მა ლევან ცხოვრებაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის ტექნიკურ მხარე, როგორც რეაბილიტაციის ასევე მოდერნიზაციასა და მოპირკეთების სამუშაოები.

შეხვედრის ოქმი N3

შეხვედრის ადგილი: ახმეტის მუნიციპალიტეტი (ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა № 49)
შეხვედრის თარიღი: 15 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 21

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.

საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და ახმეტის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. რომელი არსებული ქსელების რეაბილიტაცია იგეგმება? სოფლების ჩამონათვალი თუ გაქვთ?

პროექტის საპრექტო ტერიტორია შეადგენს 6110 ჰექტარს. ამ ეტაპზე შერჩეული საირიგაციო სქემების მიხედვით სავარაუდოდ განხორციელდება ტაშისკარის, ტირიფონის, ზედა არხის, ზემო ალაზნის, ნარეკვავისა და შავღელეს არხების რეაბილიტაცია. კონკრეტულად ზემო ალაზნის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 12 გამანაწილებლი (D-6, D-7, D14, D-29, D-34, D-39, D-42, D-58, D-61, D-75, D-90, D-93) , რომლებზეც ჩატარდება რეაბილიტაციის სამუშაოები.

2. რას გულისხმობს მოდერნიზაცია? ახალი მილსადენის გაკეთებას?

მოდერნიზაცია გულისხმობს საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად, არსებული ქსელების განახლებას ანუ არსებულის რეაბილიტაციას იმგვარად, რონ ფერმერებმა მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალურად ეფექტურად შეძლონ საჭრიო წყლის მიწოდება სასოფლო სამეურნეო კულტურებისთვის.

3. პროქტის ზემოქმედების რა არეალში უნდა იყოს ნაკვეთი რომ საგრანტო ის საგრანტო პროგრამაში მოხვდეს?

ვინაიდან ამ ეტაპზე საბოლოო პროექტი არ არსებობს ზუსტი არეალის განსაზღვრა გაჭირდება. თუმცა სამომავლოდ პროექტში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან არა ერთი შეხვედრა რის დროსაც დეტალურად იქნება მოწოდებული ინფორმაცია საგრანტო პროგრამების და მათი

მოსარგებლეების შესახებ.

4. ჩამოთვლილი გამანაწილებლების გარდა დანარჩენი სხვა გამანაწილებლების რეაბილიტაცია თუ იგეგმება?

აღნიშნული ჩამონათვალი არის მელიორაციის მიერ შერჩეული და ჯერ-ჯერობით ეს არის რეაბილიტაციის პირველი ფაზა, დანარჩენი თუ სამომავლოდ იგეგმება ჩვენთვის არ არის ცნობილი.

5. რას გულისხმობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი? სახელმწიფო იღებს კრედიტს?

პროექტი განხორციელებული იქნება სახელმწიფოს თანამონაწილეობით. ბიუჯეტის ნახევარი იქნება სახელმწიფოს თანამონაწილეობა და ნახევარი მსოფლიო ბანკის სესხი.

6. თუ შეგიძლიათ გვითხრათ პროექტის განხორციელების არეალი კილომეტრებში?

ამ ეტაპზე ეს ინფორმაცია არ არის ცნობილი, თუმცა დაგეგმილია შიდა ქსელების სრული რეაბილიტაცია 6110 ჰექტარზე. ამას გარდა, სათავე ნაგებობასა და მაგისტრალურ არხზე საჭიროების შესაბამისად მოხდება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

7. ვის მიერ იქნება ქსელზე წყლის გამანაწილებლების განსაზღვრა ?

დაქსელვა და გამანაწილებლების განსაზღვრა მოხდა საქართველოს მელიორაციის მიერ. ჩამოთვლილი იყო რამდენიმე ტიპის გამანაწილებელი, გადანაწილება და შერჩევა მოხდა საჭიროებისა და აუცილებლობის მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმებით.

8. როდის დაიწყება და დამთავრდება თითოეული პროექტი?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებს საპრექტო სამუშაობს კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. თუმცა კონკრეტულ პროექტის განხორციელების ვადა ინდივიდუალურად გადაწყდება.

9. მდ. ალაზანზე გარემოზე ზემოქმედების კუთხით რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პროექტს? იქნება თუ არა საკმარისი წყლის დებეტი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში?

ამ ეტაპზე ინფორმაციის მიწოდება გაგვიჭირდება. საპროექტო სამუშაოების ეტაპზე შევძლებთ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდებას.

10. მოიცავს თუ არა ალაზნის არხის რეაბილიტაცია თელავის 4 და ახმეტის 4 სოფელს ? რა იქნება ამ პროექტის ბიუჯეტი?

სოფლების ზუსტი დასახელება გაჭირდება, თუმცა იგეგმება 12 გამანაწილებლის რეაბილიტაცია. ამ ეტაპისათვის პროექტის დეტალური ბიუჯეტის დასახელება შეუძლებელია, რაც შეეხება მთლიან პროექტს გამოყოფილია 80 მილიონი აშშ დოლარი.

11. თუ გაქვთ ჭაბურღილების მოწყობის გამოცდილება? მაგ: ცხოველების დასაწყურებლად და მსგავსი თუ განიხილება პროექტის ფარგლებში?

არა, ამ პროექტით მსგავსი აქტივობა არ განიხილება.

მიღებული უკუკავშირი:

ილტოს წყალსაცავის რეაბილიტაციის გარეშე ამ არეალში აღნიშნული პროექტის განხორციელება აზრს კარგავს.

შეხვედრის ოქმი N4

შეხვედრის ადგილი: თელავის მუნიციპალიტეტი (თელავი, ერეკლე II-ს გამზ. #16)
შეხვედრის თარიღი: 15 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 3

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის

მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. რომელი რუკით იხელმძღვანელებს პროექტის სამუშაო ჯგუფი?

თავიდან ბოლომდე მოხდება ახალი ტოპოგრაფიული რუკის გადაღება და ჩატარდება გეოლოგიური სამუშაოები. შესწავლა დაიწყება ნულიდან, თითქოს და იქ აქამდე სარწყავი ქსელი არ არსებობდა. მოხდება ძველი ქსელის დემონტაჟი და ახლით ჩანაცვლება.

მიღებული უკუკავშირი:
მელიორაციამ წინა წელს იმუშავა თელავის სარწყავ არხზე. მოხდა 150 ჰექტრის რეაბილიტაცია, თუმცა ერთ გამანაწილებლეზე შეიქმნა პრობლემა. მიზეზი შემდეგი იყო: მილი გადიოდა კერძო პირის საკუთრებაზე. დაახლოებით 25მ. მესაკუთრემ მელიორაციას არ მისცეს ნება სამუშაოები ეწარმოებინა.

ასევე პრობლემა შესაძლოა იმაშიც მდგომარეობდა, რომ მელიორაციის 600 მმ-იანი მილი კერძო ნაკვეთებზე გადიოდა. სახნავი სამუშაოების დროს შესაძლოა მოხდარიყო ამ მილის დაზიანება, აღნიშნული გარემოება კი პრობლემას შეუქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას.

კომენტარი:

- მაგისტრალურ არხზე კანალიზაციაა დაერთებული, რაც სამუშაოების წარმოების დროს გასათვალისწინებელი იქნება. მოსაწყობი იქნება საკანალიზაციო სისტემებიც. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა, რის დროსაც ადგილობრივმა მოსახლეობისთვის მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

შეხვედრის ოქმი N5

შეხვედრის ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტი (ქ. ხაშური, ტაბიძის N2)
შეხვედრის თარიღი: 17 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 26

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ხაშურის საკრებულოს დეპუტატი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
 და ხაშურის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩარჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. გვაინტერესებს გრანტის მიღება იზღუდება თუ არა მიწის ფართობი მიხედვით?

ამ ეტაპისთვის საგრანტო სახელმძღვანელო დამუშავების პროცესშია. ამ დოკუმენტით განისაზღვრება ვინ შეძლებს საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, კერძოდ: მინიმუმ რამდენ ჰექტარ მიწას უნდა ფლობდეს ბენეფიციარი და ასევე იქნება სია, თუ რომელი სასოფლო სამეურნეო კულტურები დაფინანსდება. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე ჩატარდება საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან. კონკურსის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება სამინისტროს და სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ გვერდებზე.

2. როდის არის პროექტის დაწყების სავარაუდო დრო?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებეს საპრექტო სამუშაობეს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

3. სარწყავ არხს, პატარა ახალ-სოფლის მოსახლეობას 900 მეტრი გვაშორებს. გვაინტერესებს როდის მოხდება ამ მონაკვეთის შეკეთება?

თუ სიტუაცია გადაუდებელი და ავარიულია აჯობებს ამ შემთხვევაში მელიორაციას მიმართოთ. პროექტი აპრილში დაიწყება და დაახლოებით 18 თვე გასტანს, შესაბამისად პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს.

4. ქარელში ნორმალური სიტუაციაა, ხაშურში ძალიან რთულია ამ მხრივ. ამას ის ემატება, რომ 2 სატუმბი სადგური გაიძარცვა და მარტო შენობები დარჩა, რის შემდეგაც არ მოხდა მათი აღდგენა. (საუბარია ხცისის სატუმბ სადგურზე - 800 ჰექტარი ; ვაყის სატუმბი- 3400 ჰექტარი). ითვალისწინებს თუ არა პროექტი მსგავსი შემთხვევების მოწესრიგებას ? თუ მხოლოდ ფერმერებისთვის სარწყავი არხების მოწყობა არის გათვალისწინებული?

რაც შეეხება სატუმბებს, ამ ეტაპზე არ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია და დაგიზუსტებთ. რაც გრავიტაციით (თვით-დინებით ირწყვება) ისინი ნამდვილად გათვალისწინებული იქნება პროექტით.

5. საირიგაციო სისტემის მოწყობის შემდეგ, წყლის გადასახადი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცვლელი დარჩება?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროექტის სამუშაო ჯგუფის მხრიდან პასუხის გაცემა გაჭირდება.

6. შიდა ქსელი პროექტირების დროს ყველა გამანწილებელი შემოწმდება ?

(დაზიანებულია „ლატოკები“) თუ მომართვა იქნება საჭირო მოსახლეობის მხრიდან ?

მომართვა საჭირო არ იქნება. თავად პროექტი ითვალისწინებს მთლიან ქსელზე ინვენტარიზაციას, თუ აღდგენის საჭიროებაა აღდგება, ხოლო დემონტაჟის შემთხვევაში ახალი მოეწყობა. უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკამ აჩვენა რომ რკინაბეოტონის ღარები („ლატოკები“) სრულად იცვლება ხოლმე.

მიღებული უკუკავშირი:

- სოფელ 9 მუხაში არის ბეტონის „ლატოკები“ რომელიც დიდი ხნის შესაკეთებელია. სარწყავი არხი ზუსტად სოფლის პირას ჩამოდის. ეს საკითხი მისახედია, რადგან სარწყავი არხი ზუსტად სოფლის პირას ჩამოდის.

პროექტის განხორციელების არელი, მოიცავს პირველად საპრექტო არეალს, ანუ რაც ირწყვებოდა თავდაპირველად იგივე ფართობზე ჩატარდება სარეაბლიტაციო სამუშაოები ეხლაც. ყველაფერი გარემონტდება და მიეცემა პირველადი სახე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

- მთავარია აღდგეს მთავრი მაგისტრალები, დანარჩენს სოფელიც მივხედავს.

- კარგი იქნება მოხდეს სიტუაციის ადგილზე შესწავლა.

  კომენტარი:

- მთავარია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოხდეს პროექტის შემუშავება და განხორციელება. ლიახვის არხის შემთხვევაში იყო ჩართულობის პრობლემა, რამაც პროექტის განხორციელების და დასრულების ეტაპზე ბევრი ღია საკითხი დატოვა.

- თხოვნაა, რომ პროექტირების ეტაპზე, საპროექტოს მხრიდან იყოს ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება. მოსახლეობა ჩართული იყოს პროცესში. დარწმუნებული ვართ მათგან შეიძლება მოხდეს ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რაც პროექტის ჯგუფისათვის იმ ეტაპზე უცნობი და ძალიან გამოსადეგი იყოს.

- სოფელ ვაყაში, ცენტრალური მაგისტრალიდან დიდი ოდენობით წყლის გაჟონვა ხდება, რამაც მეწყერი გამოიწვია. ტერიტორია სრულად დაჭაობდა, სოფლის მისასვლელი გზა მოწყვეტილია. თხოვნა გვექნება გათვალისწინებული იყოს აღნიშნული გარემოება და მოხდეს ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება.

- მელიორაციის ინფორმაციით შიდა ქსელები არ არის ადგილობრივი

მოსახლეობის ბალანსზე. ადრე ასოციაციები იყო ჩამოყალიბებული მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. შემდეგ დაიშალა და მუნიციპალიტეტებს უნდა ჩაბარებოდათ. მნიშვნელოვანია შიდა ქსელები ჩაბარდეს მსგავს შიდა რგოლს რადგან არსებული სისტემების მართვა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით აუცილებელია. უმჯობესი იქნება წყალ-მომხმარებელთა ასოციაციები კვლავ ჩამოყალიბდეს.

დიახ, წინა პროექტში იყო მსგავსი მიდგომა. იგეგმება, რომ ასეთი ასოციაციები ახლაც ჩამოყალიბდეს, რომლებიც ფერმერებით იქნება დაკომპლექტებული.

- მსგავსმა ასოციაციებმა ადრე არ გაამართლა, რადგან არ არსებობდა ზემდგომი ორგანო რომელიც მათ ასოციაციებს გააკონტროლებდა. ასეთის არსებობა აუცილებელია.

შეხვედრის ოქმი N6

შეხვედრის ადგილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის N106)
შეხვედრის თარიღი: 1 დეკემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 26
ეთნიკური უმცირესობა: - 3 აზერბაიჯანელი ადგილობრივი მოსახლე.

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი

ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და ბოლნისის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. იგეგმება თუ არა მაშავერას სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაც?

არა, პროექტის გათვალისწინებულია კონკრეტულად ზედა-არხის რეაბილიტაციაზე.

2. საკმარისი იქნება ზედა -არხის სარწყავი სისტემა მთელი ბოლნისისთვის? ახლა არსებული სისტემა არ ყოფნის შუა არხს (სოფლის არხს), და სოფლის სახლებს. ამჟამად შუა არხის სისტემა გაუქმებულია. ითვალისწინებს თუ არა პროექტი მის რეაბილიტაციას? ამ ნაწილზე მიბმულია დაახლოებით 1500 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთები. ეს სოფლის არხი დღეს ურწყავია და გადამხმარია.

პროექტით გათვალისწინებულია ზედა -არხით მორწყავდი ყველა ნაკვეთი, რაც მთლიანობაში 1500 ჰექტარია. თუ აღნიშნულ მონაკვეთს მოიცავს შუა არხის სისტემაც, მაშინ ესეც გათვალისწინებული იქნება.

3 . როდიდან იგეგმება სამუშაოების დაწყება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებეს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

4. იგეგმება თუ არა დაქსელვა და სარწყავი სისტემის მოწყობა ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთამდე ?

კი ზუსტად ასე იგეგმება. გაკეთებული იქნება დახურული და ღია სისტემები. დახურული სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ ამ დროს წყლის დანაკარგი მაქსიმალურად შემცირდება. პროექტის მიზანია წყალი დანაკარგების გარეშე, ყველასთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი.

მიღებული უკუკავშირი:

- ზედა-არხის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ შუა-არხის რეაბილიტაცია უფრო საჭირო და პრობლემურია, ეს არხი 4 კუბ წყალს ატარებდა.

- თუ არის შესაძლებელი, რომ ზედა-არხი სოფლის არხთან იქნას დაკავშირებული და ცალკე იყოს რეაბილიტირებული შუა-არხი. სოფლის არხიდან ძალიან ბევრი მიწები ირწყებოდა, ეხლა არ ფუნქციონირებს ეს არხი და სოფლის მიწები საძოვრებადაა გადაქცეული და გამხმარია. წლებია არ ირწყვება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა მოკვლევისა და ანალიზის ჩატარება. საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაწყების შემდეგ უფრო მეტი დეტალი გახდება ცნობილი.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი პროექტთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაციის გაცნობაა. მას შემდეგ რაც საპროექტო დაიწყებს მუშაობას უფრო დეტალურად მოხდება პროექტების განხილვა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გაცნობა. მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტის განხორციელების ეტაპზე. გაიმართება არა-ერთი საჯარო განხილვა, სადაც მოხდება თითოეულ გამანაწილებელზე ინფორმაციის გაცნობა და უკუკავშირის მიღება.

- გასათვალისწინებელი და მოსაწესრიგებელია ასევე დაქსელვის სისტემა. არათანაბარმა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ ზოგი ფერმერისათვის შესაძლებელი იყო პირობითად დღეში 5 ჯერ მორწყვა, ზოგი კი საერთოდ

ვერ რწყავდა.

ამ ნაწილში ჩატარებული იქნება გარკვეული ტრეინინგები, ფერმერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა მათ იცოდნენ და ისწავლონ როგორ გამოიყენონ წყალი მიზნობრივად და საჭიროების მიხედვით კონკრეტულ კულტურას შესაბამისად. ასევე აღებული იქნება მიწის ანალიზები, რათა განსაზღვრული იყოს, რომელი კულტურის დარგვა იქნება უკეთესი კონკრეტული შედეგებიდან გამომდინარე.

შეხვედრის ოქმი N 7

შეხვედრის ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი (ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27)
შეხვედრის თარიღი: 6 დეკემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა :15

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი, ჟინვალის ადმინ. ერთეული;
მერიის წარმომადგენელი მაღაროს კარის ადმინ. ერთეული;
მერიის წარმომადგენელი, ჭოპორტის ადმინ. ერთეული;
დუშეთის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი;
და დუშეთის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო

და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამ ეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. წყალსაცავი მდებარეობს გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში. იგეგმება თუ არა ამ ტერიტორიის დაქსელვა?

გრემისხევის დაქსელვა არ არის პროექტით გათვალისწინებული. იგეგმება მხოლოდ წყლის სატუმბის შეძენა.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტს როგორ შეეხება ეს პროექტი?

გაიწმინდება წყალსაცავი, სატუმბი დანადგარი დამონტაჟდება, მოხდება მეტი წყლის აკუმულირება, რაც ხელს შეუწყობს რწყვის ხარისხის გაუმჯობესებას.

3. პროექტის დაწყების თარიღი როდის იგეგმება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც დაიწყებს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

კომენტარი:

1. თუ სატუმბი სადგური არ იქნება დამონტაჟებული, მაშინ აზრი ეკარგება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ადრე ბაზალეთის ტბიდან მოდიოდა წყალი სატუმბი სადგურის მეშვეობით და ასე ირწყებოდა ეს მიდამოები. თუ ამ სქემის აპირებთ პროექტის განხორციელებას, ადგილობრივ მოსახლეობას ეს სარგებელს ვერ მოუტანს.

2. გრემის ხევზე თუ ყოფილხართ და გინახიათ გრემის ხეობა, რომელიც გატყევებულია და გაველურებულია ,მდინარის ჭალაში გაუვალი ტყეა. გარემოს დაცვის კუთხით მანდ სავალალო მდგომარეობაა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

გთხოვთ აღნიშნული საკითხი დააყენოთ საპროექტო ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურ კომუნიკაციაში იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან პროექტირების ეტაპზე. შესაბამისად საპროექტო შეისწავლის მთელს არეალში რა მდგომარეობაა ამ მხრივ.

3. არხის მარცხენა მხარეს არის ძირითადი მინდვრები რომელიც საჭიროებს მორწყვას. ეს თუ არის გათვალისწინებული პროექტით.

პროექტით არხის მარცხენა მხარის რეაბილიტაცია არ არის გათვალისწინებული. მაგრამ მოსახლეობას შეუძლია წერილობით მიმართოს სამინისტროს და დააფიქსიროს მოთხოვნა.

4. მდინარის კალაპოტისა და ჭალის გაწმენდის გარეშე არ აქვს აზრი რაიმეს გაკეთებას. ისინი არ გაწმენდილა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ჭალის უქონლობის გამო წყალდიდობის დროს დატბორვის საშიშროება იქმნება.

გრემისხევის სოფლის რწმუნებულს დააინტერესა, რადგან ეს წყალსაცავი გრემის ხევში მდებარეობს, რატომ მოიხსენიებოდა ის როგორც ნარეკვავის წყალსაცავი. ამ სისტემის ირგვლივ ადრე 1200 ნაკვეთი იყო. ახლა სისტემა არ ირწყვება და ნაკვეთების რაოდენობა შემცირდა.

გარემოს დაცვის კუთხით საყურადღებო საკითხია მდინარეში თევზის არ არსებობა.

დამსწრეებმა მოითხოვეს მთლიანი სისტემის რეაბილიტაცია. ასევე დაისვა კითხვა ვის სახელზე უნდა დაწერილიყო წერილი აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

წერილი აღნიშნული მოთხოვნით უნდა დაიწეროს სამინისტროსა და მელიორაციის სახელზე.